C M Y K

# საერთო გაზეთი

№07 (191) ● 18-21.II, 2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## aravin mogatyuoT, batono biZina, arCevnebi aucileblad mais-ivnisSi iqneba!



## darwmunebuli var, ramaz klimiaSvili mokles!



„ჩემი პატრონი მარტო დედაჩემი იყო, ის მოკვდა, ე.ი. მე უკვე უპატრონო ვარ“

### ირაკლი სესიაშვილი:

## biZina ivaniSvilis gundi yvelafers gaakeTebs, rom politikuri mafia saxlSi gauSvas



### სანდრო ბრეგაძე:

## erovnulobis gareSe gamarjvebis formula ar arsebobs!



ქართველი ერი სანამ არ დაიბრუნებს თავმოყვარეობას, სანამ ქართველი პოლიტიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებში ირბენენ და იქიდან მიიღებენ დავალებებს, — არაფერი გვეშველება, ეს უნდა შეწყდეს!

### სოფო ხორგუანი:

## vfiqrob, saakaSvili gadadgeba da is iqneba ara premier-ministri, aramed saparlamento siis pirveli nomeri



## 10 winaswarmetyveleba, romelzec ar gsmeniaT



# გიზო ჭელიძე – 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიზო ჭელიძე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გიზო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ძვირფას თანამოკალმეს, ღირსეულ პიროვნებას და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.



თქვენი მრავალწახნაგოვანი, მრავალფეროვანი შემოქმედებითი თუ სამეცნიერო მოღვაწეობა ერთი მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ჭეშმარიტი მამულიშვილი თავის ქვეყანას, თავის ხალხს, მის წარსულსა თუ მომავალს.

ქართველი მკითხველი თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გიცნობთ, როგორც სერიოზულ და ხელხვავიან ფოკლორისტს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ქართული ხალხური შემოქმედების უძველესი შრეების შესწავლასა და სამზეოზე გამოტანას შეალია. უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული ზეპირსიტყვიერების საუნჯეების კვლევას ეძღვნება თქვენი, როგორც საკანდიდატო („მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების ფოლკლორული წყაროები“– 1969), ისე სადოქტორო („ქართული ხალხური დრამა“ – 1994 წ.) ნაშრომები. საყურადღებო წიგნებს წარმოადგენს „ქართველები კაცობრიობის კარიბჭესთან“, „ვინ არიან მეგრელები“, „ქართული ეთნოპოეზია“, „ქართული ხმები 4000 წლის გადაღმიდან“, „მზე დედაა ჩემი“... ათწლეულების განმავლობაში მონაწილეობდით ფოლკლორისტულ ექსპედიციებში და სწავლობდით გურულ, მეგრულ, ინგილოურ ფოლკლორს.

თქვენს კალამს ეკუთვნის მშვენიერი რომანი „ჯიმაჩაფილი“, ესეისტურ-პუბლიცისტური დრამები „და დამფარა მე ბნელმან“ და „პირინეიზე უქცევენ კოლხურად„, პოეტური კრებულები „საწუთრო“, „თბილისს რომ სისხლი ვაწვიმეთ“ და „უფალო ჩემო, ყბისაქცევების კრებული „მასპინძელსა მხიარულსა“.

თქვენი სიყვარული და პატივისცემა ებრაელი ხალხისადმი სრულად და შთამბეჭდავად აისახა წიგნში „უკეთუ დაგივიწყო ისრაელო!“

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ღვაწლი დოკუმენტური ნოველის აღორძინებაში. არაერთი ასეთი ნამცვრევი შეჰქმენით ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, იაკობ გოგებაშვილზე, ექვთიმე თაყაიშვილზე...

სხვადასხვა დროს მუშაობდით საზოგადოება „ცოდნის“ რეფერენტად, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, ეწეოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „აჭარაში“, რედაქტორობდით ჟურნალებს „გუბაზოულს“ და „ხელხვავს“. არჩეული ბრძანდებით ფაზისის აკადემიის ნამდვილ წევრად, „იუნესკოსთან“ არსებული ფოლკლორული საერთაშორისო ასოციაცია „იოფას“ წევრად, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორული კლუბის პრეზიდენტად...

ღვაწლი დაგიფასდათ. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით – დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი. გვიხარია, რომ სულ ახლახან მოგენიჭათ მედალი ქართულ კულტურასა და განათლებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის.

ბატონო გიზო!

მართლაც რომ დიდებული პიროვნება ბრძანდებით, სიკეთითა და მადლით სავსე, გვხიბლავთ თქვენი კეთილშობილებით, უბრალოებით, მოზღვავებული იუმორის გრძნობით, რაც მხოლოდ სათნოებით გამორჩეული ადამიანების ხვედრია.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# სრულიად საქართველოს დიდი დემოგრაფიული დარბაზი

## „დედის დღისადმი“ მიძღვნილი საქველმოქმედო აქცია დაიწყო

***საქართველოში შექმნილი უმძიმესი დემოგრფიული ვითარების გათვალისწინებით და ეროვნული კატასტროფის თავიდან აცილების ამოცანებიდან გამომდინარე, სრულიად საქართველოს დიდი დემოგრაფიული დარბაზის „ქართვლის დედათა“ კომიტეტი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება და დემოგრაფიისა და მიგრაციის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი პირველად საქართველოში აწყობენ „დედის დღისადმი“ მიძღვნილ გრანდიოზულ აქციას მრავალშვილიან და ობოლბავშვიან ოჯახთა ბავშვებისათვის საბანკო დემოგრაფიული წიგნაკების გასახსნელად (იხ. დებულება).***

***თითოეულ ბავშვზე გაიხსნება საბანკო დემოგრაფიული წიგნაკი 1000 (ერთიათასი) ლარის ოდენობით.***

***აქციის მხარდამჭერებს შეუძლიათ შემოწირულობა წარმართონ.***

***სს „საქართველოს ბანკი“,***
***GE60BG0000000275762000***
***კოდი BAGAGE22 საქართველოს***
***დემოგრაფიული საზოგადოება.***
***საკონტაქტო ტელეფონი***
***557 260449. 593 262072***

***აქციის აქტიური მხარდამჭერები ჩაითვლებიან სრულიად საქართველოს დიდი დემოგრაფიული დარბაზის წევრებად და გადაეცემათ ყრილობის მანდატები.***

***საქართველოს ყოფნა-არყოფნაზე მხოლოდ ქართველი ერი აგებს პასუხს!***

### საბანკო დემოგრაფიული წიგნაკის დებულება

1. საბანკო დემოგრაფიული წიგნაკი მოქალაქეზე იხსნება და უქმდება სრულიად საქართველოს დიდი დემოგრაფიული დარბაზის დადგენილებით ოჯახში არასრულწლოვანი შვილების რაოდენობის გათვალისწინებით თითოეულ შვილზე 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

2. მოქალაქეს წიგნაკი ეხსნება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საბანკო დემოგრაფიული წიგნაკები ეხსნებათ:

ა) საქართველოს საპატიო წოდების „ქართვლის დედის“ და „მშობელთა დიდების“ ორდენის მფლობელებს;

ბ) საქართველოს ეროვნული არმიისა და სამართალდამცავი ორგანოების იმ მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ;

გ) სტიქიური უბედურების დროს დაღუპულთა ოჯახებს:

დ) არასრულწლოვან ბავშვებს, რომელთაც ორივე მშობელი გარდაეცვალათ:

ე) ოჯახებს, სადაც სამი და მეტი ობოლი იზრდება.

3. წიგნაკის მფლობელი სარგებლობს ანაბარზე რიცხული თანხის წლიური 7 პროცენტის გატანის უფლებით, როგორც ყოველთვიურად, ისე დაგროვებით ბავშვების სრული ასაკამდის მიღწევამდე.

4. ანაბარზე რიცხული თანხები გატანას არ ექვემდებარება.

5. წიგნაკის მფლობელის ოჯახის დემოგრაფიული მონაცემების ცვლილებებით აუცილებელია განცხადებით მიემართოს სრულიად საქართველოს დიდ დემოგრაფიულ დარბაზს.

6. მეანაბრის სხვა სახელმწიფოში საცხოვრებლად გადასვლის შემთხვევაში ბანკის წიგნაკი უქმდება სრულიად საქართველოს დიდი დემოგრაფიული დარბაზის გადაწყვეტილებით.

7. „ქართვლის დედის“ საპატიო წოდების მფლობელები და „მშობელთა დიდების“ ორდენის კავალრები ბანკის წიგნაკებით ანაბრის მოგებას ღებულობენ გარდაცვალებამდე, ბავშვების სრულასაკოვნების მიღწევის შემთხვევაშიც.

8. ყველა სხვა კონკრეტულ ვითარებაში გადაწყვეტილებას იღებს სრულიად საქართველოს დიდი დემოგრაფიული დარბაზის უხუცესთა საბჭო.

# მიმართვა საქართველოს პარლამენტს



ძვირფასო რედაქციავ, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო საქართველოს პარლამენტს უკვე მერამდენედ. საფრანგეთში არსებული კავკასიელ ხალხთა მხარდამჭერი კლუბი ელოდება იმ დღეს, როცა საქართველოს პარლამენტი, რომელმაც აღიარა ჩერქეზი ერის გენოციდი რუსეთის იმპერიის მხრიდან, აღიარებს ჩეჩნების, ინგუშების, ადიღეველების, ბალყარელების და ყველა იმ კავკასიელ ხალხთა გენოციდს, რომელიც გამოიარეს ამ ხალხებმა, ჯერ რუსეთის იმპერიის, მერე ბოლშევიკური სისტემის მხრიდან და დღესაც გრძელდება ეგრეთწოდებული რუსული დემოკრატიის მხრიდან. თქვენი დუმილი ევროპელებს არ ესმით, თქვენ ხართ სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია გაუწიოს თანადგომა და ერთგულება იბერო-კავკასიელებს. ისმის კითხვა, რატომ არ უნდა სცნოს საქართველოს პარლამენტმა ამ ხალხთა გენოციდი, რა უდგას მათ წინ, არაფერი. თუ არა საქართველომ, მაშ, ვინ თქვით.

ჩვენ თვალს ვადევნებთ, როგორც კავკასიის, ასევე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და ვიცით, რაც ხდება. სხვაზე გადაბრალება, თითქოსდა ეს გამოიწვევს საქართველოს მიმართ უარყოფით შედეგს, სიმართლეს მოკლებულია. ისტორია გაკვეთილებს ქმნის იმიტომ, რომ ხალხმა ისწავლოს.

**პატივისცემით საფრანგეთის კავკასიელ ხალხთა მხარდამჭერი კლუბის პრეზიდენტი,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თეოდორა ლევინი.**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# aravin mogatyuoT, batono biZina, arCevnebi aucileblad mais-ivnisSi iqneba!

როგორც „რუსთავი-2“ ერთ-ერთი „სახე“ ვანო ჯავახიშვილი იტყოდა: „საქართველოს პრეზიდენტმა და სიტყვის კაცმა“ მიშა სააკაშვილმა, არც ამჯერად გაგვაწბილა ოპოზიციურად განწყობილი ქართველები და გუშინწინ გაყინული ცივი წყლის გადასხმის ეფექტით ერთ-ერთი თავისი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ მეშვეობით ქართულ საზოგადოებას – ა.წ. მაისში საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გვაუწყა.

ალბათ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, ამ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ უკან რა ძალები დგანან, ვინ არიან მათი ფინანსური დონორები და ა.შ. ხომ?

კი, ბატონო დავიწყოთ:

1. საინფორმაციო სააგენტო „ნატო“!

2. „ლატვიის ტრანსატლანტიკური საბჭო“!

3. „საქართველოს ტრანსატლანტიკური საბჭო“!

4. „ახალგაზრდა რესპუბლიკურთა პარტია“.

ხოლო დონორი ორგანიზაციები, ანუ ის ორგანიზაციები, ვინც ამ „ენჯეოს“ აფინანსებენ:

1. დამფუძნებელი და ერთ-ერთი დონორი, საერთაშორისო ორგანიზაცია „აირაი“!

2. „ნატოს“ ალიანსის დიპლომატიური განყოფილება!

3. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში!

4. ლატვიის თავდაცვის სამინისტრო!

5. ევრაზიის ფონდი და, კიდევ მრავალი მსხვილი თუ „წვრილი“, მნიშვნელოვანი, ძალზედ მნიშვნელოვანი, თუ „უმნიშვნელო“ ორგანიზაციები! ანუ, ეს არასამთავრობო, ფაქტიურად, სახელშეცვლილი „ნაც. მოძრაობაა“ და რა სასაცილოა, ნაც.მოძრაობა იგივე ნაც. მოძრაობას რომ უჩივის – არჩევნები კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ჩაატარეო?!

დიახ, სწორედ ამ ფინანსურად მდიდარმა არასამთავრობომ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, შემდეგი საჩივრით – მიგვაჩნია, რომ ა.წ. ოქტომბრის თვეში ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნები არაკონსტიტუციურ ვადებში ტარდება, რადგან კანონით დადგენილი წესით პარლამენტის არჩევა ხდება 4 წლით და ეს ვადა, დღეს არსებულ პარლამენტს სწორედ 2012 წლის მაისში ეწურებაო...

ისე, კაცმა რომ თქვას, ცამდე მართლები არიან „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ იურისტები და თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ:

მოგეხსენებათ, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სახალხო ჩასვრილმა ქართულმა „ოპოზიციამ“ თავისი ღალატის გადასაფარად, მოქალაქეებს შეუძახეს – „ჩვენი მეორე ტური, 2008 წლის მაისში საპარლამენტო არჩევნები იქნება და სააკაშვილის პარლამენტში – უმრავლესობით ჩვენ მოვალთო!“

ჰოდა, ეს „მეორე ტური“, როგორც მოსალოდნელი იყო, ისეთივე გრანდიოზული „ჩასვრით“ დაამთავრეს, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებისას და ბედის ნებიერა „ხალხის რჩეულებმა“, აქაოდა, ჩვენ მაინც გმირები ვართო – პარლამენტის წინ დიდი მაკრატლით დაჭრეს ის მანდატები, რომლებიც მათ რის ვაი-ვაგლახით უბოძათ ამომრჩეველმა!

ალბათ, ყველას გახსოვთ ისიც, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები – მაისის ბოლოს, 25 მაისს ჩატარდა და, ისიც ყველას გემახსოვრებათ, რომ „ოპოზიციონერები“ რიგ რაიონებში – ერთმანეთის კონკურენტებიც კი იყვნენ და ახლა არავინ დამიწყოს მტკიცება, ეს შემთხვევითობა იყოო.

ასეა თუ ისე, 2008 წლიდან მოყოლებული, მართლაც 4 წელი იწურება 2012 წლის მაისში ამ პარლამენტისთვის და, ვიმეორებ რომ – ცამდე მართლები არიან „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“ არასამთავრობოს იურისტები, რადგან ჯერ ამათი პარლამენტ-დეპუტატობა ვინ თქვა და მეორეც ახლა კიდევ 5 თვე უნდა დაემატოთ, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით რომ „გაგვახარონ“ ზაფხულში?

მაგრამ, მაგრამ, მაგრამ...

ღრმად ვარ დარწმუნებული, „ახალი თაობა, – ახალი ინიციატივის“ მიერ მომზადებული სარჩელის უკან, ყველაზე „ძლიერის“, ყველაზე „ლამაზი“ და ყველაზე „მაღალის“ ინტერესები იმალება და პრინციპში, მიშა სააკაშვილს, რომ მაისში სურდა არჩევნების ჩატარება რა, ახალი ამბავი იყო ეს?

პირადად მე, არაერთგზის ვწერდი, რომ „სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნებს მოულოდნელად, მაისში დანიშნავს, რადგან, ე.წ. მოწინააღმდეგეები უეცარი ელდის მდგომარეობაში ჩააგდოს და თანაც, მას და მის „ნაც. მოძრაობას“ წინასაარჩევნო მარათონი, კარგა ხანია დაწყებული აქვთ-თქო! ახლა გადავხედოთ, რას აცხადებენ „ნაც. მოძრაობის“ ე.წ. „ტვინები“ – პალიკო კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი და ა.შ. „არა, ბატონო, რა მაისი, რას ლაპარაკობთ, არჩევნები ჩატარდება ოქ-ტო-მბერ-ში, ანუ როგორც კანონში ჩავწერეთ“.

„უი, რას ლაპარაკობთ, მართლა შეაქვთ სარჩელი „ახალი თაობა, ახალი ინიციატივას“ კი, მაგრამ ეს სარჩელი, ჯერ ერთი დაგვიანებულია და მეორეც, ვფიქრობ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს მათ სარჩელს დადებითად, რადგან ყველაფერი კონსტიტუციურად მიმდინარეობს და იმიტომ“.

**არადა, ამხანაგ კუბლაშვილსაც და ამხანაგ მინაშვილსაც „ავიწყდებათ“, რომ სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შეაცვლევინოს კანონი პარლამენტს და არჩევნებიც იმ კონსტიტუციურ ვადებში ჩაატარებინოს, რა ვადასაც კანონი გულისხმობს, ანუ 4 წლის შემდეგ (2008 წლიდან) 2012 წლის მაისში.**

მარტივი კითხვაა – ვის აწყობს მაისში ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები?

ვის აწყობს და „ნაც. მოძრაობას“, რადგან წინასაარჩევნო კამპანია თითქმის დასასრულისკენ მიჰყავს! სააკაშვილი ყველა ქალაქსა თუ ორღობეში „მოულოდნელად“ ჩნდება. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც სოფელ-სოფელ დადის! ვიცე სპიკერი მიშა მაჭავარიანი კუდში მისდევს. თბილისის მერი გიგი უგულავა ისევ ძველ წრეზე დადის თბილისში და ათას ობიექტს ხსნის! მინისტრები, მინისტრების მოადგილეები და მთელი სახელისუფლებო „ელიტა“ „მუხლჩაუხრელად“ შრომობს სამაისო არჩევნებისთვის და ოპოზიცია კი – მხოლოდ ახლა იწყებს იმას, რაც ჯერ არ იცის საიდან უნდა დაიწყოს. (იქნებ გამიზნულადაც? ვინ იცის...)

სიცილით მოვკვდი, პალიკო კუბლაშვილის მიამიტური სახის შემხედვარე – „რას ბრძანებთ, მაისში რატომ უნდა ჩავატაროთ არჩევნები? – ჰკითხა ჟურნალისტს, ანუ ისეთი სახე მიიღო კუბლაშვილმა, თითქოს პირველად ესმოდა ამის შესახებ და „როგორც ყოველთვის“ მედიისგან მიიღო ახალი ინფორმაცია?

პა-ლი-კოოოოო! თავზე თმა აღარ დაგრჩა კაცს ტყუილებისგან და მაინც არ იშლი შენსას?



თითქმის ნახევარი მსოფლიოსგან დაფინანსებულმა „ახალი თაობა“, ახალი ინიციატივა“-ს იურისტებმა, შენ როგორ ფიქრობ, დამოუკიდებლად მიიღეს ასეთ გადაწყვეტილება და საკონსტიტუციო სასამართლოს ასე უპრაგონოდ მიაკითხეს? მეტიც, დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ საქართველოში ამოდენა გრანტებს, ამოდენა გავლენებს და ამოდენა „პიარ-სიკეთეებს“ მხოლოდ ისინი იღებენ, ვინც თქვენთან შეკრულია, თქვენი სატელიტები არიან და ახლა, როგორ გინდათ დაგვაჯეროთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა, – ახალი ინიციატივა“ თქვენგან დამოუკიდებლად მოქმედებს?

დიახ, თქვენ „ნაცებს“ გაწყობთ მაისში არჩევნების ჩატარება, რადგან დაპირებების რესურსი გეწურებათ, წინ საპრეზიდენტო არჩევნებია და თქვენი მიშა სააკაშვილი კი – ისევ ხელისუფლებაში გყავთ დასატოვებული ან პრემიერ-მინისტრად, ანდა კიდევ რომელიმე წონად თანამდებობაზე.

ეს, რომ ასე მოხდება ყველამ ვიცით და ისიც ვიცით, კიდევ რის იმედად ხართ – დაწყებული რუსეთის არჩევნებით (რომელიც ა.წ. 4 მარტს ჩატარდება) ირან-ისრაელ-ამერიკის ომით დამთავრებული! ანუ, გარე ფაქტორების იმედადაც ხართ და რამდენიც არ უნდა მალოთ ეს – ფუჭია!

თუ ნაც.მოძრაობა (ღმერთმა ნუ ქნას) გაიმარჯვებს, დიდი ალბათობით „არჩევნების გაყალბების“ მიზეზით ხალხი ქუჩაში არ გამოვა, რადგან დამარცხებულს უმალ შეაქცევენ ზურგს და ქართული ხასიათიდან გამომდინარე, სისხლით გამაძღარ ხელისუფლებასთან, ინდივიდუალურ რეჟიმში დაიწყებენ ჩალიჩს პირადი გამორჩენის მიზნით! ასეთებისთვის კი პატრიოტიზმი „გოიმობაა“, ყოველივე ტრადიციული-დრომოჭმული და აკი, გაიძახიან კიდეც საქართველო არა, ტოროლა ცაში-ო! ასეთებისთვის საქართველოს სიყვარული დღეს, რომანტიზმის რანგშია აყვანილი და ჩვენისთანა რომანტიკოსებისთვის, რომ ადგილი ხელისუფლებაში კი არ არის არამედ მიწაზეც ზედმეტები ვართ, ტყუილია? ჩვენი ადგილი ცაშია, ცაში! და რაც მალე გაგვისტუმრებენ „იქ“, მით უკეთესი მათთვის!

ძვირფასო მკითხველო! აბა, ისიც კარგად გაიხსენეთ, რა ბრძანა საკაშვილმა? – „ქუთაისში ჩატარდება პარლამენტის პირველი სხდომა 26 მაისს!“-ო, ხომ?

ახლა, ნაც. მოძრაობამ სიტყვა რომ „გატეხოს“, წარმოგიდგენიათ? დღეს ქუთაისში მშენებარე ახალი პარლამენტის შენობას რომ აღარ გვიჩვენებენ დღეში 50-ჯერ, „რუსთაველები“, „იმედელები“, „დონაძეები“ და ა.შ. არ გიკვირთ? არადა, ნეტავ რატომ, დეინგრა თუ რაშია საქმე? არა, ბატონებო – ესეც მოულოდნელობის ეფექტზეა გათვლილი და როცა გვანახებენ,




ე, მაშინ იქნება „დროული“ და „კაკრაზ კ სტატი“, აპა?!

ძალიან სამწუხაროდ, მაგრამ თუ 2012 წლის მაისში საპარლამენტო არჩევნები მართლაც ჩატარდა და მიშას „ნაც“-ებმა გაიმარჯვეს, ოპოზიცია კი არა – საქართველო იგემებს კიდევ ერთ დამარცხებას.

გამოგიტყდებით და ძალიან გამაკვირვა ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“-ში შემავალმა, ზოგიერთი „კოალიციონერის“, მაგალითად ზვიად ძიძიგურის განცხადებამ, „ახალი თაობა“, ახალი ინიციატივის სარჩელის თაობაზე. ზვიად ძიძიგური: „მერე რა? ჩვენ ველოდებოდით კიდე, ვიცოდით, რომ ხელისუფლებას მაისში უნდოდა არჩევნების ჩატარება და ჩვენ ამისთვის მზად ვართ, ჩაატარონ კი ბატონო, რა პრობლემაა?“ (???)

რა პრობლემაა ჩემო ზვიად და გეტყვი: გახსოვთ, კახა თარგამაძემ ედუარდზე „ტერაქტის“ შემდეგ რა თქვა? „ტარმაზნოი ჟიდკოსტმა გაასხაო!“

და ბოლოს, კოალიციონერები ბატონ ბიძინას არწმუნებენ, რა მაისი და რა ივნისი, არჩევნები ოქტომბერში ტარდებაო.

არავინ მოგატყუოთ, ბატონო ბიძინა, არჩევნები აუცილებლად მაის-ივნისში იქნება!

**ირინე გოგოსაშვილი**



# vfiqrob, saakaSvili gadadgeba da is iqneba ara premier-ministri, aramed saparlamento siis pirveli nomeri

***ქართული პარტია“ კიდევ ერთმა ლიდერმა სოფო ხორგუანმა დატოვა. პარტიის დატოვების მიზეზებსა და სამომავლო გეგმებზე „საერთო გაზეთს“ თავად სოფო ხორგუანი ესაუბრა:***

**— ქალბატონო სოფო, „ქართული პარტია“, როგორც პარტიული სტრუქტურა, ფაქტობრივად, დაიშალა. რა გახდა ამის მიზეზი?**

— ამ ეტაპზე მხოლოდ საკუთარ თავზე ვისაუბრებ და განვმარტავ, რატომ დავტოვე „ქართული პარტია“. ეს გადაწყვეტილება მივიღე იმიტომ, რომ მჭირდებოდა უფრო მეტი თავისუფლება, რათა თამამად გამეკეთებინა პოლიტიკური შეფასებები და შეფასების დროს არ დამებრალებინა თუნდაც პარტიული ინტერესები. მაქვს გარკვეულ საკითხებზე მოსაზრებები და შეფასებები, რომელთა გაჟღერება როგორც რომელიმე პარტიის წევრისთვის მიუღებელი იყო. პარტიიდან წამოსვლა ერთგვარი პროტესტის გამოხატვაც იყო იმ კარჩაკეტილობის მიმართ, რომელიც დღეს ქართულ პოლიტიკაშია.

**— პარტიაში შეზღუდული გქონდათ თავისუფლება?**

— პარტიაში სრული თავისუფლება მქონდა და არავინ არაფერს მიკრძალავდა. მოგეხსენებათ, ყოველ ორშაბათს რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველთვის ვმართავდი ბრიფინგებს, თანაც ისე, რომ საკითხებს არავის არ ვუთანხმებდი. თემებს თავად ვეძებდი და სარჩელებიც თავად შემქონდა სასამართლოში. არ მინდა ჩემი განცხადებით დავაზარალო პარტია, ამიტომ მე, როგორც მოქალაქე, უფრო თამამად და თავისუფლად გამოვთქვამ აზრს, გავაკეთებ შეფასებებს და ა.შ. პარტიის დანარჩენ წევრებს რაც შეეხება, პარტიაში ძალიან ბევრი კარგი ადამიანი რჩება, მათთან კარგი ურთიერთობები მაქვს. ამ ეტაპზე ჩემი ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი იყო და მომავალში აუცილებლად ვიქნები რომელიმე მემარცხენე პარტიის წევრი.

**— თქვენი პარტიდან წამოსვლა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებას დაემთხვა, თუ თქვენი გადაწყვეტილება უკავშირდება პარტიის ლიდერის პოზიციას მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით?**

— ბოლო თვეების განმავლობაში მაქვს განცდა-მჭირდებოდა მეტი თავისუფლება, თუნდაც იმისთვის, რომ არ წარმოვადგენდე რომელიმე მხარეს, გვერდიდან შევხედო მოვლენებს და დაფაფიქსირო პოზიცია. ამიტომ ამ ხნის განმავლობაში ვფიქრობდი მიღებული გადაწყვეტილებაზე. ნათქვამია: „მოყვარეს პირში უძრახე“ და სწორედ მე ვიქნები მოყვარე, ვინც პირდაპირ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას. მინდა ჩემი ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ დალაგდეს, დამშვიდდეს და გაიმარჯვოს სამართლიანობამ.

**— ირაკლი ოქრუაშვილი როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას პარტის დატოვების თაობაზე?**

— ერთი წელია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ. ყველამ იცის, როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, საბოლოოა და არ შევცვლი. პატივს ვცემ, ირაკლი ოქრუაშვილს, პატივს ვცემ ეროსი კიწმარიშვილს, რადგან ის არის ნიჭიერი ადამიანი და იცის საქმის კეთება. იმედი მაქვს, მეგობრებად დავრჩებით. არავის აქვს უფლება ძალდატანებით ვინმე მიიყვანოს ან დატოვოს პარტიაში, ამიტომ გადაწვეტილება თავად მივიღე, არავინ ჩარეულა.

**— ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ოქრუაშვილს ხელისუფლებასთან დაკავშირებულ პირად აღიქვამს. როგორ ფიქრობთ, რის საფუძველზე აკეთებს ივანიშვილი ასეთ განაცხადს?**

— ხელისუფლებასთან დაკავშირებული პარტიებისაგან განსხვავებით, „ქართული პარტია“ პრივილეგირებული არაა. გვყავს უამრავი პოლიტპატიმარი, ზეწოლა და თვალთვალი პარტიის წევრებზე დღემდე გრძელდება, ამიტომ არ ვიცი, რის საფუძველზე აკეთებს ბიძინა ივანიშვილი მსგავსი ტიპის განცხადებებს.

**— ქალბატონო სოფო, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ოპოზიცია სააკაშვილის მოედანზე მისსავე თამაშის წესებით თამაშობს. კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— მაგალითისთვის: მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა, ხელისუფლების რეაქცია იყო, რომ ისაა რუსეთის აგენტი, თამაშობს რუსულ თამაშს და ა.შ. რა გააკეთა ამ დროს ოპოზიციამ? — დაიწყო მტკიცება, რომ ის არაა რუსეთის მხარე, ორიენტირებულია დასავლურ ფასეულობებზე და ასე შემდეგ.

**რასაც ვუყურებ, ესაა ოპოზიციის რეაგირება ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, ნაცვლად იმისა, რომ დასხდნენ და იფიქრონ, რას გააკეთებს ყველზე ცუდ შემთხვევაში სააკაშვილი, ან მერაბიშვილი. მაკიაველს ასეთი სიტყვები აქვს: „თუ შენი მოწინაალმდეგე არის სულელი, ისე უნდა იმოქმედო, თითქოს ის შენზე გაცილებით ჭკვიანია“. ოპოციზია კი განსხვავებულად მუშაობს, მხოლოდ ერთმანეთის ქილიკით არიან დაკავებული. ოპოზიციური პარტიების ერთმანეთთან დაპირისპირება სტრატეგიული შეცდომაა. მათ არ უნდა გაიმეორონ ხელისუფლების პოლიტიკა-საზოგადოების ჩარეცხილებისა და ჩამრეცხავების დაყოფის შესახებ და სადერმაკაციო ხაზები არ უნდა გაავლონ.**

**— ქალბატონო სოფო, თქვენ აღნიშნეთ, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკოსების მხრიდან უფრო სხვა ტიპის გადაწყვეტილებებია მისაღები. რას გულისხმობთ და რა ქმედითი ნაბიჯებია მათი მხრიდან გადასადგმელი?**

— ბიძინა ივანიშვილის ადგილზე არ დავიწყებდი ოქრუაშვილის კრიტიკას, გამოვიყენებდი იმ რესურსს, რომ ის დაახლოებული იყო სახელისუფლებო გუნდთან, კარგად იცის როგორ მუშაობს „ნაცმოძრაობა“ და ამ ცოდნას აუცილებლად გამოვიყენებდი. ეროსი კიწმარიშვილს კი ტელევიზიას გავაკეთებინებდი, რადგან ეს საქმე კარგად იცის. ზოგადად ის, რაც დღეს ხდება, იგივე წრეზე სიარულია და მიხეილ სააკაშვილის თემაზე რეგირება არ წაგვადგება.

**— როგორ შეაფასებთ იმ რეალობას, რაც ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ჩამოყალიბდა და ზოგადად, რა შანსები აქვს ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებულ კოალიციას?**

— შანსები აქვს. რეჟიმი ყოველთვის ოდესმე მთვრდება. თუმცა იმისთვის, რომ შანსი არ დაიკარგოს, აუცილებელია, უფრო სხვა ტიპის აქტივობები და ქმედებები.



**— შემოთავაზების შემთხვევაში სოფო ხორგუანი შეიძლება ვიხილოთ „ქართულ ოცნებაში“?**

— ამ ეტაპზე არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრობას არ ვაპირებ. თუმცა ჩემი მხრიდან, ეს არ ნიშნავს ერთგვარ ტაიმაუტს, ან იმას, ვაპირებ შევწყვიტო პოლიტიკური ბრძოლა, პირიქით, მსურს შევცვალო პოლიტიკური ბრძოლის ფორმა და მეთოდები. მზად ვარ ყველასთნ სასაუბროდ, თუმცა არ მსურს ვიყო რომელიმე პარტიის წევრი, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად ჩამოვაყალიბებ მემარცხენე პოლიტიკურ ძალას.

**— ქალბატონო სოფო, რას ფიქრობთ, მესამე ცენტრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, სადაც კახა კუკავა, ნინო ბურჯანაძე და ლევან გაჩეჩილაძე მოიაზრებიან. არჩევნებზე ოპოზიციას ამ ფორმით მოქმედება წარმატებას მოუტანს?**

**— ცხადია, რაც უფრო მეტი ადამინი ჩაერთვება რეჟიმთან საბრძოლველად, კარგია, მაგრამ ბრძოლა შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული. გეტყვით ჩემს ხედვას, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ახლო მომავალში. ვფიქრობ, რომ მიხეილ სააკაშვილი გადადგება და ის იქნება არა პრემიერ-მინსტრი, არამედ საპარლამენტო სიის პირველი ნომერი. „ნაცმოძრაობას“ პრეზიდენტის კანდიდატურა საერთოდ შეიძლება არც ჰყავდეთ და ეს პოსტი ოპოზიციას გადაულოცონ, შემდეგ კი ილაპარაკებენ, თუ რა დონის დემოკრატიაა საქართველოში. მოგეხსენებათ, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი მაინცდამაინც პრივილეგირებული არაა, ამიტომ „ნაცმოძრაობას“ ურჩევნია პარლამენტში „გამაგრდნენ“. ასევე რატომღაც მგონია, არჩევნები არა შემოდგომით, არამედ მაისში გაიმართება.**

**მირანდა ნაბახტეველი**

## პარლამენტთან სამოქალაქო საზოგადოების აქცია გაიმართა

პარლამენტის შენობასთან სამოქალაქო საზოგადოების საპროტესტო აქცია გაიმართა. არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა მოითხოვეს. მისი მონაწილეები გამოწყობილნი იყვნენ მაისურებში, წარწერებით : “ეს შენ გეხება”. ასევე თან ჰქონდათ შემდეგი შინაარსის ლოზუნგები: “შეუძლია ახალ კანონს, ყველა ჩიხში შეგვიყვანოს”, “ეჭვით შევცქერი ახალ კანონებს, რაც საარჩევნო ოინს მაგონებს”, მათ თვაინათი პროტესტი საყვირის გაბმული ხმით გამოხატეს. როგორც აქციის მონაწილე ჟურნალისტმა ალექსანდრე ელისაშვილმა განაცხადა, ამ საყვირის ხმით იგი კანონმდებლებს შეახსენებს, რომ მათ მიერ მიღებული კანონის შეცვლა აუცილებელია.



“მივმართავ პავლე კუბლაშვილს — ქვეყანაში არ ბნელა. კანონის ამგვარ ფორმულიურებას არ შევეგუებით და მის შესაცვლელად ყველა მეთოდით ვიბრძოლებთ”, — აღნიშნა ალექსანდრე ელისაშვილმა.

როგორც “მედიანიუსს” ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელმა უჩა ნანუაშვილმა განუცხადა, საქართველოს რეგიონში ამ მხრივ ერთ-ერთი ლიბერალური კანონმდებლობა ჰქონდა. ახალი კანონი კი მას უკან სწევს და მას ისეთი ქვეყნებს ამსგავსებს, როგორებიც აზრებაიჯანი და ბელორუსია.

“სამარცხვინოა, რომ დღეს ამ საკითხზე გვიწევს საუბარი. ეს კამპანია მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ხელისუფლება მასში ცვლილებებს არ შეიტანს. მასეზე ზეწოლისათვის ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ”, — აღნიშნ უჩა ნანუაშვილმა. აქციის პარალელურად ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის — კოალიცია “არჩევნის თავისუფლება”, “საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო”, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ფონდისა და საქრათველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი და არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების მიერ გუშინ ხელმოწერილი პეტიცია პარლამენტს წარედგინა. პეტიციაში ნათქვამია: “არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები ვაცნობიერებთ რა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების მნიშვნელობას, კატეგორიულად მიუღებლად მივიჩნევთ ამ საკითხთან დაკავშირებით 2011 წლის დეკემბერში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ზღუდავს სამოქალაქო აქტივობას, საკუთრების უფლებას, გამოხატვისა და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას; აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას; მძიმე და გაუმართლებელ პასუხისმგებლობას აკისრებს ამომრჩეველს, განუსაზღვრელ და არაკონსტიტუციურ უფლებამოსილებებს ანიჭებს პარტიების დაფინანსების მთავარ მაკონტროლებელს — კონტროლის პალატას; სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც თითოეულ მოქალაქეს, ისე სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, მედიას; აუარესებს საარჩევნო გარემოს ქვეყანაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას”.

**„მედიანიუსი“**

# biZina ivaniSvilis gundi yvelafers gaakeTebs, rom politikuri mafia saxlSi gauSvas

*გვესაუბრება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფის წევრი* ***ირაკლი სესიაშვილი:***

**— ირაკლი, ორი დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა პარტიის საინიციატივო ჯგუფი წარადგინა. მანამდე არსებობდა მრჩეველთა საბჭო, შეიქმნა თემატური ჯგუფებიც. რისთვის იქმნება ამდენი ჯგუფები?**

— საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც სამოქალაქო მიზნები აქვს და მისი კარი ყველასთვის ღიაა. მრჩეველთა საბჭო უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა გუნდი იყო, რომელიც მას სხვადასხვა საკითხებში კონსულტაციებს უწევდა. რაც შეეხება საინიციატივო ჯგუფს, ეს პირდაპირი მექანიზმია პოლიტიკური პარტიის დაფუძნებისთვის. ეს ამ ეტაპზე, მთავარი ბირთვია პოლიტიკური ორგანიზაციის შესაქმნელად.

**— პარტიის შექმნა აპრილის დასაწყისში ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის. თუნდაც, 11 დეკემბერს რატომ არ მოხდა პირდაპირ პარტიის დაფუძნება, რა უშლიდა ამას ხელს?**

— სამოქალაქო მოძრაობას გამოხატული, პოლტიკური დამოკიდებულება სხვადასხვა პროცესების მიმართ არ აქვს, პოლიტიკურ პარტიას ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიზნები, ამოცანები აქვს, ემზადება არჩევნებისთვის და ა.შ. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციას და პოლიტიკურ პარტიას თავთავიანთი განსხვავებული მიზნები აქვთ. თუმცა, არ დავფარავ, ღიად გეტყვით, რადგანაც სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა წაართვა, იგი გარკვეული ფორმით საზოგადოებრივ-პოლიტკურ ცხოვრებაში უნდა ჩართულიყო. მას იმ მომენტისთვის პოლიტიკური პარტიის დაფუძნების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ შეეძლო არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა, რაც გააკეთა კიდეც, რათა სანამ პოლიტიკური პარტია დაფუძნდებოდა, ივანიშვილი გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერი ყოფილიყო.

**ბატონი ბიძინას განწყობა ასეთია — როგორი პოლიტიკური პროცესებიც არ უნდა წარიმართოს ქვეყანაში, „ქართული ოცნება“ უნდა დარჩეს და სამოქალაქო ინტერესები დაიცვას. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას, ველოდებით ბატონი ბიძინასთვის მოქალაქეობის დაბრუნებას.**

ვიცით, რომ ბოლოს სააკაშვილი იძულებული გახდება და ივანიშვილს მოქალაქეობას დაუბრუნებს, ფორმალურად, თორემ ყველა ჩვენთაგანის აზროვნებაში ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეა. ბევრი ქართველის ღრმა რწმენით, იგი ღირსეული მოქალაქეა. ამიტომ პოლიტიკური პროცესები ისე გვაქვს გათვლილი, რომ პოლიტიკური პარტიის დაფუძნება მოხდება იმ ვადებსა და იმ დროში, როცა მას მოქალაქეობა აღუდგება. იგი ხელოვნური კი არა, არამედ მართლაც გამოკვეთილი ლიდერია, რომელიც მოსახლეობის, პოლიტიკური ძალების, საზოგადო მოღვაწეების მიერ აღიარებულია, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ იგი პარტიის ლიდერი ფორმალურადაც იყოს.

**— ფრაზა-სააკაშვილი იძულებული იქნება მოქალაქეობა დაუბრუნოს ივანიშვილსო, ხშირად მსმენია. იურისტებიც არწმუნებენ ბატონ ბიძინას, ნატურალიზაციის გზით დაგიბრუნდებათ მოქალაქეობაო. რას ნიშნავს ეს, როცა ბატონ ბიძინას მოქალაქეობა წაართვეს, მაშინ არ იყო საქართველოში დაბადებული ქართველი? რატომ ხართ ასე დარწმუნებული, ჩვენ ხომ ყოველდღე ვხედავთ, რა შეუძლია სააკაშვილს?**

— როდესაც მიშა ხედავს, რომ მის ძალაუფლებას საფრთხე ემუქრება, ცხადია იგი ყველაფერზეა წამსვლელი. დარწმუნებული ვარ, ქართველი და საერთაშორისო საზოგადოება სააკაშვილს უფლებას არ მისცემს კანონმდებლობა თავის ნებაზე ატრიალოს, ყველას და ყველაფერის წინააღმდეგ წავიდეს. სააკაშვილი ცდილობს ყველა არსებული მანიპულაციის საშუალება გამოიყენოს. ერთ-ერთმა სახელისუფლებო (კოკი იონათამიშვილის) ენ-ჯე-ომ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ახლა გაახსენდათ, რომ თურმე პრეზიდენტს პრეზიდენტობის ვადა გაუხანგრძლივებია 5 წლით და 10 თვით. აქედან გამომდინარე, პარლამენტსაც გაუხანგრძლივდა ვადა. ეს ყველაფერი გვაძლევს იმის ანალიზის საფუძველს, რომ სააკაშვილს უნდა არჩევნები როგორმე შევიწროვებულ ვადებში დანიშნოს, რათა ჩვენ მუდმივად ცაიტნოტში, დაჩქარების პროცესში ვიყოთ, მუდმივად შეგვექმნას პრობლემები. მან იცის, რომ ტელევიზიას ვხსნით, პარტიას ვქმნით. ჩვენ განვითარების პროცესში ვართ. სააკაშვილი იმედოვნებს, რომ ჩვენი განვითარების პროცესში ყოფნა, მას უპირატესობას მიანიჭებს, რითაც ისარგებლებს, არჩევნებს გააყალბებს და ძალაუფლების შენარჩუნებას ადვილად შეძლებს. მაგრამ მინდა თქვენი მკითხველი დავარწმუნო ერთ რამეში — მომაკვდავს მასაჟით და თმების დავარცხნით ვერ ვუშველით. მთავარია, შიში უნდა დავსძლიოთ არა იმ რეცეპტით, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი გამოწერს, არამედ შიში მარტივად, საკუთარ თავში უნდა დავძლიოთ და ვთქვა — აქ წყდება ჩემი, ჩემი შვილების, ქვეყნის ბედი. სხვა არჩევანი არ არსებობს. როცა საინიციატივო ჯგუფის პრეზენტაცია ჩატარდა, მოვიდნენ და მომილოცეს, რასაც ღიმილით შევხვდი. იმიტომ, რომ არ მიმაჩნია, თითქოს ვინმესგან რამით განვსხვავდები.

**ჩემი განწყობა შემდეგია — ისეთივე, ერთი, რიგითი მოქალქე ვარ, როგორც ნებისმიერი საქართველოში მცხოვრები. უბრალოდ შეიძლება შიში გაცილებით ადრე გადავლახე. მინდა, თითოეულმა მოქალაქემ გაითავისოს — ყველანი ამ საინიციატივო ჯგუფის წევრებიც ვართ და რიგითი მოქალაქეებიც, მათ შორის ისინიც, ვინც დღეს სახელისუფლებო სტრუქტურებში მუშაობენ.**

**— ბატონმა ბიძინამ პრეზენტაციაზე ბრძანა, რომ პარტია მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში შეიქმნება. რა რესურსი გრჩებათ ამ შემთხვევაში, რა ფორმით მოხდება ბრძოლა, რას სთავაზობთ საზოგადოებას?**

— ჩვენ არ ვცხოვრობთ ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში. სამწუხაროდ, არ გვიწევს ჩვეულებრივ პოლიტიკურ პროცესში მოქმედება. მთლიანად ქვეყანა არანორმალურ, დეფექტურ ვითარებაშია, იმიტომ, რომ დეფექტი ხელისუფლება გვყავს. ამიტომ ჩვენი სტრატეგია შემდეგია — ყველა გამოწვევაზე ადეკვატურნი უნდა ვიყოთ. ასევე, მოკლე დროში სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ და სწორად ვიმოქმედოთ. ვიმეორებ, მთავარი არ არის, ვინ იქნება საინიციატივო ჯგუფში თუ პარტიის მდივანი, არამედ თითოეულმა უნდა გავითავისოდ, რომ ქვეყნის ბედი წყდება. მთავარი საზოგადოების მზადყოფნაა შიშის დაძლევით და იმის განცდით, რომ ქვეყანა ყველამ ერთად დავიცვათ.

**— შეიძლება თუ არა ბრძოლის ერთ-ერთ ხერხად ქუჩა იქნეს გამოყენებული. ეს აზრი ხალხში მას შემდეგ გაჩნდა, რაც კოალიციას „ფორუმი“ შემოუერთდა.**

— ბატონი ბიძინას პოზიციაა, მაქსიმუმი გაკეთდეს იმისათვის, რათა ხელისუფლებას ჩვენი მოქალაქეების ცემის, შეურაცხყოფის, დაჩაგვრის, დაჭერის უფლება არ მივცეთ. ამიტომ, მაქსიმალურად ვცდილობთ რისკების მინიმალიზაციას, ყველა იმ საფრთხეების შემცირებას, რამაც ქვეყნის ინტერესებს შეიძლება ზიანი მოუტანოს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ სააკაშვილის წასვლაა მთავარი. სხვათა შორის, როდესაც შევარდნაძე გადააგდეს, სააკაშვილი ყველაფერზე იყო წამსვლელი, მათ შორის სახელმწიფო ინტერესების დათმობაზეც. ჩვენ ასე არ ვთვლით. ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღიდანვე ქვეყნის შენებას დავიწყებთ. ამიტომ მაქსიმალურად შევეცდებით ხელისუფლება პენსიაში გავუშვათ მინიმალური ზარალით. მოქალაქეების შემართება, ძალღონე არა ქუჩისკენ, არამედ საარჩევნო უბნებზე უნდა მივმართოთ. თუ ხელისუფლება თავს გავა, უკადრებელს იკადრებს, რისგანაც დაზღვეულნი არ ვართ, ნამდვილად არ ვაპირებთ სიყალბე, სიცრუე შევირგოთ. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ძალაუფლების მიტაცებას არ დავუშვებთ, სამშობლოს არ დავთმობთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ და თუ ჩვენ ვერა, ამას ხალხი გააკეთებს.

**— რაც შეეხება რეგიონებს, იქ ხელისუფლების რეპრესიული მანქანა ყველაზე მწვავედ მუშაობს. რა ვითარებაა ამ მხრივ?**

— ამ მიმართულებით საინიციატივო ჯგუფის ფარგლებში 24 საათიანი მუშაობა მიმდინარეობს. ჩამოყალიბების პროცესში ვართ, ეს არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით გაკეთდეს, რადგან ყურადღება ექცევა ხარისხს, ასევე იმ გუნდს, რომელიც რეგიონებში ყალიბდება. გამოგიტყდებით, ზოგან გვეშლება, ზოგან მცდარ გადაწყვეტილებას ვიღებთ. ჩვენ დრო სწორედ იმისთვის გვჭირდება, რომ ამ საქმეში საუკეთესოები, ღირსეულები ჩავაბათ და მათი ძალისხმევით ხალხი გვერდში ამოვიყენოთ. ამიტომ, რა თქმა უნდა, დაჩქარებული პროცესი გარკვეულ დაბრკოლებებს გვიქმნის, მაგრამ აქამდე თუ 24 საათი, ახლა 48 საათს ვიმუშავებთ.

**— ბევრს საუბრობენ სააკაშვილს გაპრემიერებაზე, თუმცა ბოლო დროს პრეზიდენტის ახალი პოსტი-პარლამენტის თავმჯდომარეობა განიხილება...**

— აქვე გაგაწყვეტინებთ თქვენს კითხვას.

**არანაირი პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, იგი ველარ გახდება. ჩვენ ყველას ერთად გვაქვს გადაწყვეტილი ხელისუფლებაში მოსვლა და ამ სენისგან განკურნება. არ მაინტერესებს სააკაშვილს სიზმრებისა და ოცნებების განხილვა. ამ ადამიანმა თავისი ოცნებით რაც დაატეხა ქვეყანას, ყველამ დავინახეთ.**

ჩვენთვის სააკაშვილი აღარ არსებობს და არც განიხილება მისი ხელისუფლებაში დარჩენის საკითხი. ეს ხელისუფლება ამ არჩევნებში დამარცხდება, მოვალთ ჩვენ, პრეზიდენტს დავითხოვთ იმპიჩმენტით, ამას აუცილებლად გავაკეთებთ და დავალაგებთ სახელმწიფოს ისე, როგორც საჭიროა.

**— სხვათაშორის, დიდი აღშფოთება გამოიწვია დავითაშვილის სიტყვებმა — ყველას ყველაფერი შერჩებაო. რა იქნება წყალგამყოფი პენსიაზე გასაშვებსა და პასუხისგებაში მისაცემთ შორის?**

— ძალიან მარტივი პასუხი მაქვს, რაც ბატონმა ბძინამ ბრძანა და აბსოლუტურად ვიზიარებ. ჩვენ პოლიტიკოსები არავის პასუხისმგებლობის საკითხს არ ვაყენებთ. ვინ, რა დანაშაული ჩაიდინა — ამას გამოძიება, სამართლიანი სასამართლო სჭირდება, რომელიც ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს. პოლიტიკოსები პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ შევქმნით სამართლიან სასამართლო სისტემას, სადაც მოსამართლეს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება შეეძლება. დაე, სასამართლომ განსაჯოს ვინ რა პასუხი უნდა აგოს.

სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით თავი გადადებული გვაქვს, რათა ეს უსაქმური, საკუთარ კომფორტზე ორიენტირებული პოლიტიკური მაფია სახლში გავუშვათ.

**თამარ შველიძე**





იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# rogor da ra formiT CaerTvebian politikuri partiis mSeneblobaSi `qarTuli ocnebis~ sainiciativo jgufis wevrebi

ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ მომავალი პოლიტიკური პარტიის ,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს" საინიციატივო ჯგუფის წევრები დაასახელა. ჯგუფის შემადგენლობაში არიან: ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე, საქველმოქმედო ფონდ ,,ქართუს" პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, ადვოკატი არჩილ კბილაშვილი, მწერალი გურამ ოდიშარია, მეცნიერი ვანო კიღურაძე, მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე, უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი, ბიზნესმენი გოგლა-გიორგი ჟვანია, უფლებადამცველები მანანა კობახიძე, თამაზ ავდალიანი, ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ხადური, იურისტი ზაქარია ქუცნაშვილი, დიპლომატი მაია ფანჯიკიძე, ექსპერტი გიორგი ვოლსკი, ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვი, ფეხბურთელი კახი კალაძე, მეცნიერი ნუგზარ დავითაშვილი.

როგორ და რა ფორმით ჩაერთვებიან მომავალი პარტიის მუშაობაში ,,საერთო გაზეთს" თავად საინიციატივო ჯგუფის წევრები ესაუბრნენ:

**ზაქარია ქუცნაშვილი,** ,,ქართული ოცნების" საინიციატივო ჯგუფის წევრი:

**— თქვენ აქამდე იყავით ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი, დღეს უკვე ხართ საინიციატივო ჯგუფის წევრი, როგორ გადაანაწილებთ ფუნქციებს?**

— პოლიტიკურ და პროფესიული საქმიანობის ურთიერთშეთავსებას რაც შეეხება, ვფიქრობ, რთული იქნება, თუმცა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის კონვენცია არ უკრძაავს ადვოკატს იყოს სხვადასხვა არასამთავრობო თუ პოლიტიკური გაერთიანების წევრი. ასე რომ, დროის სიმცირის მიუხედავად, ვეცდები პოლიტიკურ საქმიანობას პრო-



ფესიული საქმიანობაც შევუთავსო.

**— ,,ქართული ოცნების" საინიციატივო ჯგუფში თქვენი პროფილით იმუშავებთ თუ სხვა ნიშის მორგებას აპირებთ?**

— იურიდიული მიმართულებით გავაგრძელებ მუშაობას და შევეცდები საინიციატივო ჯგუფის წევრებთან ერთად მონაწილეობა მივიღო პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ორგანიზებაში.

**თედო ჯაფარიძე,** საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი:

**— რატომ გადაწყვიტეთ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პოლიტიკაში დაბრუნება?**

— ჩემი მხრიდან ეს არ იყო მარტივად მისაღები გადაწყვეტილება. მქონდა კარგი სამსახური, საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა, თუმცა არსებობს რაღაცები, რაც ამ ყველაფერზე მაღლა დგას.

**— მოცემულ სიტუაციაში რა შანსები აქვს წარმატებისთვის ,,ქართულ ოცნებას"?**

— საინიციატივო ჯგუფს, რომელიც სამომავლოდ უკვე პარტიაში გადაინაცვლებს, გააჩნია სათანადო რესურსი შეცვალოს არსებული პოლიტიკური რეალობა და ქვეყნა



სწორი მიმართულბით წაიყვანოს.

**— რეალურად რამდენად არსებობს შანსი, როგორც ბატონი ბიძინა აცხადებს, არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება?**

— რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ია-ვარდებით მოფენილი გზა, იქნება საკამოდ რთული ბრძოლა და ამ ბრძოლაში ,,ქართული ოცნება" ქართველ ხალხთან ერთად აუცილებლად გაიმარჯვებს.

**გიორგი ჟვანია,** საინიციატივო ჯგუფის წევრი:

**— ბატონო გოირგი, რატომ წახვედით ბიზნესიდან პოლიტიკაში, რა გახდა გადაწყვეტილების მთავარი მოტივი?**

— ქვეყანაშია შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო წავედი პოლიტიკაში. სამწუხაროდ, დემოკრატიული პრინციპებით არჩეული ხელისუფლება დღეს უკვე ავტორიტარულ რეჟიმად გადაიქცა, სადაც უგულელყოფილია კანონი და სამართალი, ადამიანის უფლებები და ა.შ.

**— ბატონო გიორგი, თქვენ რა როლი გექნებათ კოალიციის მუშაობაში?**

— ჯერჯერობით არანაირი ფუნქციები არაა გადანაწილებული და დროთა განმავლობაში გამოიკვეთება, ვინ რას გააკეთებს. თავდაპირველად ყალიბდება მოძრაობა, რომელიც ეცდება, ქვეყანა სწორი მიმართულებით წაიყვანოს და გამოვიდეთ იმ ჩიხიდან,



სადაც დღეს ვიმყოფებით. დიდი იმედი მაქვს პოლიტიკაში დიდხანს ყოფნა არ მომიწევს და ქართული ოცნების ასახდენად ჩემს მსგავსად ბევრი ადამიანი თავის წილ აგურს დადებს.

**— ,,ქართულ ოცებაში" თქვენი მოსვლა განაპირობა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორმა თუ იმ პარტიებმა, ვისაც კოალიცია აერთიანებს?**

— პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იყო გადამწყვეტი. ის არის უაღრესად წარმატებული, ნიჭიერი და პატიოსანი პიროვნება და ბუნებრივია, როცა ამ ტიპის ლიდერი გვყავს, ცხადია, გამარჯვების შანსი გაცილებით დიდია. საზოგადოებამ მინდა გაიგოს რამდენად ზნეობრივი ნაბიჯი გადადგა ივანიშვიმა, მას ჰქონდა აბსოლუტურად უზრუნველი ცხოვრება და ასეც შეეძლო გაეგრძელებინა, თუმცა პირად ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დააყენა.

**— შეიძლება ვიხილოთ ნინო ქადაგიძე-ჟვანიაც ,,ქართული ოცნების" საინიციატივო ჯგუფში?**

— ეს ნონოს უნდა ჰკითხოთ, თუმცა არაა პრინციპული, საკითხი ყველა პარტიაში აღმოვჩნდეთ. პირადად შეხვდა ნინო ბიძინა ივანიშვილს, მასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს და რა, როგორ, განვითარდება მალე გაირკვევა.

**მანანა კობახიძე,** ,,ქართული ოცნების" საინიციატივო ჯგუფის **წევრი:** — ჩემი გადაწყვეტილება, პირ-



ველ რიგში, ბიძინა ივანიშვილისადმი მხარდაჭერამ განაპირობა. ბოლო ათი წლის განმავლობაში უფლებათადაცვითი კუთხით მუშაობამ ვერანაირი დადებითი შედეგი ვერ დამანახა. ყოველდღიურად კონკრეტულ ადამიანებთან მიხდებოდა ურთიერთობა და ნათლად ვხედავდი სამართლებრივი კუთხით ქვეყანაში რა განუკითხაობაა, არ კანონობს კანონი და მართლმსაჯულება შერჩევითი პრინციპით მოქმედებს. საბოლოო ჯამში მივედი დასკვნამდე, რომ ეს ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, ამიტომ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია ქვეყნის ხელისუფლების შეცვლა.

**— რა რესურსი არსებოს საინიციატივო ჯგუფში იმისთვის, რომ იბრძოლოთ ქვეყანაში სამართლიანობის აღსადგენად?**

— საინიციატივო ჯგუფში გაერთიანებული ადამიანებს თავისი ცოდნით, გამოცდილებით, ზნეობრივი პრინციპებით შესწევთ ძალა იბრძოლონ უსამართლობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ. ამიტომ მჯერა ამ გუნდთან ერთად წარმატებას აუცილებლად მივაღწევთ.

**— მაინცდამაინც ამ ეტაპზე რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება. რამ მოგცათ ბიძგი ქვეყანაში შექმნილმა განუკითხაობამ, თუ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორმა?**

— გადამწყვეტი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი აღმოჩნდა. პირველ რიგში, ისაა ლიბერალურ, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული პოლიტიკოსი. გარდა ამისა, იგი აბსოლუტურად დაფარულად, ყოველგვარი რეკლამების გარეშე აკეთებს ძალიან ბევრს საქმეს საკუთარი თანამოქალაქეებისთვის და ქვეყნისთვის. ვფიქრობ, ასეთი ადამიანი გაცილებით მეტის გაკეთებას შეძლებს იმ ჭრილიდან, რასაც პოლიტიკური მოღვაწეობა ჰქვია.

**ნოდარ ხადური,** ,,ქართული ოცნების" საინიციატივო ჯგუფის წევრი:

**— ბატონო ნოდარ, თქვენ უნივერსიტეტის პროფესორი ბრძანდებით. პოლიტიკაში გადასვლა ხელს არ შეგიშლით პროფესიული საქმიანობის შესრულებაში?**

— უნივერსიტეტის შენობიდან ერთი კილომეტრის რადიუსში ნოდარ ხადური როგორც პოლიტიკოსი არ იარსებებს, ვიქნები მხოლოდ ეკონომისტი. გულწრფელად გეტყვით, არც მქონდა გააზრებული, რომ კვლავ დავბრუნდებოდი პოლიტიკაში. თუმცა ჩემი პროფილით სერიოზული შემოთავაზება მივიღე და ადეკვატური გადაწყვეტილებაც მივიღე.

**ირაკლი ალასანია,** ,,თავისუფალი დემკრატების" ლიდერი:

**— ბატონო ირაკლი, რას ფიქრობთ საინიციატივო ჯგუფზე, რომელიც ივანიშვილმა საზოგადოებას წარუდგინა. რეალურად, ამ ადამიანებში არსებობს რესურსი იბრძოლონ გამარჯვებამდე?**

— საინიციატივო ჯგუფი ღირსეული ადამიანებითაა დაკომპლექტებუ-



ლი. ამ ადამიანებს დიდი წარმატება აქვთ თავიანთ პროფესიულ ასპარეზზე. თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელი შეიკრიბა საინიციატივო ჯგუფში: მწერლები, დიპლომატები, მეცნიერები, უფლებადამცველები, სპორტსმენები და სხვა. პოლიტიკაში სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ და არა ერთი ადამიანის მიმართ ერთგულებით სავსე, როგორ დღეს მიხეილ სააკაშვილს ჰყავს. ამიტომ ჩვენ აუცილებლად შევძლებთ ,,ნა?მოძრაობის" დამარცხებას და მათ უმცირესობაში გადაყვან?ს.

**— ბატონო ირაკლი, კოალიციაში შემავალი ,,რესპუბლიკელები" წლებია სახელმწიფო მოწყობის საპარლამენტო მოდელს უჭერენ მხარს, თქვენი პარტია კი საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრეა. როგორ აპირებთ ამ საკითხის დარეგულირებას ?**

— პრინციპულ, ფუნდამენტურ საკითხებზე როგორი უნდა იყოს სასამართლო სისტემა, ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის განვითარების ფორმები, როგორ გავუკეთებთ სტიმულირებას მცირე და საშუალი ბიზნესს, როგორ აღმოვფხვრით უმუშევრობას და ა.შ.- კოალიციააში შემავალ პარტიებს აზრთა თანხვედრა გვაქვს. სადავო საკითხები არ არსებობს, გარდა იმისა, რომელიც თქვენ აღნიშნეთ და მიმაჩნია, ეს ის საკითხია, რომელიც რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს.

**ნინელი ჭანკვეტაძე,** საინიციატივო ჯგუფის **წევრი:** — ,,ნაცმოძრაობისგან" განსხვავებით ბატონ ბიძინას არცერთი ადამიანისგან მადლობა არ მოუთხოვია, ამიტომ ვენდობი ამ ადამიანს. იგი პოლიტიკაში მოვიდა ქვეყნის გადასარჩენად და არა სხვა რაიმე ინტერესით, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტია. პირადად წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი სააკაშვილის მთავრობის მთავარ მოტივაციას — საკუთარი სკამებისთვის და ფულის გასაკეთებლად ყველაფერს კადრულობენ. დღევანდელ სიტუაციაში ვხედავ ალტერნატივას-შედგეს გუნდი, რომელიც მართლაც იზრუნებს ქვეყნის კეთილდღეობისთვის და არა პირადი ინტერესებისთვის. არ მინდა მიხეილ სააკაშვილი სადმე მაცივარში ვნახო ფოტოებს რომ ულებდნენ, ამიტომ აუცილებელია კანონიერი გზით შევცვალოთ ხელისუფლება.

**დავით უსუფაშვილი,** ,,რესპუბლიკური პარტიის" **წევრი:** - პოლიტიკაში ბატონ ბიძინას გამოჩენის შემდეგ, ფაქტია, ძალიან ბევრი ადამიანი ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართული ოცნების საინიციატივო გუნდი ამის თვალსაჩინო მაგალი-



თია. საინიციატივო ჯგუფში გაწევრიანებული ადამიანები პროფესიულად ძალიან წარმატებულები იყვნენ, თუმცა დღეს უკვე პოლიტიკაში შემოდიან. რაც შეეხება წარმატების ფორმულას, ესაა ბიძინა ივანიშვილი, როგორც ლიდერი, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარდაჭერას უცხადებს.

**— ,,რესპუბლიკურ პარტიასთან" თუ განიხილა ბიძინა ივანიშვილმა საინიციატივო ჯგუფის შემადგენელთა კანდიდატურა?**

— ბიძინა ივანიშვილმა ,,ქართული ოცნების" საინიციატივო ჯგუფის წევრები პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე წარმოგვიდგინა. ეს არის პოლიტიკური კოალიციის მართვის ორგანო, ის ორგანო, რომელშიც ყველა პარტნიორი პარტიის წარმომადგენელი მონაწილეობს. გვქონდა ამ თემაზე მსჯელობა და საინიციატივო ჯგუფის არცერთ წევრზე ივანიშვილისგან რაიმე დამატებითი ინფორმაცია არ მოგვითხოვია, რადგან ყველა წევრი ჩვენთვის მისაღები იყო.

**მირანდა ნაბახტეველი**

# erovnulobis gareSe gamarjvebis formula ar arsebobs!

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **სანდრო ბრეგაძე***

**— „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფი“, რომელიც არც ისე დიდი ხანია, რაც შეიქმნა. 90-იან წლებში ცნობილი იყო მისი საქმიანობის შესახებ, ახლა რას აკეთებს ეს ჯგუფი, ცალკე სუბიექტად უნდა მოვიაზროთ, თუ...**

— „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფმა“ სერიოზული სამუშაოები განახორციელა იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს ეროვნულ




ძალთა კოორდინირება და მათი გაერთიანება, რათა ხელი შეუწყოს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას და დემოკრატიული ძალების მოსვლას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ მუშაობის შედეგად, რომელიც უკვე ჩავატარეთ, ალბათ, აპრილის შუა რიცხვებში გაიმართება ეროვნულ ძალთა ყრილობა, რომელიც განსაზღვრავს იმ გზას და იმ ამოცანებს, რომლებიც უდგას ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში და აგრეთვე, გამოხატავს მკაფიო პოლიტიკურ კურსს, როგორ უნდა იმოქმედოს ეროვნულმა მოძრაობამ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე ვფიქრობ, ეროვნული მოძრაობის მიერ ინიცირებული არაერთი ინიციატივა მოიპოვებს ფართო საზოგადოების მხარდაჭერას. ვფიქრობთ, ჭეშმარიტ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან ერთად მოვახერხებთ საქართველოში ნამდვილი დემოკრატიიისა და თავისუფლების დამყარებას.

**— უნდა აღვნიშნო, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, ეს სიტყვები, გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, აღარ მსმენია...**

**— ამის შესახებ ამ ბოლოხანს ერთ-ერთმა პირველმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმაც ისაუბრა ინტერვიუში. მან მკაფიოდ გამოხატა საკუთარი პოზიცია იმ ეროვნულ ფასეულობებთან და იმ სტანდარტებთან მიმართებაში, რომელიც ქართველ ერს აქვს.**

მინდა ვთქვა, რომ სხვა ძალები, თუ ისინი იქნებიან ეროვნული იდეოლოგიის პატივისმცემლები, თუ არა მისი მონაწილეები, რა თქმა უნდა, მოიაზრებიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გვერდით, ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოზრაობა მოიაზრება მათ გვერდით. შემიძლია გავაკეთო ხმამაღალი განაცხადი, — საქართველოს სჭირდება ისეთი ლიდერი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ მოახდენს ეროვნულ შერიგებას.

**— მომსწრენი ვართ „ერონული შერიგებებისა“...**

— ფასადურ შერიგებას არ ვგულისხმობ, ეს უნდა იყოს რეალური შერიგება, იმგვარი, როდესაც აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციისა და განსხვავებული ბიოგრაფიის პოლიტიკური ძალები დადგებიან ერთად, ოღონდ, მოუსყიდავი (ეს ძირითადი პრინციპია) ერთად იქნებიან. რა თქმა უნდა, როდესაც დამყარდება დემოკრატია და თავისუფლება, ყველანი თავისი პოლიტიკური მიმართულებით წავლენ, მაგრამ მიზანი მიღწეული იქნება, იმ მახინჯი პოლიტიკური რეალობის შეცვლა, რომელიც დღეს გვაქვს. თუკი ეს განახორციელა რომელიმე ძლიერმა პოლიტიკურმა ლიდერმა, გარწმუნებთ, ის თავისთავად იქნება საერთო ეროვნული სახალხო ლიდერი და გარანტი, რომ მოხდება ის ცვლილებები და რეფორმები, რომელიც გადაარჩენს ქართულ სახელმწიფოებრიობას და ქართველ ერს.

**— „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფი“, სიმართლე გითხრათ, თუ კიდევ არსებობდა საერთოდ, არ მეგონა.**

— გარკვეული პერიოდი, ამ ჯგუფის მოქმედება შეჩერებული იყო. თქვენ იცით ის მოვლენები, რომლებიც 1992 წლის შემდეგ განვითარდა, ადამიანები, რომლებიც ამ ჯგუფში მოიაზრებოდნენ, აბსოლუტურად ყველანი, დევნაში იყვნენ. ნიშანდობლივია, რომ ისინი არ გაყიდულან არცერთ მთავრობაზე, მოუსყიდველებად დარჩნენ, პრინციპების ერთგულები არიან დღემდე, მაგრამ ორგანიზაციულად ვერ ხერხდებოდა მათი ერთ ჭერქვეშ შეკრება. საბედნიეროდ, დღეს ეს მოხერხდა...

**— მქუხარე სახელი ჰქონდა ამ ჯგუფს...**

— დიახ. „ჰელსინკის ჯგუფი“ გახლავთ, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი უფლებადაცვითი ორგანიზაციების, შეიძლება ითქვას, ქსელი. ყველა ქვეყანაში პირველ ადგილზეა ამ ჰგუფის რეკომენდაციები და აბსოლუტურად ყველა ქვეყნის მთავრობა ამ რეკომენდაციებს ეყრდნობა, როდესაც ადამიანის უფლებების დაცვაზეა საუბარი, — საკმაოდ დიდი გავლენა აქვს.

გარწმუნებთ, ჩვენ ისეთი მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს უცხოელ პარტნიორებთან, ჩვენი სახელწოდების მქონე უფლებადაცვით ორგანიზაციებთან, რომ არჩევნების დროს (რომელიც, დიდი ალბათობით, შესაძლებელია, გაყალბდეს), შეგვიძლია საქართველოში უზრუნველვჰყოთ საკმაოდ სერიოზული უფლებადამცველების ყოფნა. ისინი საკუთარი თვალით ნახავენ, როგორ ჩატარდება არჩევნები და თუკი გააყალბებს ხელისუფლება, ამ ჯგუფის სიტყვას ვერაფრით გადაფარავს. გარწმუნებთ, მათი სიტყვა მსოფლიო პარლამენტარების სიტყვაზე მეტად წონადია. სწორედ ამიტომ არის შეკრებილი პატრიოტთა და ინტელექტუალთა ჰგუფი „კავკასიის ჰელსინკის კავშირში“ და ამიტომ აქტიურობს.

**— „სხვამაც“ ხომ იცის „ჰელსინკის კავშირის“ შესაძლებლობები, ასე მიგიშვეს ნებაზე?**

— როდესაც ისეთი ტიპის სახელმწიფოში ცხოვრობ, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ქმნი ოპოზიციურ პოლიტიკურ მოძრაობას, უნდა იცოდე, რომ ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებიდან გარანტირებული გაქვს წინააღმდეგობა. პირველივე კვირაში შემოგზავნილი აგენტი აღმოვაჩინეთ ჩვენს რიგებში. მან დატოვა „კავშირი“, მაგრამ ფაქტია, რომ დაინტერესება აქვთ ჩვენი და ახლა სხვაგავარად შეგვიშლიან ხელს,



მაგრამ ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ და ამის საწინააღმდეგო ქმედითი ზომებიც არსებობს, ხომ? ზვიად გამსახურდიას მომხრეები, ის მოძრაობა, რომელიც საფუძვლად უდევს „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფს“, გამოირჩევიან იმით, რომ საკმაოდ ბევრ ტანჯვა-წამებას გაუძლეს 1992 წლიდან. ეს იყო შეურაცხყოფა, დევნა, დაპატიმრებები, ციხეში წამებები და, ახლა, ამ ხალხის შეშინება, ცოტა ძნელია...

**— საერთოდ, ყოველგვარი გამორჩენის გარეშე, მხოლოდ იდეის გარშემო გაერთიანებული ძალა, ყოველთვის მოუდრეკელია, რადგან იდეა შინაგანია, ადამიანის გონებრივი ხედვა...**

— რაშია იცით, საქმე, ეს რომ იყოს მკვდარი იდეოლოგია, კი, ბატონო, წარსულში დარჩებოდა, ვინლა გაიხსენებდა, მაგრამ იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ეროვნულ ძალებს, იგივე, ჩვენი სახით რომ ავიღოთ, ეს არის წინა საუკუნის და არა ღრმა წარსულის პოლიტიკური ლიდერების იდეოლოგია. ეს იდეოლოგია არის XX საუკუნის პირველ ნახევარში ილია ჭავჭავაზე და მეორე ნახევარში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

**— საქართველოში დამკვიდრებულია აზრი, რომ გლობალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეროვნულობის წინა პლანზე წამოწევა, პოლიტიკურად დამღუპველია პოლიტიკოსისთვის, ე. წ „დასავლეთი“ უარყოფითად განეწყობა. ეროვნებისა და „მცირე ერების“ „დიდ ერებთან“ შერწყმაზე, ფაქტობრივად, მცირე ერების გაქრობაზეა მოთხოვნა...**

— ეროვნულობისა და გარკვეულწილად, ნაციონალიზმის აყვავება ხდება დღეს ევროპაში, ასე რომ, დასავლური ფასეულობებისთვის ეროვნული ძალები, ნამდვილად არის „უცხო ხილი,“ მითუმეტეს, რომ სწორედ ეროვნული ძალების მეშვეობით მოხდა საბჭოთა იმპერიის ნგრევა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიისა და დასავლური ფასეულობების დანერგვა. როგორც თქვენ ბრძანეთ, ასე აღარაა დასავლეთ ევროპაში, ყველა ერი უნდა თანაცხოვრობდეს მშვიდობიანად და ყველი ერის ინტერესები უნდა იქნას გათვალისწინებული.

ქართველი ერი სანამ არ დაიბრუნებს თავმოყვარეობას, სანამ ქართველი პოლიტიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებში ირბენენ და იქიდან მიიღებენ დავალებებს, — არაფერი გვეშველება, ეს უნდა შეწყდეს!

საქართველოში უნდა იყოს ისეთი ძლიერი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც საქართველოში გადაწყვეტს იმ პრობლემას, რომელიც ქართველი ერის საწუხარი იქნება. ძლიერი ლიდერის შემთხვევაში, არავისზე დამოკიდებული არ ვიქნებით, მაგრამ ამავდროულად, ყველასთან ვიქნებით კეთილმეზობლურ ურთიერთობასა და კავშირებში. საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა!

ეროვნული ძალები არასდროს არიან მდიდრები. თუნდაც მასმედია რომ ავიღოთ, შემიძლია პირდაპირ გითხრათ, ამ დროისთვის, ორად-ორი წმინდად გამოხატული ეროვნული გაზეთი არის მხოლოდ, „საერთო გაზეთი“ და „ასავალ-დასავალი“, მხოლოდ ესენი არიან ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი გაზეთები. ამ დროს საქართველოში ბევრად მეტი ე. წ ულტრა-ლიბერალური გაზეთი გამოდის, სერიოზულად დაფინანსებული და დასპონსორებული...

საბედნიეროდ, ქართველი საზოგადოების სულში ბუნებრივად ზის ეროვნული ცნობიერების მოთხოვნილება და ეს ბუნებრივია, რადგან ეროვნულობის გარეშე გამარჯვების ფორმულა არ არსებობს!

ეს იცის ხელისუფლებამაც და ცდილობს, გარკვეული ტიპის მარგინალურ ჯგუფებთან მოლაპარაკებას და ეროვნულობის ნიშნით რაღაც ყრილობის ჩატარებას...

**— ვის გულისხმობთ, ბაჩუკი ქარდავას „ედპ-ს“ ხომ არა?**

— არა, უფრო მაღალი დონე არის, მაგრამ არაფერი გამოვა, რადგან დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ იდეოლოგიაზე არ არის დამყარებული, პირიქით, ქართული ეროვნული იდეოლოგიისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ, რაღაც იდეოლოგიათა ნაზავზეა აღმოცენებული, ისეთზე, რომელიც ქართველ ერს იდენტურობას, ფუნქციასა და თავმოყვარეობას უკარგავს.

**— რომელ ეროვნულობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა, ელემენტარულად ეროვნება აღარ გვაქვს არანაირ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში...**

— რა თქმა უნდა. თუნდაც ის დისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელიც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ხორციელდება, რაც ქართველი ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია.

**— სანდრო, არ ფიქრობთ, რომ ეროვნულობის შეგრძნება და მისით აღმაფრენა, რამდენიმე თაობისთვის უკვე უცხოა?**

— ჩვენდა სამწუხაროდ, ეროვნულობის მოწინააღმდეგე ჯგუფები ცდილობდნენ ჩაეგონებინათ, რომ ეროვნულობა რეგრესია, მაგრამ ვერ მოასწრეს, მაინც არის შემორჩენილი უდიდესი პატივისცემა იმ ტრადიცებისა და ზნეობისადმი, რომელიც ქართველ ერს ყოველთვის გამოარჩევდა მსოფლიოში. მე პესიმისტურად არ ვუყურებ ამ საკითხს, რადგან ვხედავ, რომ მიუხედავად მავანთა დიდი მცდელობისა, საქართველოში ჯერჯერობით მაინც „მამულს, ენას და სარწმუნოებას“, ალტერნატივა არ აქვს ნებისმიერ თაობაში, არ ვგულისხმობ იმ მახინჯ გამოვლინებებს ორგანიზაციების სახით, რომლებიც სადღაციდან ფინანსდებიან. რადგან ეს განწყობა არსებობს, მას უნდა გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ, სხვაგვარად ვერ მივიღებთ თავმოყვარე და პროგრესულ ახალგაზრდობას.

**მაია ქელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




**ზურაბ აბაშიძე:** ამერიკის ერთერთმა მაღალჩინოსანმა „ნიუ-იორკ თაიმსთან" საუბრისას განაცხადა, რომ ბარაკ ობამამ შეძლო ისრაელის პრემიერის დარწმუნება, დაელოდოს ეკონომიკურ სანქციებს ირანის წინააღმდეგ, რომელიც ევროკავშირმა დაუწესა. ეს ძალიან ფართო და აქტუალური თემაა. ირანის ურთიერთობების გაფუჭება დასავლეთთან დაიწყო 1979 წელს, როდესაც იქ მოხდა რევოლუცია და ხელისუფლებაში მოვიდნენ ისლამური ძალები; გაწყდა ურთიერთობები აშშ-სთან. მაშინ დიპლომატებიც კი დაატყვევეს. ეს ურთიერთობა და ირანის ბირთვული იარაღის საკითხი ალბათ უფრო ფართო კონტექსტში უნდა დავინახოთ. საქმე ისაა, რომ ერაყში მომხდარი დიდი კოლიზიების შემდეგ, ირანის გავლენა ერაყზე გაძლიერდა. ძალაუფლება შიიტების ელიტისკენ გადაიხარა. დიდი ძვრები ხდება მთლიანად ისლამურ სამყაროში. გახსოვთ, რა მოვლენები განვითარდა ეგვიპტეში, ლიბიაში, ტუნისში. დღეს ეს რეგიონი და რაღაც ახალი იხარშება.



სირიის თემაც დაკავშირებულია ირანთან, რადგან ითვლება, რომ სირია ირანის მოკავშირეა. ასე რომ თუკი ერთ მშვენიერ დღეს ირანს ექნება ბირთვული იარაღი, დასავლეთში თვლიან, რომ ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ირანის პოზიციებს. ამიტომ დასავლეთი, აშშ, ისრაელი და სუნიტური არაბული სამყარო დაინტერესებულია იმით, რომ ირანს ბირვული იარაღი არ ჰქონდეს. ვფიქრობ, რომ რაღაც ეტაპზე დაელოდებიან ემბარგოს შედეგებს. როგორც ჩანს, ეს უკვე მუშაობს, რადგან ირანის მთავარი შემოსავალი ნავთობია. გაზაფხულზე გამოიკვეთება, მომწიფდა გარკვეული კომპრომისისთვის ირანი თუ შემდგომ ნაბიჯებზე უნდა იფიქრონ. აი, ეს შემდგომი ნაბიჯები, რა თქმა უნდა, არის სახიფათო პერსპექტივა, ღმერთმა არ ქნას, რომ იქ დაიწყოს სამხედრო კონფლიქტი, რადგან ეს მთელ რეგიონზე იმოქმედებს. ჩვენც ძალიან ახლოს ვართ და არანაირად არ უნდა ვიყოთ დაინტერესებული, რომ რეგიონში ასეთი სახიფათო მოვლენები განვითარდეს. ირანი დიდი, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ქვეყანაა, ამიტომ რა შედეგებს მოიტანს ასეთი სამხედრო დაპირისპირება, ძალიან რთული სათქმელია. ამ ეტაპზე, უახლოს მომავალში ამის ალბათობა დაბალია; საწყის ეტაპზე იყო ფსიქოლოგიური, ნერვების ომი, მაგრამ ეს ეტაპი ჩავლილია და მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ გამოვედით აქედან, მსხვერპლის გარეშე; ახლა დაელოდებიან სანქციებს და პარალელურად იქნება დიპლომატიური მუშაობა, რათა როგორმე დაარწმუნონ ირანი, რომ რაღაც ნაბიჯები გადადგას. შეიძლება ითქვას, გაზაფხულამდე დრო გვაქვს.

რაც შეეხება ჩინეთისა და რუსეთის როლს ამ თეორიულ კონფლიქტში, რუსეთი ობიექტურად არ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მის მეზობელ ქვეყანას ჰქონდეს ბირთვული იარაღი და რეგიონში ახალი საფრთხის კერა შეიქმნას. ეს მარტო იმას არ ნიშნავს, რომ ირანს გაუჩნდეს ბირთვული იარაღი. ამას შეიძლება ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს მეზობელ ქვეყნებში; მაგალითად, საუდის არაბეთს, რომელსაც უზარმაზარი რესურსი აქვს ამისათვის, ვთქვათ, იგივე ეგვიპტეს და ა.შ. ეს კი არავის არ აწყობს რეალურად და არც რუსეთს. მაგრამ რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დივიდენდები მიიღოს აქედან პოლიტიკური თვალსაზრისით. დიპლომატიური მექანიზმი შექმნილია რუსეთთან ურთიერთობებისა, ეს ხდება ძირითდად ატომური სააგენტოს მეშვეობით. რუსები თვლიან, რომ ჯერ კიდევ დიპლომატიური გზით კომპრომისის მიღწევის რესურსი მთლიანად არ არის ამოწურული. ისინი თვლიან რომ უნდა გაგრძელდეს მუსაობა, რომ სანქციები, ემბარგო არ არის ის გზა, რაც ასეთ კომპრომისამდე მიგვიყვანს. ძნელია ამ ეტაპზე იმის თქმა, რა იქნება ემბარგოს შედეგები და რამდენად ეფექტურად იმოქმედებს დასავლეთი კულუარულად, რათა ირანთან საერთო ენის მონახვის რაიმე დამატებითი გზები მოიძიოს. თუმცა ჯერჯერობით, საიმედო არაფერი ჩანს.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და ობამასა და სააკშვილის შეხვედრაზე რუსეთის რეაქციებს, ბუნებრივია, რუსეთისათვის ამ შეხვიდიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ასპექტი იყო, ხომ არ მოილაპარაკეს, ხომ არ შეთანხმდნენ სამხედრო თანამშრომლობასა და შეიარაღების მიწოდებაზე. ეს გაცილებით მეტად აინტერესებს რუსეთს, ვიდრე თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი, დემოკრატიული ინსტიტუტები და ა.შ. გასაგები მიზეზების გამო. მათი გეოპოლიტიკური ხედვა ესეთია, რომ არ სურთ, მეზობელ ტერიტოერიებზე იყოს აშშ-ს ან ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურა განლაგებული. ამ ჭკუაზე დღეს რუსეთი და ამიტომ არის კატეგორიულად წინააღმდეგი საქართველოს ნატოში გაწევრიანებისა. რაც შეეხება მედვედევის განცხადებას, ეს შეიძლება ნაწილობრივ წინასაარჩევნო კამპანიოასთანაც იყოს დაკავშირებული, ნაწილობრივ ამ შეხვედრი გამოძახილია და ალბათ იმ ვითარებასთანაც არის დაკავშირებული, არც დრეს ცხინვალშია შექმნილი, რადაგნ ვის იცავენ საჯარისოპ ნაწილები ცხინვალში, უკვე გაუგებარია. იქ ისეტ დაძაბულობა და სიდადაპირისპირებაა, რომ რუსეთი უკვე ძალიან ცუდად მოჩანს ამ ფონზე. რისეთის სამხედრო ბაზების როლი ამ რეგიონში სრულიად ალოგიკურად ჩანს. ვის ინტერესებს იცავენ ისინი? ადგილობრივი მოსახლეობის? რომელტაც უფლებას არ აძლევენ აირჩიონ, ვინც უნდათ და ა.შ.?!

საერთოდ გული მწყდება, როცა ვუსმენ ასედი დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტის განცხადებებს, რომელიც გვემუქრება ჩვენ. ალბათ ეს რიტორიკა გაგრძელდება, რადგან საქართველო რუსეთისთვის ძალიან კომფორტული მტერია - პატარა, სამხედრო თვალსაზრისით არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. ამის გაბერვა და წინა საარჩევნო კონიუქტურის თვალსაზრისით გამოყენება ყოველთვის შეიძლება. თუმცა რუსეთს გაცილებით დიდი პრობლემები აქვს და შეიძლება ამ ყველაფერმა ფუჭად ჩაუაროს.

საქართველოს ნატოში გაწევრიანება ახლო მომავლის პერსპექტივა ნამდვილად არ არის. ჩემის აზრით, თვითიონ ნატოში არ არიან ჩამოყალიბებულნი, რა შეიძლება შესთავაზონ ახალი საქართველოს ჩიკაგოს სამიტზე. რაღაც ნაბიჯი რომ იქნება გადადგმული დარწმუნებული ვარ, მაგრამ რა იქნება ეს ახლი შეთავაზება, ამის თქმა მიჭირს. აუცილებლად გაკეთდება განცხადება, იქნება საუბარი, შემდეგ ჩაიწერება რეზოლუციაში, მაგრამ ეს ახალი ელემნტი რა იქნება, შეიძლება ჯერ არც არის გადაწყვეტილი და შეთანხმებული. შეიძლება გაჩნდეს ახალი ტერმინი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ რაღაც დიდ გარღვევას არ უნდა ველოდოთ. არის გარკვეული ფაქტორები, რაც რეალობაა. რუსეთი ჩვენ უკვე დავასახელეთ; მოუგვარებელი კონფლიქტებიც ხელისშემშლელი ფაქტორია და ისიც ვიცით, რომ ჩვენ საშინაო დავალებაც არ შეგვისრულებია სახლში დემოკრატიული ინსტიტუტების თვალსაზრისით. პირველი ორი ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მესამე. პერსპექტივა, როდის მმოხდება ჩვენი გაწევრიანება ძალიან რთული სათქმელია, ეს შეიძლება იყოს ერთი წლის შემდეგ ან ათი წლის შემდეგ. თუ 20-ე საუკუნის გადასახედიდან შევხედავთ ამ სიტუაციას, 5 ან 10 წლიანი პერსპექტივა შეიძლება არც ისე ტრაგიკულად მოგეჩვენოს.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## mainteresebs, qarTuli produqtis warmoebis xelSewyoba ufro mniSvnelovania dRes, Tu dafinanseba iseTi wignisa, rogoric aris: `meezovis megobari~!

**სულ ახლახან დამთავრდა მერიის „წარმატებული" პროექტი —„დასაქმდი და დაასაქმე", რომელიც ითვალისწინებდა „დაიწყე, ბიზნესის" ფარგლებში ახალი პროექტების განხორციელებას, და სამუშაო ადგილების შექმნას. მითუმეტეს, რომ ამისი გამოცდილება ქვეყანას უკვე გააჩნდა 2009 წლის „იაფი კრედიტის" შემდეგ.**

**საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით პროექტში მონაწილე ქალბატონ ციალა ბექურაიძეს**

**— ქალბატონო ციალა, რამდენადაც ვიცი, თქვენ ამ ახალ პროექტში რამოდენიმე ბიზნეს-გეგმა წარმოადგინეთ, გამოგონებისათვის სიგელითაც დაგაჯილდოვეს, მაგრამ არ დაგაფინანსეს და საბოლოოდ უარი გითხრეს. რატომ?**

— 2011 წლის პროექტამდე იყო 2009 წლის „იაფი კრედიტის" პროექტი, მაშინაც მივიღე მასში მონაწილეობა, მეგონა სახელმწიფოს მართლა აინტერესებდა წარმატებული ქართული პროდუქტის შექმნა, თუმცა, მაშინაც უარით გამოგვისტუმრეს, მხოლოდ წერილობით გვაცნობეს, რომ ეს პროგრამა არ შედგა, ვინაიდან გასაცემი თანხები გადაგზავნილ იქნა განმუხურის




დაზარალებულთა დასაფინანსებლადო, ნაწილი კი რთველის ჩასატარებლადო, თანაც დაგვპირდნენ, რომ პროგრამა განახლდებოდა 2011 წელს. სინამდვილეში კი სხვა რამ მოხდა. კერძოდ, 2009 წელს ნაცვლად 20 მილიონისა გასცეს 60 მილიონი ლარი და დააფინანსეს 72 პროცენტი. ამ ჩამონათვალში მაშინ ჩემს მიერ წარდგენილი პროექტი თავისი მნიშვნელობით და აქტუალობით მე-5 ადგილზე იყო და რატომ არ მოხვდა 72-ს შორის — გაუგებარია!

იმედი არ გადამიწყვეტია, რადგანაც მერიის მიერ შემოთავაზებული პროგრამა „დაიწყე ბიზნესი ჩვენთან ერთად" — ზუსტად ჩემზე იყო გათვლილი. ვიწყებდი ჩემს ჯგუფთან ერთად ბიზნესს, რომელიც ქართულ ბაზარს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული პროდუქტით გაამდიდრებდა და უცხოეთიდან მისი ანალოგის შემოტანა აღარ დაგვჭირდებოდა.

**— რატომ იყო თქვენს მიერ წარმოებული პროდუქტი ასე მნიშვნელოვანი?**

— ეს იყო ადგილობრივ ნედლეულზე დამზადებული ნატურალური პროდუქტი —„ქუმელი" — რომელსაც გარდასულ საუკუნეებში „ბიბლიურ საკვებსაც" უწოდებდნენ. მისი ღირებულებები მინიშნებულია კარაბადინში, ხოლო ხალხური მედიცინის ენციკლოპედიაში ამ პროდუქტის ერთი სახეობა —„უკოფეინო ქერის ყავის" სახელით არის შეტანილი და რომელსაც გააჩნია მრავალი სამკურნალო თვისება.

აღნიშნული პროდუქტი საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს შეტანილი აქვს ბავშვთა კვების მენიუში და მას მიეძღვნა კონფერენცია, თუ სად იშოვონ ქუმელი. ჩვენ კი ვთავაზობთ მათ ადგილობრივ, ნატურალურ პროდუქტს თანაც 4-ჯერ იაფს.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ეს პროდუქტი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში იქნებოდა აუცილებელი, არამედ გაიყიდებოდა. აშშ-ში, კანადაში, იტალიასა და იაპონიაში, — როგორც სასარგებლო ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ასეთი მნიშვნელოვანი გამოგონებისათვის მერიამ ჩვენთვის მხოლოდ — სიგელი გაიმეტა, სხვა პროექტებიც კი დააფინანსა იაფი კრედიტის სახით. — რამდენადაც ვიცი თქვენ სხვა პროექტებიც გქონდათ?

**— დიახ, ეს იყო ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „თბილისის თავგადასავალი", რომელიც ტექსტთან ერთად შეიცავს ისტორიულ რუკებს, ფოტოებს, სქემებს და მას ანალოგი არ გააჩნია.**

ამ პროდუქტისთვისაც დამაჯილდოვეს და გადმომცეს — „თბილისის მერიის სპეციალური სიგელი" ხოლო სხვები დააფინანსეს.

**— იქნებ ის სხვები თქვენს ნაშრომზე უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო?**

— იცით რა ნაშრომი დააფინანსეს, თავად განსაჯეთ —„რა ვაკეთოთ თავისუფალ დროს!", ან ასეთი „ბამბუკის ახლადაღმოცენებული ნაყოფიდან კერძების მომზადება", „გედის ფორმის საკონდიტრო ნამცხვარი" და სხვა მსგავსი წიგნები.

**— პროექტი „დაიწყე ბიზნესი" ხომ თქვენნაირი დამწყები მეწარმეებისათვის იყო გათვლილი რა ნიშნის მიხედვით დაგიწუნეს?**

— იმ ნიშნით დამიწუნეს, რომ ბანკებში არ გვაქვს ბრუნვა. ბლანკზე შავით თეთრზე წერია —„დაიწყე ბიზნესი" თუ დაწყებული მაქვს და ფულიც, პროექტში რისთვის მივიღებდი მონაწილეობას? პასუხად ჩვენ ვუხსნით, რომ გვაქვს მცირე საწარმო, რომელიც განთავისუფლებულია დღგ-ს გან, ამიტომ ბანკებში ბრუნვა არ მოგვეთხოვება (პროდუქციას გავცემთ მაღაზიებზე ზედნადების სახით), მათი პასუხი ასეთია, მართალია, არ მოგეთხოვებათ, მაგრამ თურმე არიან ადამიანები, რომელთაც არ მოეთხოვებათ ბანკებში გადასახადი, მაგრამ „დიდი სურვილი" აქვთ მაინც გადაიხადონ!

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პროგრამა „დაიწყე ბიზნესი ჩვენთან ერთად" ითვალისწინებს წარმოების 6 თვის გამოცდილებას, ეს არის დაიწყე?

ივლისის თვიდან კვლავ შევიტანე განაცხადი, რომელიც სათითაოდ გადაიგზავნა სხვადასხვა ბანკში და ეს პროცედურა გაგრძელდა 2012 წლის იანვრამდე — საბოლოო უარით! ყველგან ამ უარის მიზეზი იყო ის, რომ ბანკებში არ გვაქვს ბრუნვა.

მაინტერესებს, ქართული პროდუქტის წარმოების ხელშეწყობა უფრო მნიშვნელოვანია დღეს, თუ დაფინანსება ისეთი წიგნისა, როგორიც არის: „მეეზოვის მეგობარი"! ეს ხომ ხალხის დაცინვაა და მეტი არაფერი!

ქალბატონ ციალას თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე იუზა წოწორიამ ასეთი პასუხი გამოუგზავნა: თქვენი განცხადების №12-6025-11 პასუხად გაცნობებთ, რომ გამომგონებლებთან გასაუბრების შედეგების თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღო არა თბილისის მერიამ, არამედ სხვადასხვა უწყებებში მოღვაწე ექსპერტებით დაკომპლექტებულმა კომისიამ, თქვენ კი გადმოგეცათ ქ. თბილისის მერიის სპეციალური სიგელი.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მერია წარმატებულ პროდუქტებს სიგელით აჯილდოვებს, ხოლო წარუმატებელ პროექტებს კი თანხით აფინანსებს!

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, თუ რომელ სეგმენტზეა გათვლილი წიგნი „მეეზოვის მეგობარი?"

**ეთერ კასრელიშვილი**

# jondi baRaTuria: dRes erTobis alternativas ver vxedav

*გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი, „ქართული დასის“ ლიდერი* ***ჯონდი ბაღათურია***

**— ბატონო ჯონდი, როგორც ცნობილია, საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლითაც უკმაყოფილოა ვენეციის კომისია და ოპოზიცია. გვაინტერესებს თქვენი, როგორც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლის აზრი.**

— საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ლოგიკური არჩევანია დღევანდელი ხელისუფლების, რომელიც აშენებს არადემოკრატიულ, ტოტალურ სახელმწიფოს. უკეთესი იქნება მეტი წინააღმდეგობის უნარი ჰქონოდა ქართულ ოპოზიციას და საზოგადოებას. სამწუხაროდ, ჩვენი ოპოზიცია დღემდე ერთმანეთთან ბრძოლით, ჭიდაობით, საქმეების გარჩევით არის დაკავებული და არა იმით, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოახერხოს კონსოლიდაცია, რათა როგორღაც შეძლოს ქვეყნის რეგრესის შეჩერება.

**— იმ საარჩევნო კოდექსით, რომელიც არათუ გააუმჯობესებს, არამედ გააუარესებს პროცესს, რისი იმედი და შანსი აქვს ოპოზიციას მომავალ არჩევნებში?**

— ოპოზიციას შანსი აქვს თუ იქნება ერთიანობა. თუ იქნება ერთობა, იქნება გამარჯვება, არ იქნება ერთობა, არ იქნება გამარჯვება, ეს ცალსახად არის. სანამ იქნება ერთმანეთსკენ თითის გაშვერა, ლაპარაკი, რომ იმასთან არ დავჯდები სასაუბროდ, იმას გამარჯობას არ ვეტყვი, ასეთი გულუბრყვილო, მაგრამ ბოროტი გამოხტომები ოპოზიციონერების მხრიდან, ერთმანეთზე თავდასხმებს ვგულისხმობ, მანამდე იქნება ეს ხელისუფლება. უნდა იცოდეს ყველამ, რომ სააკაშვილი ოპოზიციის კისერზეა, განსკუთრებით იმ ნაწილის, რომელიც ურთიერთკინკლაობით არის დაკავებული და ამით არ ებრძვის სააკაშვილს და მის ავტორიტარულ, კორუმპირებულ რეჟიმს.

**— ახლა ბევრს საუბრობენ, რომ შეიძლება შეიქმნას მესამე ძალა. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, ქვეყანაში ვითარების გამოსასწორებლად წაადგება მესამე ძალის შექმნა?**



— მესამე ძალა არ უნდა შეიქმნას, მაგრამ ვერც ვერავის ეტყვი, სახლში წადიო. ვიმეორებ, უნდა შედგეს დიდი გაერთიანება და ვითარებაც შეიცვლება. დღეს, ერთობის ალტერნატივას ვერ ვხედავ. უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოების კონსოლიდაცია, ამას გაერთიანება მოჰყვება. დღეს ჩვენი ქვეყნის პრობლემა ერთობაა, სამწუხაროდ, საზოგადოება, ქვეყანა გახლეჩილი და დანაწევრებულია. უნდა გამოვიჩინოთ პოლიტიკური სიმწიფე, პასუხისმგებლობა ისტორიის, აწმყოსა და მომავლის წინაშე და გავერთიანდეთ.

**— ბატონო ჯონდი, თქვენ არაერთხელ გამოხატეთ დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკასთან დაკავშირებით — როგორ ფიქრობთ, იქნება მისი პოლიტიკური ორგანიზაცია ქმედითუნარიანი?**

— დღეს მიზიდულობის ცენტრი ბიძინა ივანიშვილის ფიგურაა, ეს ფაქტია. ზოგს მოსწონს ეს და მათ შორის მეც. ამიტომ ბიძინა ივანიშვილის გარშემო უნდა მოხდეს მთელი ოპოზიციური სპექტრის, ყველა პატრიოტული ძალის, საზოგადოების სრული კონსოლიდაცია. ვისაც აქვს სურვილი და შეუძლია ერთი აგური მაინც დადოს ქვეყნის გადარჩენისთვის, წართმეული სამშობლოს, ღირსების, უფლებების დაბრუნებისთვის, ყველა ადამიანმა ეს ნაბიჯი უნდა გადადგას.

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ უნდა მოხდეს გაერთიანება ერთის წინააღმდეგ და გამარჯვების შემდეგ ხალხი გააკეთებს არჩევანს?**

— ერთის წინააღმდეგ კი არა, ყველა უნდა დავირაზმოთ სამშობლოს გადასარჩენად, რეჟიმის წინააღმდეგ, მუშკეტერების ლოზუნგის „ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის“ მსგავსად. ყველა ერთისთვის, ანუ ყველა სამშობლოსთვის და სამშობლო ყველასთვის. ყველამ ერთნაირად უნდა ვიზრუნოთ წართმეული სამშობლოს, დაკარგული მომავლის დაბრუნებისთვის. დღეს ჩვენ გვაქვს შანსი დავიბრუნოთ წართმეული სამშობლო და მომავალი, იმიტომ არა, რომ მე მომწონს ბიძინა ივანიშვილი და პოზიტიურად ვაფასებ, ეს რეალობაა და სწორედ მის გარშემო უნდა მოხდეს ყველა ძალის დარაზმვა.

**— როგორ ფიქრობთ, რა შედეგს მოიტანს არჩევნებში პარტიების ცალ-ცალკე მონაწილეობა?**

— ამით ამომრჩეველთა ხმები დაიქსაქსება და მიშა ისევ სულ ხითხითით გაიმარჯვებს. და კიდევ, რაც მნიშვნელოვანია. დასავლეთში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში დაინტერესებულები არიან, რომ საქართველოში მოხდეს ხელისუფლების ცვლილება. თუნდაც იმიტომ, რომ აშშ ისეთი ქვეყანაა, სადაც ვადის ამოწურვის შემდეგ პრეზიდენტები მიდიან აქტიური პოლიტიკიდან. მაგრამ დასავლეთი უნდა ხედავდეს ალტერნატივას, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეძლებს ქვეყნის მართვას. ამას კი ცოდნა, გამოცდილება, ხალხში ავტორიტეტი სჭირდება, მით უფრო გარდამავალ პერიოდში. ამას კი სრული ერთობა, კონსოლიდაცია სჭირდება. თუ ეს არ იქნება, დასავლეთს მოუწევს თავისი სურვილის გადახედვა და კომპრომისზე წასვლა. გვახსოვს, სხვა ქვეყნებში მსგავსი კომპრომისები. ამიტომ მივცეთ საკუთარ სამშობლოს გადარჩენის შანსი, მივცეთ დასავლეთს საშუალება გვერდში დაგვიდგეს ამ ავტორიტარული რეჟიმის ცვლილებაში.

**— ამას სააკაშვილის აშშ-ში ახლანდელი ვიზიტის შედეგებიდან გამომდინარე ამბობთ?**

— არა, ვიზიტისას კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდა. ეს დრო და მომენტი მოსალოდნელი იყო. 2009 წლის აქციების დროს კოლეგებს ვეუბნებოდი, რომ არ იყო ის მომენტი, როდესაც ყველა ვაზნა უნდა გაგვესროლა, მაშინ ქვეყნის გარედან იყო მძლავრი მცდელობა ამ ხელისუფლების შენარჩუნებისა. ჩვენ მარტო ვიყავით დანარჩენი სამყაროს წინააღმდეგ. იმ აქციების პერიოდში ეროვნული ენერგიის დიდი ნაწილი გაიფანტა ჰაერში. მაგრამ ღმერთმა არ მიატოვა ჩვენი ქვეყანა. კიდევ მოგვცა შანსი, კვლავ გამოგვიჩნდა ლიდერი, რომელსაც ასეთი მხარდაჭერა აქვს. ჩვენ ახლა უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი. მიხეილ სააკაშვილმა იცის, რომ მისი იმიჯის გამოსწორებაზე მუშაობა რთულია, თითქმის შეუძლებელი. ამიტომ რამდენიმე წელია ერთი და იგივე მეთოდით მოქმედებს — ოპოზიციაში განხეთქილების შეტანით, დაქსაქსვით, ცილისწამება-დაბრალება, ან რომელიმე შეცდომის სათავისოდ გამოყენება. აი ეს არის მისი მეთოდები, გაერთიანებული ოპოზიციის შიგნით განხეთქილება რომ არ მომხდარიყო, რეჟიმი შეიცვლებოდა. ახლაც იგივეს გაკეთებას ცდილობენ. უნდა დამთავრდეს ურთიერთლანძღვა. არავინ არავისზე არც უკეთესია და არც ცუდი. ღმერთმა მოგვცა შანსი და უნდა გამოვიყენოთ, რომელიც ხვალ შეიძლება აღარ გვქონდეს.

**— ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთ გადაცემაში თქვით, რომ იცით, პარლამენტართაგან ვინ რომელ ბიზნესს ლობირებს, მაგრამ დროის სიმცირის გამო ვერ დაასახელებდით...**

— მაჟორიტარი დეპუტატების 90 პროცენტი ბიზნესმენები, ოფიციალური მილიონერები არიან. პარლამენტის წევრთა უმრავლესობა დეკლარილებული მილიონერია. კარგია, როცა ქვეყანაში ბევრი მდიდარი ადამიანია, მაგრამ ესენი პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ სიით არიან გასული, ქონების წართმევის შიშით მთლიანად ნაცმოძრაობისგან კონტროლდებიან.

**გია ბურდული**

# ratom Seuwyvita samusiko skolebs xelisuflebam dafinanseba?

*გვესაუბრება სამუსიკო ხელოვნების პედაგოგიური ინსტიტუტის დამფუძნებელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ასოცირებული პროფესორი* ***თამაზ გადილია:***

**— ბატონო თამაზ, ხელისუფლება ახალ-ახალ რეფორმებს ატარებს. რა ვითარებაა ამ კუთხით სამუსიკო ხელოვნებაში, სასიკეთო ძვრები არის?**

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რეფორმები თითქმის ყველა სფეროში გატარდა. მათ შორის განათლებაშიც. ამ შემთხვევაში სახელოვნებო განათლების, კერძოდ, სამუსიკო განათლების სფეროში გატარებულ რეფორმებზე ვისაუბრებ. კერძოდ, გაუქმდა საშუალო სპეციალობის სასწავლებლის რგოლი, რომელიც საბაზო-სამუსიკო და უმაღლეს განათლებას შორის დამაკავშირებელი იყო. შედეგად თბილისის კონსერვატორიაში კადრების ნაკლებობა თვალსაჩინოა. საშუალო რგოლის არარსებობამ ვაკუუმი წარმოშვა, სისტემა აბსოლუტურად მოიშალა. პრობლემაა ისიც, რომ სამუსიკო სკოლები დაფინანსების გარეშე დარჩნენ. შემცირდა კონტინგენტი. სკოლები თვითდაფინანსებაზეა გადასული, პრობლემები ექმნებათ როგორც პედაგოგებს, ისე მშობლებს. ამ დარგმა, მთავარი ხიბლი, რომ ჩამოყალიბებული მუსიკოსი თავის ნიშას, ადგილს მოძებნიდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამას ამძაფრებს შემდეგი ფაქტი — საწყის ეტაპზე სამუსიკო სკოლებში აღმოჩენილი ნიჭიერი ახალგაზრდობა უკვე საზღვარგარეთ მიემგზავრება და იქ აგრძელებს სამუსიკო კარიერას, სხვა ქვეყანაში ეძებს განათლებას, იმაღლებს პროფესიონალიზმს. ასეა საქართველოში, ნიჭიერ ახალგაზრდებს გასაქანი არ აქვთ, რაც გარკვეულწილად, აზარალებს ჩვენს კულტურის სფეროს და განსაკუთრებით სამუსიკო განათლებას.

**— რა არის გამოსავალი?**

— მახსენდება პერიოდი, როდესაც სკოლებში, სამუსიკო დაწესებულებებში მოსწავლეები, სტუდენტები სწავლის დიდი სურვილით მოდიოდნენ. ჩვენ შეგვიძლია ამის დაბრუნება თუ საზოგადოება, განსაკუთრებით, ხელისუფლება, სახელმწიფო ამ სფეროს რეაბილიტაციაში მონაწილეობას მიიღებს. ხელისუფლებამ ამ დარგის განვითარებისთვის ეს სფერო უნდა ააღორძინოს. ამ სფეროს სპეციალისტი ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი აღორძინება ჩემი თვითმიზანია. ეს ჩვენი სულიერების, საზოგადოების დონის ამაღლების საწინდარია. უფრო მეტიც, სამუსიკო განათლებამიღებული პიროვნებები კანონმორჩილნი არიან. სახელმწიფოს უნდა აინტერესებდეს შექმნას რაც შეიძლება დიდი არმია ადამიანებისა, რომლებიც ამ სფეროში თუნდაც დაწყებით განათლებას მიიღებენ. სამწუხაროდ, ეს პროცესები მხოლოდ ჩვენთვის არაა დამახასიათებელი, არამედ კრიზისი მთელს მსოფლიოშია.

აქ საკმარისი საფუძველი არაა იმისათვის, რომ ამ ნიჭიერებამ გზა მონახოს, შემოქმედებითი გზა გაიკვლიოს. ნიჭიერი ქართველისთვის არ არის კონცერტების ჩატარების, დაფინანსების საშუალება, ამიტომ უკეთეს გამოსავალს ეძებენ უცხოეთში გაქცევით, რასაც ზოგი წარმატებით, ზოგიც ნაკლები წარმატებით აღწევს. თუმცა, უმრავლესობა უკან აღარ ბრუნდება. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს კარგია. ჩვენ არ გვაქვს ნიჭიერი ახალგაზრდობის დაკარგვის უფლება.



**— პრობლემები ამ კუთხით დასავლეთში და მთლიანად მსოფლიოშიც არის, თუმცა რადიკალურად განსხვავებული. რაში მდგომარეობს ჩვენი პრობლემები?**

— ჩვენ დიდი შეცდომა დავუშვით, როცა სამუსიკო განათლების სფეროში გატარებული რეფორმებით საშუალო სპეციალური სასწავლებლები გავაუქმეთ. ამან უდიდესი დარტყმა მიაყენა ამ სფეროს, თითოეულ მუსიკოს და უფრო მეტიც, თავად მსმენელს, საზოგადოებას. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ რგოლის გაუქმებით ძალიან ბევრი ადამიანი უმუშევარი დარჩა. ეს მრავალმხრივი უკუსვლაა.

მერიამ სამუსიკო სკოლების დაფინანსებაზე უარი განაცხადა. სხვათაშორის უნდა გითხრათ ერთი რამ — 90-იან წლებში საქართველოს პარლამენტმა კულტურის კანონი მიიღო, სადაც ერთ-ერთ პუნქტად, გამოკვეთილადაა მითითებული, რომ საბაზო, სახელოვნებო განათლებას სახელმწიფო აფინანსებს. ეს კანონი დღემდე არავის შეუცვლია და არც ეს პუნქტია კანონიდან ამოღებული. ეს კანონი დღესაც მოქმედებს, მაგრამ მიუხედავად ამისა საწინააღმდეგო რამ მოხდა. როგორც ჩანს ეს არ გაითვალისწინეს მერიის მესვეურებმა და სამუსიკო სკოლებს კანონდარღვევით შეუწყვიტეს დაფინანსება. ერთი პოზიტივი რაც არის — სკოლები გარემონტდა. ასევე, ორი წლის წინ შემოიღეს სტიპენდიები გამორჩეული სტუდენტებისთვის. მაგრამ ეს არ არის განმსაზღვრელი, შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ სამუსიკო სკოლების თვითდაფინანსებიდან გამომდინარე, პედაგოგთა ხელფასები 100 ლარის ფარგლებში მერყეობს. მაღალ ეშელონებში ზოგის ხელფასი საკმაოდ მაღალია. პედაგოგები, ფაქტობრივად ენთუზიაზმზე მუშაობენ. სიმართლე უნდა ითქვას, თუ რა მდგომარეობაა, რა რეალობაა ქვეყანაში. პრესაში ხშირად გამოითქმის კრიტიკული შენიშვნები, რასაც ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს და გაითვალისწინოს ეს. შეეკითხონ მაინც ვინმე პროფესიონალს, როგორ შეიძლება ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის მოგვარება ისე, რომ არც ქვეყანა დაზარალდეს და არც ადამიანები. ამ პრობლემების მოგვარებით, ხომ საბოლოოდ ქვეყანა, თავად საზოგადოება დარჩება მოგებული.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, სამწუხაროდ, ეს სფერო, დღეს ჩრდილშია, უყურადღებოდაა დარჩენილი. სახელმწიფოს მხრიდან კი პრობლემების მოგვარების მცდელობა, ნაბიჯების გადადგმა არ ყოფილა. ყველაზე მეტად ე.წ. რეფორმებით სწორედ უმაღლესი განათლება დაზარალდა, როგორც მოგახსენეთ საშუალო რგოლის გამოცლით, კონსერვატორიაში საჭირო რაოდენობის კონტინგენტი აღარ მიდის, იგი გეგმას ვერ ასრულებს. ხალხი აღარ მოდის იმიტომ, რომ გარემო, სიტუაცია შეიქმნა ისეთი, თითქოს ეს დარგი აღარავის სჭირდება. იქნებ თქვენი გაზეთის მეშვეობით გამოგვეხმაურონ. შეიძლება რამე სადაოც იყოს და კი, ბატონო ვიკამათოთ. მაგრამ ის, რომ ამ დარგის გადასარჩენად ცვლილებებია განსახორციელებელი, ეს ეჭვგარეშეა. იმედს ვიტოვებ, პროფესიონალები გამოგვეხმაურებიან და ერთად ვიმსჯელოთ, რით შეიძლება სიტუაციის გამოსწორება. ეს არც ჩემი, არც თქვენი, არამედ მთლიანად საზოგადოების საქმეა.

**თამარ შველიძე**

# politikuri muclisgvrema da daunizmi



სანამ „მიშავიზიები“ ვინმე პატრიკ დაუნის კუჭის აშლილობის ამბებს საინფორმაციო გამოშვებაში „ესოდენ ძვირფას დროს“ დაუთმობდნენ, მანამდე აიკლო ამ კაცმა ინტერნეტსივრცე, ხალხო, 2008 წლის სექტემბერში უტა ივანიშვილმა მომწამლაო. დღეისათვის ასეთი ატაცებული აქტუალური სიტყვა, კულტურულ-ხალხური — „ფაღარათი“, არ იცის დაუნმა პატრიკ დაუნმა, სავარაუდოდ, არც „დიარეა“ ეცოდინება, მან იცის მრისხანე სიტყვა „მომწამლეს!“ ასეა თუ ისე, ფაქტია, მან იცის საქმე, „კოდური სახელწოდებით — ფაღარათი“. (ერთი კარგი „ჯიგარსონა“ კახელი არ გამოჩნდა ახლო-მახლო, თორემ გემრიელად მიუგვირისტებდა „წადი შენი... შე ტრაწიანოო“...)

მოკლედ, „მიშავიზიებმა“ მოძველებული ინფორმაცია ცინცხალად და მრუდედ შეასაღეს მაყურებელს და ნეტარებით ტუჩები გაილოკეს. არა, ფაღარათზე კი არ გაილოკეს, სიუჟეტ-ფაღარათზე, ივანიშვილის მოძულე მხრიდან სავარაუდო შექებისა თუ რამენაირი სახის ჯილდოს მოლოდინში.

ვინ არის ეს პატრიკ დაუნი, დაუნიაო? — იკითხავს ფაღარათისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირში გაუთვიცნობიერებელი კაცი.

თავდაპირველად, ქალბატონ თამარ ჩერგოლეიშვილის შეფასებას გადავწვდები, რომელმაც, სიმართლე ვთქვა, გამაოცა. (არ ვიცი, ფოტოზე გიგა ბოკერიას კალთაზეა გაწოლილი ანაკონდასავით და, სხვა თამარია ვითომ?) „პატრიკ დაუნის ბოდვის საინფორმაციო გამოშვებაში გამშვები, თავად არის დაუნი! ამ რასისტის ბოდვას რომ დაეყრდნობი, პრობლემა გაქვს...“ — აი, გასაოცარი თუ გინდა!... პრინციპში, რა არის გასაკვირ-გასაოცარი, ქალბატონი თამარი ხომ ყოველთვის იმას ამბობს და წერს, რასაც ფიქრობს...

ახლა, ის ვიკითხოთ, მართლაცდა, ვინ არის ეს დაუნი? — უტა ივანიშვილის ინგლისურის პედაგოგი, რომელიც ამტკიცებს, რომ უტა ივანიშვილმა საფაღარათო საშუალების ოცმაგი დოზა დაალევინა და მისი სიცოცხლე სერიოზული საფრთხის (არასერიოზული საფრთხეც არსებობს!) ქვეშ დააყენა. რამდენიმე წუთში ოლიგარქის ექიმთან მიმიყვანეს და სათანადო მკურნალობის შემდეგ, საბედნიეროდ გადავრჩიო. მეორე დღეს ბერა ივანიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ მისმა ძმამ იხუმრა და მობოდიშებას ცდილობდა, მომხდარს ხსნიდა, როგორც ბავშვურ ხუმრობასო.

ჯანდაბას დაუნის ფაღარათაკიდებული დაუნი თავი, მაგრამ ვერავინ ამიხსნა, როგორ დაადგინა დაუნმა, რომ ოცმაგი დოზა საფაღარათო საშუალება მიუღია და არა, ვთქვათ, ოცდაორმაგი, ივანიშვილების ექიმ-კარდიოლოგმა მატოშვილმა გამოუთვალა? და კიდევ, რა ჩანთქა ამისთანა? — ოცმაგი დოზით, ნებისმიერი წამალი გაამწარებდა სასმელ სითხესაც და საკვებსაც, ენის რეცეპტორები იმჟამად არ უმუშავებდა, ახლაღა აუმუშავდა მოგონებებში მწარედ?

კი, ის ტკბილი მოგონება, რაც ახსენდება, მუქთა ხელფასი, მართლაც რომ გაუმწარდებოდა...

2008 წლის სექტემბერში რისგან გამოწვეულ სპაზმებს, რატომ და რა სიხშირით განიცდიდა მისი კლოაკა, ამას ვინ დაეძებს, საქმე იმაშია, რომ ახლა ნამდვილად სჭირს ფაღარათი, ოღონდ პოლიტიკურად გამართული, — აშკარაა, რომ მოშიებია და ვიღაცის კარს მისდგომია, გამახსენდა რომ ოთხი წლის წინ კუჭი ამეშალა და რატომღაც ახლა მადა მომეძალაო.

ეს თუ ასე არ არის, სად იყვნენ აქამდე „მიშავიზია და ნატანჯი პატრიკი“ 2008 წლის სექტემბრიდან 2012 წლის თებერვლამდე, დაუნი უნიტაზზე იჯდა აქამდე?

არა, ბატონო, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საქართველოს შს სამინისტროს ბიძინა ივანიშვილის საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებით დასკვნის გაცემის ვადა 14 თებერვალს ეწურება. (სამოქალაქო რეესტრისა და შსს-ის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, პრეზიდენტს, კანონით, 30-დღიანი ვადა აქვს, რათა ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილისთვის ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქების მინიჭების შესახებ. პრეზიდენტი მსგავს გადაწყვეტილებებს 10 დღის ვადაში აწერს ხელს, მიმართვა 5 იანვრით თარიღდება, ასე რომ, 14 თებერვალი ბოლო დღეა)

აი, ასეთ დროს, ხომ „წამალია“ დაუნებისთვის (დაუნის „მიმდევრები“) „პატრიკ ტანჯულის“ მოგონებები, თან როგორი, ერთი მეორეზე სახალისო.

მაგალითად, დაუნი წერს, რომ ორი წლის მანძილზე ასწავლიდა ივანიშვილის ოჯახის წევრებს ინგლისურს, სამუშაოს კეთილსინდისიერად ასრულებდა, მაგრამ მოსწავლეები (ნეტავ, ქალბატონი ეკატერინეც?) მუდმივად შეურაცხყოფდნენ და არა მხოლოდ მას, მასთან ერთად მომუშავე ოთხ ფრანგ პედაგოგსაც. ერთხელ რკინის სახაზავითაც კი დასხმია თავს უტა ივანიშვილი ჭორვილაში შეურაცხმყოფელი სიტყვებით და უდიერად იხსენიებდა მის გარდაცვლილ მშობლებს და საცოლეს.

აშშ-ის მოქალაქე დაუნი სამხედრო პირი ყოფილა წარსულში (სამხედრო საქმეს ასწავლიდა ეს დაუნი ივანიშვილებს ინგლისურად? — ვერ მივხვდი. რა გაუჭირდა ბატონ ბიძინას, რომ ენის პედაგოგი ვერ „იშოვა?“) და როგორც გამოდის, ბერას „მესაიდუმლეც“, რადგან იგი გაენდო თურმე პატრიკს, მამაჩემი ცუდად არის განწყობილი საქართველოს პატრიარქის მიმართო. დაუნი ამბობს, ეს ამბავი ერთ-ერთ გაკვეთილზე უტამაც დამიდასტურაო.

ეს კიდევ არაფერი, ივანიშვილების მთელი ოჯახი რაღაც უცნაურ ვეგეტარიანულ დიეტაზე ყოფილა, რომლის მეშვეობით, თურმე უფროსი ივანიშვილი 120 წელი აპირებს სიცოცხლეს, — ესეც ბერას უთქვამს.

რა საინტერესოა, ბერას რომ „ქართული ოცნება“ არ ემღერა, რომელ ივანიშვილს დაადებდა ხელს, იმან მითხრა ასეთი „ოჯახური საიდუმლოებებიო?“ ან ეს 120 წელი საიდან მოიტანა დაუნმა, სამამულო ომის დროს საბჭოთა კავშირიდან მტრის მხარეზე გადასულ აბდურაჰმან ავტორხანოვს დაესესხა? (მან გაავრცელა ხმა, რომ სტალინს სჯეროდა აკადემიკოს ბოგომოლეცის მეთოდის და „დეგეგმილი“ ჰქონდა 120 წელი სიცოცხლე)

დაუნი თურმე ძალიან განიცდის იმას, რომ ბავშვი ივანიშვილები ძალზე მცირე რაოდენობით მიირთმევენ ხორცს. დაუნი იმდენად აღშფოთებულ-შეწუხებულია ივანიშვილის ოჯახის ასავალ-დასავლით, რომ ფრანგი მზარეულიც არ ავიწყდება, რომელიც მათ ოჯახში მუშაობას დამშვიდობებია მისთვის უცნობი მიზეზით.

სიცოცხლისმოყვარე ტანჯული პატრიკი უკანმოუხედავად კი გაქცეულა ივანიშვილების სახლიდან, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის სახელით თუ საკუთარი ინიციატივით, გაურკვეველია, ემუქრებოდა „მატყუარა ნაძირალა“ ირაკლი ღარიბაშვილი...



დღემდე, თურმე, კოშმარად დასდევს საბრალოს ის მოგონებები... — რას არ მოიგონებს მონდომებული კაცი...

რა ვიცი, ამბობენ, 5000 დოლარის ეშხით ინგლისურის მასწავლებლად კი გაასაღა თავი, მაგრამ არაფრის მაქნისი რომ აღმოჩნდა, კონტრაქტი შეუწყვიტეს, მაგრამ ბიძინას შეეცოდა და კონტრაქტის შეწყვეტიდან ერთი წლის მანძილზე მაინც უწევდა ფინანსურ დახმარებასო;

იმასაც ამბობენ, ივანიშვილებიდან ივანიშვილისავე ფონდ „ქართუს“ მიადგა ნახევარმილიონიანი პროექტით და რომ არ დაუმტკიცეს, მუქარა და შანტაჟი დაიწყო, თუმცა, პარალელურად კონფიდენციალურ ინფორმაციას სთავაზობდა ბიძინა ივანიშვილს ვანო მერაბიშვილზეო;

იმასაც ამბობენ, ფონდში მუქარის წერილებს აგზავნიდა, სადაც შეურაცხყოფაც ბლომად იყო დახვავებული, არავის გადაუყრია ისინი და საჭიროების შემთხვევაში გამოქვეყნდებაო;

იმასაც ამბობენ, დაუნს უშრეტი, მაგრამ ავადმყოფური ფანტაზიები აქვს, გაყინულ ქათმებს უგზავნიდა ფონდს, როგორც განადგურების სიმბოლოს და ფოტოებს, სადაც საკუთარ თავს „შემსრულებლად“ წარმოაჩენდაო;

დაუნი იხსენებს, როგორ მასლაათობდნენ ის და უფროსი ივანიშვილი, (რომლის სახელის ხსენება აკრძალული იყო და ყველანი მხოლოდ „შეფად“ მოიხსენიებდნენ) რომ ბიძინა ივანიშვილმა უთხრა, პუტინი არ მენდობოდა და ამიტომ, სურდა, მე და ჩემს ოჯახს რუსეთი დაგვეტოვებინაო, — აქ კი, კუჭის გარდა სხვა რაღაც აშკარად აშლია, ვერ გამოსდის ისე, როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვისაა საამებელი...

ამისთანა მოკურკურე „მეგობრების“ მეგობრობას, გამოდის, „მავნებელმა“ უტამ დაუსვა წერტილი...

მოკლედ რომ ითქვას, დაუნის თქმით, ივანიშვილი გაიძვერაა და ყველაზე უკეთ ეს ივანიშვილების ძიძამ გამოხატა, ასე თქვა, „არ არიან ივანიშვილები კარგი ხალხიო...“

ივანიშვილიდან რომ ველარაფერს გამოდნა და სხვასთანაც ველარაფერს გახდა დაუნი დაუნი, არც აშშ-ის ხელისუფლება და აშშ-ის ელჩი დაინდო, ბდღვინი ადინა და ირლანდიას სთხოვა მოქალაქეობა, რაზედაც უარი მიიღო.

დარჩა დაუნი გვარის ამარა, — დაუნი!

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთ ტელეარხზე მესიჯი გავიდა: ხელისუფლებამ რუსთავის ნაწილი, ე.წ. ძველი რუსთავი აზერბაიჯანელებზე გაყიდაო. სიმართლე გითხრათ, ეს არც გაგვკვირვებია, სააკაშვილის რეჟიმისგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა ამ ინფორმაციის გადამოწმება მაინც გადავწყვიტეთ. რუსთაველების განცხადებით, ეს ხმები მართლაც დადის, თუმცა ხელისუფლება ამ ფაქტს მკაცრად ასაიდუმლოებს. ისიც ითქვა, რომ რუსთავის მერიის შენობა პრეზიდენტი ალიევის მეუღლემ იყიდა და იქ საკუთარი რეზიდენციის მოწყობას აპირებს. ჯერჯერობით რუსთავის გამგეობასა და ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას „დისლოკაციის“ ადგილი არ შეუცვლიათ, არც ის არის ცნობილი, სად აპირებენ გადაბარგებას. ალბათ, კომუნისტების დატოვებულ, გაყიდვას გადარჩენილ რომელიმე შენობაში დაიდებენ ბინას, თუარა და, მორიგი შუშის შენობის წამოჭიმვას რა უნდა.

მერიის შენობის წინ მდებარე მოედანსაც რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რის გამოც ლამის მთელი ზაფხული გადაკეტილი იყო მიმდებარე ტერიტორია. გაჩეხეს მიმდებარედ მდგარი მრავალწლიანი ნაძვები და ფრანგული წაბლები, მათ ადგილზე კი შენობის მოპირდაპირე სკვერში უზარმაზარ ლოდები დაყარეს. მოკლედ, იქაურობა თავისი გემოვნების მიხედვით გაულამაზებიათ. თავად მოედანი ჩინეთიდან ჩამოტანილი ქვებით მოაპირკეთეს და ავტომანქანებს იქ მოძრაობა აუკრძალეს. რუსთაველების თქმით, ამ ქვებს ქვიშით აპრიალებდნენ. მთელი ზაფხული ხომ ამოგვახრჩვეს მტვერში და მიმდებარე სახლების სარდაფებიდან ამ ქვიშის გატანასაც კარგა ხანს მოვუნდითო. სეირნობის მოყვარულთათვის სკამებიც დაუდგამთ. მოკლედ, იქაურობას მტრედებიღა აკლია, თორემ თავი შუაგულ ევროპაში გეგონებათ. ის არაფერი, ავტომანქანების საკმაოდ დიდი ნაკადი ვიწრო ქუჩით გაჭირვებით რომ უვლის გვერდს მოედანს და უკვე ორი სკამიც უმსხვერპლიათ.

რუსთავის მერიის პრესსამსახურში, ცხადია, ეს ფაქტი კატეგორიულად უარყვეს, ჩვენი თუ არ გჯერათ, საჯარო რეესტრში გადაამოწმეთ ხსენებულ შენობას მფლობელი არ შეუცვლიაო. რაც შეეხება ავტომანქანების სავალი ნაწილის სასეირნო მოედნად გადაკეთებას, თურმე ახალგაზრდებს იქაურობა ძალზე მოსწონთ. ამ ყინვაში იქ დასასვენებლად ვერავინ ჩამოჯდება, საეჭვოა, ზაფხულშიც ისარგებლოს ვინმემ მზისგულზე გამოდგმული სკამებით, რადგან იქ ხეს წამლადაც ვერ ნახავთ. კოსტავას ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ ზოლში მამა ალიევის სახელობის სკვერი კეთდება, თუმცა ვერც ამის შესახებ მივიღეთ ინფორმაცია ჩვენი რუსთაველი ე.წ. კოლეგებისგან, როცა გაიხსნება, მაშინ გაიგებთ, ვისი სახელობის სკვერიც არისო. როგორც რუსთაველებმა გვითხრეს, კოსტავას ქუჩის (ხსენებული მოედნიდან რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაციულ შენობამდე) ორივე მხარეს გამალებული ყიდულობენ ბინებს აზერბაიჯანელები. უფლებადამცველმა გიორგი თევზაძემ ისიც გვითხრა რუსთავის შესასვლელში ახლად აშენებული ავტობაზრობა აზერბაიჯანის გენპროკურორის ყოფილა, ოღონდ ოფიციალურად ადგილობრივ აზერბაიჯანელზე ყოფილა რეგისტრირებულიო. ძნელია არ დაეთანხმო ცნობილ უფლებადამცველს, რომ საქართველოს ტერიტორიის მცოცავი ანექსია მიმდინარეობს. მითუმეტეს, გასული წლის მარტ-აპრილში „საერთო გაზეთში“ დაბეჭდილ ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობის ორგანიზაციის თავმჯდომარის მურაზ ნაგიევის ინტერვიუსაც თუ გავიხსენებთ. ციტატა ამ ინტერვიუდან „დიდი ინტერესია აზერბაიჯანის მხრიდან, რომ აზერბაიჯანელებით დასახლებული ქართული ტერიტორიები აზერბაიჯანს შეუერთდეს. ამით მოხარული იქნება რუსეთიც, რადგან, როგორც მის ინტერესებში შედიოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოჭრა, ასევე მოხარული იქნება, თუ ბორჩალო-მარნეულის ნაწილი აზერბაიჯანს შეუერთდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ავიღოთ მაგალითად, თურქეთი, აჭარის მხარე მთლიანად თურქებმა ჩაიგდეს ხელში...“.

გლობალურ-ინტერნაციონალისტურად მოაზროვნე ხელისუფლება და მათი დამქაშები, ალბათ, ეთნიკური შუღლის გაღვივებასა და შოვინიზმში დაგვდებენ ბრალს, მაგრამ ამ პრობლემაზე თვალის დახუჭვას არ ვაპირებთ, რადგან ამ წაყრუების პოლიტიკამ მიგვიყვანა სავალალო მდგომარეობამდე. თუ შოვინიზმზე მიდგა საქმე ერთ ფაქტსაც გავიხსენებთ. 2008 წელს, როდესაც აზერბაიჯანული ნავთობკომპანია „სოკარი“ ქართულ ბაზარზე შემოვიდა, ყველა ბენზინგასამართი სადგურიდან „უპრაგონოდ“ გაყარეს ქართველი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი თანამშრომლები და ისინი ადგილობრივი აზერბაიჯანელებით ჩაანაცვლეს მეტს არაფერს ვიტყვით, იმედია, დასკვნები თავად გამოიტანთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ოპოზიციონერთა აზრის მოსმენაც გვინდოდა, მაგრამ ზოგმა ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა, ზოგს თავისი დამოკიდებულება ჰქონია აზერბაიჯანის მიმართ, ამიტომ კომენტარისგან თავი შეიკავა, ზოგმა კი უარის მიზეზად ის მოიტანა, ეთნიკური შუღლის გაღვივებაში არ დაგვდონ ბრალი, თუ გნებავთ, რუსეთის მიერ წართმეულ ტერიტორიებზე ვისაუბროთო. რიგითი ქართველისთვის რა მნიშვნელობა აქვს ვინ წაართმევს მიწას და რა ფორმით, ან რით განსხვავდება ეს ოპოზიცია ნაცების ხელისუფლებისგან? ისიც საინტერესოა, საკუთარი ქვეყნის მიმართ რა დამოკიდებულება აქვთ ამ ე.წ. ოპოზიციონერ პატრიოტებს.

ბოლოს არასამთავრობო სექტორს მივმართეთ და მათგან საგანგაშო ინფორმაციაც შევიტყვეთ, თუმცა ჩვენმა რესპონდენტმა ანონიმურობის დაცვა ამჯობინა. მისგან შევიტყვეთ იმ პოლიტიკის შესახებ, რომელიც აზერბაიჯანის მთავრობას აქვს შემუშავებული, „სოკარის“ ტიპის კომპანიის წარმომადგენლებს, მუშა იქნება ეს თუ ხელმძღვანელი, დავალება ჰქონიათ მიცემული, რომ ქართული ტერიტორიები აითვისონ. ორთაჭალაში და მეიდანში ეს პროცესი დაწყებული ყოფილა, აზერბაიჯანელები ყიდულობენ ყველაფერს, მიწა იქნება ეს, შენობა-ნაგებობები თუ ბინები. შეიძლება აქ არ იცხოვრონ, მაგრამ მაინც ყიდულობენ, რადგან მათ გენეტიკურ კოდში ზის, რომ რამენაირად მოხდეს ეთნიკური ინტერვენციაო. ლაგოდეხის რაიონ სოფელ კაბალში, სადაც ძირითადად, აზერბაიჯანელები სახლობენ, შობადობა წელიწადში თურმე 300-ს უტოლდება, ირგვლივ მდებარე ქართულ და ოსურ სოფლებში კი 12-15 ბავშვი თუ იბადება, რაც იმას ნიშნავს, რომ გამალებული ეთნიკური ინტერვენცია მიდის ქვეყნის შიგნით. ეს მაინცდამაინც საქართველოს მიმართ მტრულ დამოკიდებულებად არ უნდა აღვიქვათ, მსოფლიო ისტორიას თუ გადავხედავთ, ეს ბუნებრივი პროცესია. ქვეყანამ თვითონ უნდა დაიცვა საკუთარი თავი და ტერიტორია, სხვას კი არ უნდა შეუწყო ხელი, უმოქმედობითა და სხვა მიზეზებით ამ ინტერვენციაში, თორემ ქართველებს ტყუილად კი არ უთქვამთ, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო.



# ETnikuri intervencia



ასე რომ, ეთნიკური საკითხი ჩვენს ქვეყანაში მართლაც ძალზე მძიმედ დგას. დაახლოებით თვენახევრის წინ სომხეთის პრეზიდენტმა სარქისიანმა განცხადება გააკეთა, რომლითაც მოუწოდა რუსეთსა და უკრაინაში მცხოვრებ სომხებს, ამ ქვეყნებში რაც გაგაჩნიათ, გაყიდეთ, ჩადით ბათუმში და იქ იყიდეთ ყველაფერიო. ეს განცხადება მან მაშინვე იმით ახსნა, რომ თურქეთი მათთვის პოტენციური საფრთხეა, ის ეპატრონება ბათუმში ყველაფერს, ანუ ყველაფერს ყიდულობს და თურქეთის ეს ინტერვენცია უნდა შევაჩეროთო. ისე, ძალიან უცნაურია ეს ყველაფერი, ერთი სახელმწიფო თურმე მეორეს პოტენციურ მტრად აღიქვამს და მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცდილობს მის ეთნიკურ დაჩაგვრას(?!) რესპონდენტის აზრით, სომხეთის პრეზიდენტს სავარაუდოდ, სამომავლო გათვლა აქვს, რომ თუკი აჭარაში უმეტესწილად სომხები დასახლდებიან, მათ რეალური შესაძლებლობა ექნებათ პირდაპირ გავიდნენ შავ ზღვაზე. სამცხე-ჯავახეთში რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაძლოა, პრობლემები წარმოიქმნას, ეს უკვე ცნობილია, ანუ ეს არის ახალი შენელებული მოქმედების ნაღმები. ასეთი ნაღმები თავის დროზე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შექმნით ჩაიდო. ახლა უკვე სომხეთი ცდილობს გრძელვადიან პერსპექტივაში იგივეს ამ ეთნიკური გადაადგილებებითა და გადასახლებით. ჩვენი წყარო დარწმუნებულია, რომ, როგორც კი მოხდება აჭარის მოსახლეობის უმრავლესობის სომხებით ჩანაცვლება, მათ შეეძლებათ ამ ნაღმების ამოქმედება. სომხეთს რეალურად უჩნდება საქართველოს სამხრეთით ტერიტორიების საკმაოდ გრძელი ზოლი, რომელიც ზღვამდე გადის.

ახლა რაც შეეხება თურქეთს. თურქები მართლაც ყიდულობენ ბათუმში ყველაფერს. ინვესტიციების წინააღმდეგი არავინაა, თუმცა ჩვენს მოსახლეობას სამწუხაროდ, ინვესტიციის მნიშვნელობა კარგად არ ესმის. მიწისა და რაიმე შენობა-ნაგებობის ყიდვა, ინვესტიციის ჩადება არ არის. ეს არის გაყიდვიდან ბიუჯეტში ერთჯერადად შესული ფული, რომელიც საკითხავია, მერე რაში დაიხარჯება. ინვესტიცია წარმოების ამუშავებას და პროდუქციის შექმნას ნიშნავს, რაც საქართველოში რეალურად არ ხდება. ასე რომ, ამ კუთხით აჭარაში ძალზე მძიმე მდგომარეობაა. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ის არის, რომ ამ ყველაფერს ქართველი სამართავდამცავებიც უწყობენ ხელს. თუ ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომელშიც თურქი მძღოლი იყო დამნაშავე, მაინც ქართველს ამტყუნებენ. ბათუმელების თქმით, თურქები მარტო თავიანთ ქვეყანაში კი არა, ბოდიში მოგვითხოვია და, აჭარაშიც „გვხმარობენ“. ყველაფერი ხომ იყიდეს და მაგათი შიშით რესტორანშიც ვერ შევსულვართ. ჩხუბი თუ მოგივა, ყოველთვის თურქია მართალი, შეგაგინებს და შენ უნდა მოითმინო, ავტომანქანით დაგეჯახება, ისევ შენ ხარ დამნაშავე, მეტის გაძლება აღარ შეგვიძლიაო.

რეალურად ეს ყველაფერი სახელმწიფო პოლიტიკის ბრალია, . ხელისუფლებამ უნდა დაარეგულიროს ყველაფერი ისე, რომ ეთნიკური შუღლი არ გაღვივდეს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება.

ძალზე მძიმე მდგომარეობა ყოფილა აღმოსავლეთ საქართვე-

12 gv.

# xelisufleba sakuTari keTildReobis Sesanarcuneblad Tanaxmaa qveynis teritoria atomuri narCenebis samarxad da biologiuri iaraRis sacdel poligonad aqcios

1945 წლის 6 აგვისტოს აშშ-ს მიერ იაპონიის ქალაქ ნაგასაკზე ჩამოგდებულმა ატომურმა ნაღმმა ცინიკური კოდური დასახელებით „პატარა" (სიმძლავრე 18 კილოტონის ექვივალენტი) ქალაქში მცხოვრები 245 ათასი მაცხოვრებლისაგან 116 ათასის სიცოცხლე შეიწირა. გარდაცვლილთაგან მხოლოდ ნახშირი დარჩა. ათასობით კაცი უკვალოდ გაქრა. ეპიცენტრის მახლობლად დაიღუპა და დანახშირდა ყველა სულდგმული და მცენარე. დარტყმის ძალამ 800 მეტრის რადიუსში მყოფი ადამიანების 90 პროცენტი იმსხვერპლა. გადარჩენილები დამწვრობებისა და სიმსივნური დაავადებებისაგან მალევე გარდაიცვალნენ. 2 კმ-ის რადიუსში დაიწვა ყველა აალებადი მასალა, 18 კმ-ის რადიუსში დაინგა ან საცხოვრებლად უვარგისი გახდა შენობა-ნაგებობების 40 პროცენტი.

აფეთქების შემდეგ გაჩნდა მედიკოსებისათვის მანამდე უცნობი სიმსივნური დაავადებები. საერთო მონაცემებით მომხდარიდან 10 წელიწადში მძიმე და მტანჯველი ავადმყოფობების შედეგად 418 ათასი ადამიანი დაიღუპა. ამ მიზეზით გენეტიკურად დაავადებულებს შორის სიკვდილიანობა დღესაც გრძელდება. დღეისათვის ატომური ქობინების მფლობელ სახელმწიფოთა ხელთ არსებულმა კილოტონობით განსაზღვრულმა სიმძლავრემ დედამიწა შეუძლია შუაზე გახლიჩოს.

არანაკლები საშიშროება მოდის ატომის მშვიდობიანი მიზნებით მომხმარებელი სახელმწიფოებიდან, უამრავი ფაქტი ხმაურდება რეაქტორებიდან რადიაციის გაჟონვისა (ჩერნობილი, იაპონიის სულ ცოტა ხნის წინ მომხდარი აფეთქება და ა.შ). ამ ქვეყნებმა იციან, თუ რა საფრთხის შემცველები არიან გამდიდრებულ ურანზე მომუშავე რეაქტორები, ცდილობენ გადამუშავებული ნარჩენები („ოტხოდები") მაინც განარიდონ თავიანთ სახელმწიფოებსა და მოსახლეობას. შენელებული მოქმედების ნაღმებს (ნარჩენებს) ისინი განვითარებად ქვეყნებში აგზავნიან და საკუთარი ნაგვის შენახვა-დამარხვაში ადგილობრივ ხელისუფალთ სოლიდურ თანხებსაც უხდიან.

ჩვენი, უცხოური ვალუტას დახარბებული ხელისუფლებაც თანახმაა სხვისი ნაგავი საკუთარ ტერიტორიაზე შეინახოს. მეცნიერებს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მცხეთის რეაქტიული ნარჩენების სამარხი მოჰყავთ, მართალია, ვარდოსნები ამტკიცებენ, რომ სამარხი მხოლოდ ადგილობრივ ნარჩენებზეა გათვლილი, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ამხელა სარკოფაგების შესანახი ადგილი სჭირდებოდეს არაბირთვულ, არა მწარმოებელ ქვეყანას. ეჭვს აძლიერებს ორი მნიშვნელოვანი მოვლენის დამთხვევა. გერმანიის მოსახლეობამ უდიდესი პროტესტი გამოხატა ფრანგული გადამუშავებელი ურანის ნარჩენების მათი ქვეყნის ტერიტორიაზე დამარხვის თაობაზე. მერკელის ხელისუფლებამ პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესები დააყენა და ფრანგებისათვის სამარხები დახურა.



მეორე საინტერესო დამთხვევა ის არის, რომ გერმანიის უარიდან რამდენიმე დღის შემდეგ მცხეთის სამარხზე სარკინიგზო ეშელონი შემოვიდა ტვირთის შემადგენლობა უცნობია, რადგან მკაცრად გასაიდუმლოებულია. ეშელონის გადმოტვირთვის მომენტში კბილებამდე შეიარაღებული დაცვა იცავდა სამარხსა და მიმდებარე ტერიტორიებს. მომხდარზე კომენტარს არც ერთი უწყება არ აკეთებს.

ხელისუფლებას ამ საკითხზე საუბრის ეშინია, რადგანაც ატომთან დაკავშირებით ჩვენს მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია მწარე მოგონებები. წასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს უკრაინაში დაფიქსირდა მსოფლიო მნიშვნელობის ელსადგური. ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში რეაქტორმა გაჟონა. უბედურებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად მთელი სსრკ-ს მასშტაბით დაიძრა ხალხი. ტრაგედიის ადგილას წასვლა ნებაყოფლობითი იყო გარდა საქართველოსი. რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ცკ-ის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა ყველა სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, იძულებითი მობილიზება გამოაცხადა, მაშინდელი შსს მინისტრის შოთა გორგოძის „ბიჭები" წინასწარ მითითებულ მისამართებზე ადგებოდნენ ხალხს. შემოვლა ხდებოდა ღამის 2-4 საათზე. ლოგინებიდან ყრიდნენ მათ (ძირითადად ახალგაზრდებს). ერთი ხელი ტანსაცმლის ამარა, ჩერნობილში გასამგზავრებელ თვითმფრინავებში ერეკებოდნენ. ნაუცბათევმა ღონისძიებამ მოუმზადებელ, ყოველგვარი ინსტრუქციის გარეშე წაყვანილთა შორის მსხვერპლი გამოიწვია ჯერ ადგილზე, შემდეგ კი უკან დაბრუნებულთა შორის. გაჩნდა მძიმე სიმსივნური დაავადებები. ტრაგედიაგამოვლილებს დაეწყოთ თმისა და კბილების ცვენა, სხვა ანომალიები. „ჩერნობილელებს" სახელმწიფო კი უწევდა დახმარებას, მათთვის დაწესდა შეღავათები, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. კომუნისტებისა და შემდგომ დროინდელ ისედაც მიზერულ დახმარებებზე „რევოლუციურმა" მთავრობამ უარი განაცხადა. რაიმეს სათხოვნელად მოსულ „ჩერნობილელებს" ახალი მთავრობის თინეიჯერი ჩინოვნიკები ცინიკურად პასუხობენ — მე გაგიშვი, რომ მთხოვო.

ფიზიკოსთა „ატომშჩიკთა" განმარტებით, ბირთვული ნარჩენების სამარხები დიდი საფრთხის შემცველები არიან. სარკოფაგები მუდმივნი არ არიან და დროთა განმავლობაში გამტარნი ხდებიან. რადიაცია გაიჟღინთება ნიადაგში. აქედან გამომდინარე, მოედება მცენარეებსა და ცხოველებს. ყოველივეს კი ადამიანთან შეხება აქვს, მისი საკვებია. რადიაციით გამოწვეული დაავადებები უცებ არ გამოვლინდება. ისინი შენელებული მოქმედებისანი არიან. გამოვლენის შემდეგ კი მათი მკურნალობა უშედეგოა, — გვაფრთხილებენ მედიკოსები.

## ბიოლოგიური კვლევები

საქართველოს ბაქტერიოფაგების ინსტიტუტი 1923 წელს დაარსდა პროფესორ გიორგი ელიავას ხელმძღვანელობით. 1938 წელს კი კვლევითი ინსტიტუტი მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ინსტიტუტს შეუერთდა.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ ეს ინსტიტუტი წლების განმავლობაში იძარცვებოდა, ბოლოს აგურებსაც იპარავდნენ. „ნაციონალებმა" ამერიკელების დახმარებით სერიოზულად მოჰკიდეს მისი აღდგენის საქმეს ხელი. შენობა გარემონტდა. შეიცვალა ინტერიერი და რაც მთავარია, დამონტაჟდა უახლესი დანადგარი. დღეს ელიავას სახელობის ბაქტერეოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ქართველი და ამერიკელი მეცნიერები ერთად მუშაობენ.

როგორც იტალიური გაზეთები იუწყებიან, საქართველოში ბიოლოგიური იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო პროგრამის პარალელურად ამერიკელი მეცნიერები ქართველ კოლეგებთან ერთად ახალი ვირუსების შექმნაზე მუშაობენ. იტალიელები ამტკიცებენ, რომ ქართველები და ამერიკელები ქოლერის გამოწვევასა და მისი იდენტიფიცირების ახალ მეთოდებზე მუშაობენ, ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის გარდა ამ საქმიანობაში ჩართულია აშშ-ს არმიის ინფექციური დაავადებების სამედიცინო ინსტიტუტიც. ჟურნალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ ცდები და გამოკვლევები ტარდება საქართველოს წყალსაცავებში აღმოჩენილ ჩხირებზე.

შავი ზღვის აკვატორიასა და რამოდენიმე ტბის 9 ნიმუშში სხვადასხვა სახეობების განსხვავებული ტიპის მიკროორგანიზმები აღმოჩნდა. მათ შორის გამომწვევი ჩხირი), 14 სხვადასხვა სინჯში აღმოჩენილია ქოლერის ჩხირები. 5-ში კი ქოლერეგენი (ქოლერის ვიბრიონების მიერ მათი სიცოცხლის პირობები ჩნდება).

ტიფის მიკროორგანიზმების ბაზის შეგროვება გაცილებით პათონოგენური სახეობების გენეტიკური მოდიფიკაციის უკეთ შესწავლას ხდის შესაძლებელს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კვლევები სამხედრო ხასიათისაა, რადგანაც მთავარია ლაბორატორია დავირუსების საცავი სამხედრო აეროპორტის ტერიტორიაზეა.

აშშ-ის არმიის სამხედრო-კვლევითი ბიოლოგიური ინსტიტუტი ყველაზე დიდი ინსტიტუტია ინსტიტუტთა შორის. მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მიკროორგანიზმების ბიოლოგიური იარაღის სახით გამოყენებაზე კვლევებისა და ცდების ჩატარება. ამ სამეცნიერო დაწესებულების ბაზაზე ძირითადად, ყველაზე საშიში ვირუსული ინფექციების კლონირება ხდება, მათ შორის ჩვენთვის კარგად ნაცნობი ციმბირული წყლულისაც.

ჩვენი უცხოური ქვეყნებისადმი მაამებლური პოლიტიკის გამტარებელი და საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ხელისუფლება იმედია, ქვეყნისა და მოსახლეობის ბედს არ ანაცვალებს ძალაუფლების შენარჩუნებასა და უცხოტომელის მოგდებულ 30 ვერცხლს.

**ზაზა ბილიხოძე**

# ETnikuri intervencia

11 gv.



ლოს მთიანეთშიც. ჩეჩნები და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანები უპრობლემოდ გადმოდიან და სახლდებიან ჩვენს ტერიტორიაზე ისე, რომ მათი იდენტიფიკაცია ჯერჯერობით შეუძლებელია. სანამ იქ ფშავ-ხევსურები და თუშები ბევრნი იყვნენ, მათ შორის ზეპირი შეთანხმება ყოფილა ერთმანეთის საძოვრების გამოყენების შესახებ, მაგრამ რაც ქართული სოფლები დაცარიელდა, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა იქაურობა უპრობლემოდ აითვისეს. ქართველების სახლებს და საძოვრებს ხომ დაეპატრონენ და თურმე ახალ სახლებსაც იშენებენ. ამ ეტაპზე ეთნიკური ინტერვენციის საფრთხე მეტნაკლებად არ ემუქრება გურია-სამეგრელოს, სვანეთს, იმერეთს, ქართლისა და კახეთის ნაწილს. ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი ზოლი კი დიდი საფრთხის ქვეშაა. ყველგან არის ჩადებული შენელებული მოქმედებს ნაღმი, რომელთა ამოქმედებაც დაახლოებით, 50 წლის შემდეგ დაიწყება, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ძალზე ოპტიმისტური პროგნოზია. რესპონდენტის აზრით, პირველი ამ მხრივ სამცხე-ჯავახეთი იქნება.

აფხაზეთის დაბრუნების შემთხვევაშიც ეთნიკური პრობლემის წინაშე ვიქნებით, რადგან ეთნიკური აფხაზები იქ უმცირესობაში არიან. რეალურად იქ უმრავლესობას სომხები და რუსები წარმოადგენენ, თანაც ეს ის სომხური მოსახლეობაა, რომლებიც 90-იან წლებში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ. რაც შეეხება აფხაზებსა და ოსებს, მათგან არასდროს დაგვემუქრება ეთნიკური ინტერვენციის საფრთხე, ისევე, როგორც მათ ჩვენგან. დანარჩენი ზემოჩამოთვლილი ეროვნებებისგან მართლაც გვემუქრება ეთნიკური ინტერვენციის საფრთხე, რომლის პრევენციაც სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაა.

სწორ სახელმწიფო პოლიტიკის გატარებად ჩვენი რესპონდენტი იმას თვლის, რომ ხელისუფლებამ ქვეყნიდან არ უნდა გაყაროს მდიდარი და შეძლებული ადამიანები, არ უნდა აიძულოს ქვეყნიდან გაიქცეს საზოგადოების ჯანსაღი, ნაღები ფენა.

„ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, თუ სასწრაფოდ არ შეიცვალა სახელმწიფო პოლიტიკა, დაახლოებით 50 წელიწადში უფრო სერიოზული პრობლემები გვექნება, ვიდრე დღეს გვაქვს. ამაში მარტო ეთნიკურ ინტერვენციას არ ვგულისხმობ. გავიხსენოთ, როგორ ექცევიან ციხეებში პატიმრებს. ეთნიკურად ქართველების მიმართ რომ უფრო ხშირია ცემა-წამების ფაქტები, ამას სტატისტიკაც მოწმობს. ყველაზე მეტად ქართველ პატიმრებს უქმნიან პრობლემებს და ცუდ პირობებს, თუ არ ჩავთვლით ებრაელ ბიზნესმენებს, რომელთა მიმართაც სააკაშვილის რეჟიმს ფულის ინტერესი ჰქონდა. ერთის მხრივ, ეს ყველაფერი ქართველების მიმართ მიზანმიმართულ გენოციდადაც კი შეიძლება ჩაითვალოს", — აცხადებს ჩვენი რესპონდენტი.

**მანანა სუხიშვილი**

# darwmunebulivar, ramaz klimiaSvili mokles!

## „ჩემი პატრონი მარტო დედაჩემი იყო, ის მოკვდა, ე.ი. მე უკვე უპატრონო ვარ“

რამდენიმე დღეში 1 წელი გავა იმ ადამიანის გარდაცვალებიდან, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას ყელში ძვლად ჰყავდა გაჩხერილი და რომლის ბურუსით მოსილი სიკვდილის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ დღემდე ვერ მიიღო ამომწურავი ინფორმაცია!

ამ ადამიანს ყველა იცნობდა, ყველა ულიმიოდა, ყველა ეკითხებოდა — ბატონო რამაზ, გვეშველება რამეო? და ისიც, ჩვეული იუმორით პასუხობდა ყველას, დიდსა თუ პატარას — რა თქმა უნდა, გვეშველება, ოღონდ ჩვენც უნდა გავანძრიოთ, ხელი გენაცვალე და ყველაფერი კარგად იქნებაო...

ქართული ბეჭდური მედიისათვის რამაზ კლიმიაშვილის პოლიტიკური ანალიზი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი გზამკვლევიც კი იყო მოსალოდნელ პოლიტიკურ პროცესებში და რომ არა რამაზის მიერ გაჟღერებული მრავალი ინფორმაცია, საზოგადოებას კიდევ დიდხანს ეძინებოდა ღრმა ძილით!

სწორედ რამაზი იყო ის პოლიტოლოგი, რომელსაც პოლიტიკა, როგორც მეცნიერება პროფესიულ დონეზე ჰქონდა შესწავლილი ოქსფორდის უნივერსიტეტში და იგი იყო ერთადერთი, მთელ ქართულ „პოლიტოლოგიაში“, ვისაც აგრერიგად ებრძოდა სააკაშვილის კრიმინალური ხელისუფლება!

უცნაური კაცი იყო რამაზ კლიმიაშვილი, უცნაური და უცნაურად დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნის. ვინც არ უყვარდა, სიცოცხლის ბოლომდე სძულდა, ხოლო ვინც უყვარდა, ბოლომდე უყვარდა და შესაძლოა, სწორედ ამგვარმა სიყვარულმაც განაპირობა მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული.

„საერთო გაზეთის“ მკითხველს უთუოდ ემახსოვრება რამაზის გახსნილი, შეუდარებლად პროფესიული პოლიტიკური ანალიზი, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკურ ვითარებაზე და მოსალოდნელი უბედურებების შესახებ. მახსოვს, სწორედ რამაზმა გააჟღერა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ — „სააკაშვილი რამდენიმე დღეში დაარტყამს ცხინვალს“-ო.

სწორედ რამაზიმ ატეხა ქართულ პრესაში ხმაური იმის შესახებ, რომ — „ნაც. მოძრაობის“ მიერ იგეგმებოდა კონსტიტუციური ცვლილებების მთელი სერია, რომელიც მიხეილ სააკაშვილის გაპრემიერ-მინისტრების წინა პირობა გახდებოდა და, რომ ნაც. მოძრაობა, თავის ხელისუფლებაში ყოფნას კიდევ არაერთი სისხლისღვრით გაიხანგრძლივებდა!

ისე აგიხდათ ყველაფერი კეთილი, როგორც რამაზის თქმული მრავალი პროგნოზი აგვიხდა, მკითხველო!

მაგრამ, ასევე სამწუხაროდ რამაზსაც რომ აუხდა საკუთარ თავზე ნაწინასწარმეტყველევი ფრაზა: „აი, ნახავთ მე აუცილებლად მომკლავენო!?“

როდესაც მეც მითხრა, იგივე გავეხუმრე: „მოიცა, რა ვის რაში სჭირდება შენი მოკვლა, ანდა ამას როგორ გაბედავენთქო?“მიპასუხა —„ბევრს ვუშლი ხელს, ირა, ძალიან ბევრს და ვიცი, მალე მომკლავენო!“

და, მართლაც... თებერვლის თვეში „ნაც.მოძრაობის“ მიერ მოკლული ბადრი პატარკაციშვილის და ზურაბ ჟვანიას შემდეგ რამაზისთანაც მივიდა სიკვდილი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის სახე ჰქონდა. იმ დღეს, რამაზ კლიმიაშვილის გარდაცვალების ამბავი ელვის უსწრაფესად მოედო მთელ საქართველოს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სახელისუფლებო არხებმა, ნაც. ხელისუფლების პირდაპირი დირექტივით, სიკვდილის მიზეზად ჩვეული, მრავალგზის აპრობირებული წინადადება გამოიყენეს და თქვეს, რომ: თბილისში, მცხეთის ქ.№8-ში, საკუთარ ბინაში — ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად გარდაიცვალა პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი. და, რომ „აირის“ მკვეთრი სუნი მეზობლებმაც იგრძნეს, „შემთხვევის“ ადგილზე პირველმა მისულმა, რამაზის მეგობარმა — მარინე ტერენტიევამ და მისივე თხოვნით, სასწრაფოდ მისულმა, მემარჯვენეების ლიდერმა — დავით გამყრელიძემ, პატრულის თანამშრომლებთან ერთად.

რამდენიმე საათში, ანუ მეორე დღესვე რამაზის მეგობრებმა, „სამართალდამცველებისთვის“ მეტად მიუღებელი, მაგრამ სიმართლით სავსე ფაქტი გავაჟღერეთ პრესით. პირადად მე, ირინე გოგოსაშვილმა ვთქვი, რომ — რამაზის ბინაში არასოდეს ყოფილა გაზის გამათბობელი და, რომ გაზის გაჟონვა, ვერც სამზარეულო გაზქურიდან მოხდებოდა, რადგან უახლესი მოდელის გაზქურას, თუ ცეცხლს არ მოუკიდებდი, ავტომატურ რეჟიმში ითიშებოდა.

ამასთანავე, გაზქურის თავზე დამონტაჟებული იყო გამწოვი მოწყობილობა, საიდანაც მუდმივ რეჟიმში გარეთ გაედინებოდა ოთახში დაგროვილი ჰაერი.

ძალზედ საგულისხმო იყო, მარინა ტერენტიევას „ცხელ კვალზე“ გაკეთებული მაშინდელი განცხადებაც: „როდესაც დილით რამაზისთან მივედი, ზარი, არ მახსოვს, ერთხელ თუ ორჯერ დავრეკე, მაგრამ შიგნიდან რამაზის ხმა არ გამიგია... შემდეგ ჩამოვწიე სახელური და...კარი ღია დამხვდა. რამაზი არასოდეს არ ტოვებდა კარს ღიას, ეს გამორიცხულია... მეტიც, იგი რამდენჯერმე ამოწმებდა, კარი კარგად დაიკეტა თუ არა!

მარინა ტერენტიევამ იმ დილით რამდენჯერმე — ურთიერთგამომრიცხავი ინტერვიუები მისცა სხვადასხვა არხს და თქვა, რომ: „სახლში შესულს გაზის მკვეთრი სუნი ეცა, პირველი, რაც გააკეთა ის იყო, რომ აივნის კარი გამოაღო, შემდეგ ტელეფონით დავით გამყრელიძეს დაურეკა და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა, სამუშაო მაგიდასა და კედელს შორის — მოკაკვულ მდგომარეობაში ჩავარდნილ რამაზისთან, რომელიც მარინას თქმით, უკვე მკვდარი იყო არადა, იგივე მარინას თქმით, იგი პირველად ჯერ მეზობლებს უხმობდა საშველად და უკვე მოგვიანებით, პრივატულ საუბარში იძახდა, რომ — სახლში გაზის სუნი არ იყო, მეტიც, თავადვე სვამდა კითხვას — თუკი ოთახში ბუნებრივი აირი ჭარბად იყო დაგროვილი, მაშინ რატომ არ მოხდა აფეთქება, როდესაც მან რამაზის კართან დამონტაჟებულ ზარის ღილაკს თითი დააჭირა? „ისკრა ჟე, დოლჟენ ბიტ პროვოციროვატ ვზრივ? ანუ, ზარის მოწყობილობაში გაჩენილმა ნაპერწკალმა რატომ არ გამოიწვია აფეთქებაო? — კითხულობდა ტერენტიევა და არცთუ უსაფუძვლოდ...

მოგვიანებით, ანუ რამაზის გარდაცვალებიდან დაახლოვებით 1 საათში, ქალბატონი ტერენტიევა, ვაკის პოლიციაში მიჰყავთ დაკითხვაზე. დაკითხვა დაახლოებით, 24 საათი გაგრძელდა და როგორც მარინა მომიყვა, გამომძიებელიც და იქ თავმოყრილი თანამშრომლებიც ძალიან ცუდად ექცეოდნენ მას, უყვიროდნენ, წყალი რომ წყალია, ისიც კი არ მიუწოდებიათ მისთვის და რაც ყველაზე მთავარია, როგორც ერთადერთი, პირველი მოწმე კლიმიაშვილის უცხოური გარდაცვალებისა, არც თითის ანაბეჭდები აუღიათ მისთვის და არც ადვოკატის აყვანის უფლება არ მისცეს.

არ ვიცი, რისი ბრალი იყო ის, რაც პოლიციის მიერ დაკითხულმა მარინამ ტელევიზიებთან მოგვიანებით განაცხადა: „რამაზი ძალიან ბევრს სვამდა, განსაკუთრებით კი ბოლო დროს!“

სავარაუდოდ, ესეც ერთგვარი ზეწოლის შედეგად იყო, რათა საზოგადოებას „ლოთი“ რამაზი არ შესცოდებოდა, პროტესტი არ გასჩენოდა და რაც მთავარია, ის, მალევე, ყოველგვარი შეკითხვების გარეშე დაევიწყებინა.

რამაზ კლიმიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე არათუ დღევანდელი მკვლელი ხელისუფლება, არამედ იმ ქვეყნის დიპ.უწყებაც კი არ დაინტერესებულა, რომლის მოქალაქეც, საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, რამაზი იყო. ეს ქვეყანა კი დიდი ბრიტანეთი გახლავთ, რომლის



საელჩოსაც თბილისში არათუ ვრცელი განცხადება, არამედ ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია აღნიშნულ ფაქტზე.

როგორც თავიდანვე ვიძახოდი, რამაზ კლიმიაშვილის „საქმე“ მალევე დაიხურებოდა, ოღონდაც გარდაცვალების მიზეზად (იმიტომ, რომ ჟურნალისტებმა ძალიან დიდი ხმაური ავტეხეთ) არა ბუნებრვი აირის გაჟონვა, არამედ — რაიმე სხვა მიზეზი დასახელდებოდა! მართლაც, გარდაცვალებიდან დაახლოებით, 25-30 დღეში, რამაზის ნათესავებთან, სამხარაულის სამედიცინო ექსპერტიზის თანამშრომელმა მიიტანა დასკვნა, სადაც ეწერა: — გარდაცვლილი რამაზ კლიმიაშვილის სისხლის ანალიზში გაზის შემცველობა მინიმალური დოზით დაფიქსირდა, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს გაზით მოწამვლის, მითუმეტეს სიკვდილის ალბათობას. სამაგიეროდ, იგივე დასკვნაში წერია, რომ რამაზის სიკვდილის მიზეზი, შესაძლოა, გულის უკმარისობა იყოსო.



ძვირფასო მკითხველო, უკვე მერამდენედ ვკითხულობ: — რატომ არ გახადეს საჯარო, კლიმიაშვილის გარდაცვალების სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ან სამართალდამცველებმა, ან საქართველოს ხელისუფლებამ, ანდა თვითონ კლიმიაშვილის უახლოესმა გარემოცვამ?

ანდა სახელისუფლებო მედია რატომ ნერგავდა აზრს იმის შესახებ, რომ არ გამოირიცხებოდა თვითმკვლელობის ვერსიაც გაზის გამოყენებით?

მართალია, რამაზის ნათესავებმა ექსპერტიზის დასკვნის ჩვენთვის გადმოცემაზე კატეგორიული უარი განაცხადეს, მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად დარჩა და შავით თეთრზე გარკვევით დაიწერა, რომ: „სიკვდილის მიზეზი არ შეიძლება გამხდარიყო ბუნებრივი აირი?“

აბა, რა საჭირო იყო იგივე მარინა ტერენტიევას, პატრულის, მეზობლების და დავით გამყრელიძის „ჩვენება“ იმის შესახებ, თითქოს არათუ რამაზის, არამედ მისი ბინის სართულზეც გაზის მკვეთრი სუნი იგრძნეს? და, იქნებ ვინმემ ამიხსნას — ვინ ტყუის ამ შემთხვევაში, ე.წ. „მოწმეები“ თუ სამხარაულის საექსპერტო ბიურო, რომელმაც გარდაცვლილის სისხლში გაზის უმცირესი შემცველობა დაადასტურა?

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და უნდა ვაღიაროთ, რომ მთლიანად ქართულმა მედიამაც არ მოინდომა კლიმიაშვილის უცნაური სიკვდილის რეალური გარემოებების მოკვლევა და რამაზი, როგორც იტყვიან, გაციებულიც კი არ იყო, მაშინვე მივავიწყდა. იქნებ, „გაზით გაგუდვის“, „თვითმკვლელობის“, „ლოთობის“ და ათასი შეურაცხმყოფელი ეპითეტებით იმიტომაც „იფუთებოდა“ ყოველივე, რომ რეალურ მიზეზებს არავინ, არც შინაური და არც გარეული — არ ჩაჰკირკიტებოდა?

პირადად მე, დარწმუნებული ვარ, რომ რამაზი მოკლეს!!! სხვათაშორის ამას მისი საახლობლოც ამბობს, მაგრამ ამბობს ჩუმად, ისე რომ —იქ „მაღლა“ არავინ გაიგოს და ხელახალი შურისძიების სურვილი არ გაუჩნდეს.

არადა, ნუთუ ასე სასწრაფოდ (2 დღეში) დასამარხი და ასევე სასწრაფოდ დასახურ-დასამთავრებელი იყო რამაზ კლიმიაშვილის ბურუსით მოსილი სიკვდილის ისტორია?

ფაქტია, რამაზ კლიმიაშვილი ამ ხელისუფლებას სძულდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა მისთვის! ამიტომაც მას არ იწვევდნენ ცენტრალური არხების ეთერში, მას არ ამუშავებდნენ არსად, თუნდაც მრჩევლის რანგში.

როგორც ნებისმიერი რიგითი მოქალაქე, ვფიქრობ, რომ რამაზი მოკლეს, მაგრამ მოკლეს, არა ავტომატის ჯერით, არამედ უფრო „ცივილური“, მომწამლავი აირის საშუალებით და მკვლელი სახლიდან ისე გავიდა, რომ ვერავინ შეამჩნია!

ისიც ფაქტია, რომ რამაზის სახლის კარები, გვიან ღამით (ან დილაუთენია) მაშინ გაიღო, როცა რამაზმა ვიღაც ნაცნობი დაინახა „გლაზოკში“, კარი გაუღო, მაგრამ ვეღარ დაკეტა და კარიც ამიტომ იყო ღია, იმ საბედისწერო დილას!

სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე არც მარინა ტერენტიევას ზღაპრების მჯერა და არც რამაზის უახლოესი გარემოცვის, იმიტომ, რომ — მათ ყოველგვარი ხმაურის, ზედმეტი შეკითხვების და ძირეული გამოძიების მოთხოვნის კუთხით არაფერი გააკეთეს!

დღეს, როცა პოლიტიკური სიტუაცია ყოველდღე „იჭრება“, არ ვიცი რატომ, მაგრამ ხელი მექანიკურად ტელეფონისკენ გამირბის და რამაზის ნომრის აკრეფას ვლამობ, თითქოს ვემზადები კიდეც მისი ხმის მოსასმენად: „ოოო, ირა, ეს შენ ხარ?“, მაგრამ მალევე მახსენდება, რომ რამაზი უკვე მკვდარია და მისი გარდაცვალებიდან კი მალე 1 წელი გახდება!

ეეეჰ, ჩემო რამაზ! რა მართალი ყოფილხარ მაშინ, როცა მეუბნებოდი — „ჩემი პატრონი მარტო დედაჩემი იყო, ის მოკვდა, ე.ი. მე უკვე უპატრონო ვარო“.

**ირინე გოგოსაშვილი**

# raSi vixdiT, an vis vuxdiT 20 TeTrs?



„მთავრობის №489 დადგენილებით 112-ის საფასური 20 თეთრი დაგექვითებათ ანგარიშიდან თუ თვის განმავლობაში ნომრიდან დახარჯული თანხა აღემატება 5 ლარს". მსგავსი მოკლე ტექსტური შეტყობინება ყველა ქსელის აბონენტმა მიიღო, თუმცა უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია, რაში იხდის ამ თანხას. მესიჯის მიღების შემდეგ ყველა იმაზე ლაპარაკობდა, თუ რატომ და რა მომსახურეობისთვის უნდა გადაეხადათ ფული. ახალი კანონით ყველა უკმაყოფილო იყო: „მობილურზე მომივიდა შეტყობინება, 112-ის გადასახადი ყოველთვიურად ანგარიშიდან ჩამოგეჭრება თუ 5 ლარზე მეტს ხარჯავო. არ აქვს მნიშვნელობა, რეკავ და სარგებლობ მათი სერვისით თუ არა. თუ არ ვსარგებლობ, რაში მახდევინებენ და თუ 5 ლარზე მეტს ვხარჯავ, ე.ი. მდიდარი ვარ, თუ რა პრინციპია? 20 თეთრი დიდი თანხა არ არის, მაგრამ რაში ან ვის უნდა გადავუხადო?"

2011 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის 112-ის შექმნის შესახებ, რომლითაც დაფუძნდა საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა. აღნიშნული სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის და შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით — ნათქვამია დებულებაში.

112-ზე დარეკვით მოსახლეობას საშუალება ექნება გადაუდებელი დახმარების გამოძახება შემდეგი სახის სიტუაციების არსებობისას: სახანძრო და სამაშველო სიტუაციები, გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სამართალდარღვევები, ბუნებრივი გაზით მომარაგების შეწყვეტის, შეზღუდვის ან წნევის დასაშვები ნორმებიდან გადახრის შემთხვევაში რეაგირების საჭიროება, სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის ან წნევის ცვალებადობის შემთხვევაში საჭიროების რეაგირება. 112-ის საფასური ფიზიკური პირებისთვის შეადგენს 20 თეთრს, ხოლო იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისთვის 50 თეთრს. ამ ნომერზე დარეკვა შესაძლებელია უფასოდ, ორმხრივად და ცალმხრივად გათიშული ნომრიდანაც.

რატომ გახდა საჭირო ამ სამსახურის შექმნა, როდის იწყებს ფუნქციონირებას „112", სად მიდის და რას მოხმარდება ის თანხა, რომელიც მობილური კომპანიები მოსახლეობისგან იღებს. ამ თემაზე სასაუბროდ „საერთო გაზეთი" საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსს **თემურ გიორგაძეს** დაუკავშირდა.

**—ბატონო თემურ, რატომ გახდა საჭირო 112-ის შექმნა?**

— განვითარებულ სახელმწიფოებში ყველგან არსებობს ასეთი ცენტრი, ერთიანი სისტემა, სადაც ერთი ზარის პრიცაპით მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერ სამსახურს დაუკავშირდეს. ამ სამსახურის შექმნით ოპერატიულად მოხდება ყველა შემოსული ზარის რეალიზება და საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას უფრო გაუადვილდება ამა თუ იმ სამსახურის გამოძახება.

**— როდიდან იწყებს „112" ფუნქციონირებას?**

— ზუსტად არ ვიცით. მაისში ვგეგმავთ, მაგრამ თუ ვერ მოვასწარით, ივნისში გაიხსნება. ამ ეტაპზე მშენებლობა მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ამინდებიდან გამომდინარე, ფერხდება სამშენებლო სამუშაოები.

**—როგორც თქვენ აღნიშნეთ, „112" ივნისში იწყებს ფუნქციონირებას. თუ გაქვთ ინფორმაცია, რატომ ჩამოეჭრა მოსახლეობას თანხა იანვარში და რას მოხმარდება ის?**

— მაგ კითხვებზე პასუხის გაცემა არ შემიძლია. მსგავს საკითხებზე უნდა მიმართოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ეს თანხები ისევ ამ სამსახურს მოხმარდება, აბა, სხვაგან სად უნდა წავიდეს? ეს მათ უნდა შეეკითხოთ.

როგორც თემურ გიორგაძემ განგვიცხადა, 112-ის სამსახური ივნისის დასაწყისიდან ამოქმედდებაო, აბონენტებს კი თანხის გადახდა იანვრის ბოლოდან მოუწევს.

კითხვაზე, თუ რატომ ხდება 112-ის გადასახადის დარიცხვა ახალი სამსახურის ამოქმედებამდე, პასუხი ვერ მივიღეთ. „სილქნეტის" პიარ-მენეჯერმა **თეონა წერეთელმა** კომენტარზე უარი გვითხრა: „თქვენ რატომ უნდა მოგცეთ 112-თან დაკავშირებით კომენტარი? ეს გადასახადი დაადგინა მერიამ და კომენტარზე მათ მიმართეთ. გადასახადი კანონით დაეკისრა არა მარტო ჩვენს აბონენტებს, არამედ ყველა ქსელის აბონენტს და არა მგონია, რომ ჩვენ უნდა ვაგოთ ამაზე პასუხი და თავი ვიმართლოთ. მიმართეთ მათ, ვინც ეს წესები დაადგინა. ჩვენ ვართ ერთ-ერთი კომპანია, რომლის აბონენტებსაც კანონით დაეკისრათ ამ თანხის გადახდა. რაც დადგინდა დებულებით, იმ კანონს ვასრულებთ და ვერ მოგცემთ განმარტებას იმაზე, თუ რატომ ერიცხებათ აბონენტებს იანვრიდან გადასახადი, მაშინ როცა ეს სამსახური ივნისიდან იწყებს ფუნქციონირებას. ეგ უნდა განმარტონ თვითონ დებულების ავტორებმა", — განგვიცხადა წერეთელმა.

„სილქნეტის" მსგავსად, კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა „მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **თათული ღვინიაშვილმა.** „112-თან დაკავშირებით ჩვენ კომენტარს არ ვაკეთებთ, რადგან ეს არ იყო ჩვენი გადაწყვეტილება, ამიტომ მიმართეთ მას, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო", — გვითხრა ღვინიაშვილმა.



ჩვენს გარდა მსგავს კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსმაც".

**არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა"** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საჩივრით მიმართა. ოორგანიზაციის თანამშრომლებმა კომისიისგან მოითხოვეს გაუქმდეს საკომუნიკაციო კომპანიების გადაწყვეტილება, რომელიც ეხება სააბონენტო ნომრებზე 20 თეთრის დაქვითვას.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ 20 თეთრის დარიცხვა იმ ადამიანებისთვის, ვისაც 112-ის მომსახურებით არ უსარგებლიათ, არის უკანონო და ის დადგენილება, რომელიც იქნა მიღებული ვფიქრობ, რომ არის კანონთან შეუსაბამო. არსებობს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, რომელიც იცავს მომხმარებელთა უფლებებს. ჩვენ გამოვიყენეთ საშუალება, რომ მიგვემართა ამ კომისიისთვის და ვთხოვეთ, მიეღოთ ჩვენი საჩივარი, განეხილათ და აღეკვეთათ ის უკანონო ქმედება, რაც მოხდა. შემდგომი ჩვენი ნაბიჯი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა პასუხს მივიღებთ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიიდან. არსებობს სხვადასხვა გზები, რომ მივაღწიოთ შედეგს. სავარაუდოდ, მივმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოს ან ადმინისტრაციული წესით გავასაჩივრებთ მათ მიერ მიღებულ პასუხს. ჯერჯერობით სტრატეგია არის ასეთი: ველოდებით პასუხს, რომელიც, სავარაუდოდ, ერთ თვეში იქნება და შესაბამისად, ვიმოქმედებთ მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით.

**— ვის წინააღმდეგ გაქვთ შეტანილი სარჩელი?**

— მიგვაჩნია, რომ თვითონ ამ 20 თეთრის დარიცხვა არის უკანონო. ეს არ არის სატელეფონო ქსელების პრობლემა. ისინი მოქმედებენ იმ დადგენილების შესაბამისად, რაც მთავრობის მიერ იქნა მიღებული. პირველ რიგში, მთავრობის ეს დადგენილება არის უკანონო და ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ დადგენილების გაუქმება. კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას იმიტომ მივმართეთ, რომ მათ უნდა დაიცვან ჩვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები და პირველ რიგში, მათ ვთხოვეთ მიეღოთ ჩვენი საჩივარი, განეხილათ და მისულიყო კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე. ამის შემდეგ მივმართავთ სასამართლოს",— განგვიცხადა „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" გამგეობის თავმჯდომარემ **თამუნა გაბისონიამ.**

**სალომე კაკაურიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## გორში „თავისუფალი დემოკრატების" მხარდამჭერები დააკავეს



გორში „თავისუფალი დემოკრატების" სამი მხარდამჭერი დააკავეს.

როგორც „მედიანიუსს" „თავისუფალი დემოკრატებიდან" აცნობეს, დაკავებული არიან ელგუჯა მახარაშვილი, აკაკი ელიაშვილი და ჯაბა ელიაშვილი.

გორის პოლიციაში "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანიაც მივიდა, რომელიც ადგილზე არკვევს ვითარებას.

წინასწარი ინფორმაციით, აღნიშნული პირების დაკავება მოხდა სამხედრო პოლიციის თანამშრომელთან, გოგიტა გლახაშვილთან გუშინ მომხდარი ინციდენტის გამო.

წინასწარი ინფორმაცით, დაკავებულებს ბრალად ხულიგნობა ედებათ.

პარტიაში აცხადებენ, რომ აღნიშნულ ინციდენტს წინ უძღოდა ზეწოლა ასევე პოლიციელის მხრიდან ელგუჯა მახარაშვილის მამაზე, გოდერძი მახარაშვილზე, რომელიც არის "თავისუფალი დემოკრატების" სოფელ მერეთის კოორდინატორი.

როგორც გოდერძი მახარაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, გუშინ მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ტყვიავის პოლიციის თანამშრომელმა ზვიად ხმიადაშვილმა მიაყენა, რომელმაც კატეგორიულად მოსთხოვა, დაეტოვებინა "თავისუფალი დემოკრატების" რიგები, წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილების დაპატიმრებით დაემუქრა.

## მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" აქტიურ პოლიტიკური საქმიანობის რეჟიმზე გადადის

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" გამგეობის გადაწყვეტილებით, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" 29 თებერვლიდან გადადის აქტიურ პოლიტიკური საქმიანობის რეჟიმში და იწყებს პოლიტიკური გაერთიანების აქტივთან და მხარდამჭერებთან გაფართოებულ შეხვედრებს საქართველოს ყველა რეგიონის დონეზე, — აცნობეს „მედიანიუსს" პარტიიდან.

მოძრაობა
სამართლიანი
საქართველოსთვის

დაგეგმილია შეხვედრები, რომლებიც დაიწყება 29 თებერვალს, გორში შიდა ქართლის მოძრაობის წევრებთან და მხარდამჭერებთან შეხვედრით და გაგრძელდება ფართო მასშტაბიანი შეხვედრებით კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო — ზემო სვანეთის,აჭარის, ქვემო ქართლის რეგიონებში. შეხვედრების დასრულების შემდეგ, გაიმართება მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" რიგგარეშე ყრილობა.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" აპირებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას.

**„მედიანიუსი"**

# oficris mware mogonebebi

ეს ნაწყვეტი არის წიგნიდან „ოფიცრის მწარე მოგონებები“, რომლის ავტორია მაიზერ გელოვანი.

რა თქმა უნდა, ეს სახელი და გვარი ჩვენს მკითხველს არაფერს ეუბნება, მაგრამ მაიზერ გელოვანი ერთი ქართველი ჯარისკაცია, რომელმაც ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში ყველა ომი გამოიარა, მის თვალწინ დატრიალდა ადამიანური ხასიათის მთელი სიქველე და სისაძაგლე...

აი, რას ჰყვება თავის თავზე ის:

„დავიბადე პედაგოგის ოჯახში. მამაჩემი 40 წელი სკოლაში მუშაობდა, სკოლის დირექტორი იყო. დედაც მასწავლებელი მყავდა. ჩვენი ოჯახი მორწმუნე იყო და დღესაც ასეა...

მე და ჩემს და-ძმას მშობლები გვასწავლიდნენ, რომ სამშობლო დაგვეცვა და ღმერთი გვეწამა. ამ რწმენით მოვედი დღემდე და ასე გავაგრძელებ ცხოვრებას ჩემს სამ შვილთან ერთად“...



### ტამიშის ბრძოლები

... სპეცრაზმი და სხვა ქვედანაყოფები, კერძოდ, გვარდიის სატანკო ბატალიონი, შავნაბადის ბატალიონი, „თეთრი არწივი“, სადესანტო მოიერიშე ბატალიონი, ავლანელთა კავშირი, „მხედრიონი“ და შინაგანი ჯარის რომელიღაც ბატალიონი ვემზადებოდით ტამიშის გზის გასაწმენდად ოჩამჩირის მიმართულებით. ჩამოთვლილი ჯგუფები და ქვედანაყოფები განლაგებული იყვნენ ტამიშის გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს.

ჯერ მოწინააღმდეგის პოზიციების საარტილერიო დამუშავება მოხდა, შემდეგ საარტილერიო ცეცხლი შეწყდა და ჩვენ მზად ვიყავი დავალების შესასრულებლად. სპეცრაზმის მეთაურმა მიშკა ოძელაშვილმა მოაწყო პირადი შემადგენლობა და გვითხრა, რომ ვინც არ იყო მზად შეტევაზე წასასვლელად, დარჩენილიყო, ხოლო ვინც წამოვიდოდა, იქ უკვე შიში და უკან დახევა გამორიცხული იყო. რამოდენიმე კაცი მწყობრიდან გამოვიდა. ისეთებიც, რომელთა გამოსვლა ძალიან გამიკვირდა. მოკლედ, ვინც მზად ვიყავით, მოვემზადეთ და ბრძანებას დაველოდეთ.

დაიწყო შეტევა ტამიშის გზის გასათავისუფლებლად. უცებ ერთად უამრავი ავტომატი აგუგუნდა. თავიდან მიხაროდა, რომ ამდენი ავტომატი ისროდა მოწინააღმდეგის მიმართულებით, მაგრამ როცა დავინახე ქვედანაყოფი, რომელიც მალევე უკან გაბრუნდა, გამიკვირდა, მაგრამ შემდეგ გავარკვიეთ, რომ მათ პირველ რამდენიმე ასეულ მეტრში ყველა მჭიდი დაუცლიათ და ტყვიების უქონლობის გამო უკან დაბრუნდნენ. სპეცრაზმმა შეტევა გააგრძელა. მივედით სასაფლაომდე. იქ დარჩენილი ქვედანაყოფები ლომებივით იბრძოდნენ. კარგად მახსოვს ავლანელთა კავშირის მეომრები გურამ ჯანიაშვილი და მის გვერდზე მყოფი წვერულვაშიანი ვაჟკაცი, რომლებიც ტყვიას თავს არ უხრიდნენ და ლომებივით მიდიოდნენ შეტევაზე. მათთან ერთად ბევრი ვაჟკაცი უშიშრად მიიწევდა წინ.

წინ მიგვიძღოდნენ ტანკები და ქვეითთა მანქანები, რომელთა ეკიპაჟების ვაჟკაცობაც განსაკუთრებით აღსანიშნავია. მიუხედავად ცეცხლის წვიმისა, ჩვენი ლომგული ბიჭები მაინც წინ მიიწევდნენ. უცებ ვიგრძენი, რომ ფეხში რაღაცა მომხვდა და დავეცი, თუმცა სროლა არ შემიწყვეტია. ჩემთან მოვიდა მიშკა ზურაბაშვილი და გზიდან გადამიყვანა. ცოტა ხანში ქვეითი საბრძოლო მანქანით უკან გამომიყვანეს. როგორც შემდეგ გავიგე, „მუხის“ ნამსხვრევი მომხვედრია. ჯერ აგუძერის საავადმყოფოში გადამიყვანეს, მეორე დღეს კი თბილისის მე-8 საავადმყოფოში აღმოვჩნდი.

როგორც საავადმყოფოში გავიგე, ჩვენმა ლომგულმა ბიჭებმა დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც გაათავისუფლეს ტამიშის გზა და მოწინააღმდეგის ძალები გაანადგურეს. გადარჩენილებმა თავს გაქცევით უშველეს. მათ დიდ ნაწილს რუსეთის არმიის მედესანტეები შეადგენდნენ.

ეს იყო ჩვენი შეიარაღებული ძალების უდიდესი გამარჯვება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაშინ გაერთიანდნენ და გვერდიგვერდ იბრძოდნენ გვარდია, „ზვიადისტები“ და „მხედრიონი“. ამ გამარჯვების შემდეგ თითქოს მშვიდობის დრო დადგა, — ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას. სოხუმში სწავლა დაიწყო და თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მაინც მოჩვენებითს ჰგავდა ყველაფერი. მე ჭრილობა მომიშუშდა და ივლისის ბოლოს შევუერთდი სპეცრაზმის მეომრებს. სამწუხაროდ, იქაც არ მიდიოდა საქმე კარგად. ინფორმაცია მოგვივიდა, რომ სპეცრაზმი უნდა დაშლილიყო. გვითხრეს, ყველაფერი გადაწყვეტილია, სპეცრაზმი უნდა გაუქმდეს და იარაღი ჩააბარეთო. ამ შემზარავმა ამბავმა ყველანი აგვაღელვა. ყოველდღე ველოდით იარაღისა და აღჭურვილობის ჩაბარების თაობაზე ბრძანებას. ჩვენი მომავალი გაურკვეველი იყო და ამ დროს მოვიდა ბრძანება, ყველამ აიღეთ იარაღი და დასავლეთ საქართველოში წასასვლელად გაემზადეთო. არ ვიცოდით, რა ხდებოდა, გვეგონა, დასავლეთში აირია მდგომარეობა. სექტემბრის შუა რიცხვებში ჩავედით სამტრედიაში და მაშინ გავიგეთ, რომ სოხუმზე შეტევა დაწყებულიყო. ეშელონებზე დაიტვირთა მძიმე ტექნიკა, მატარებელშივე ჩავსხედით მეომრებიც და აფხაზეთისკენ დავიძარით.

გალს რომ მივუახლოვდით, რკინიგზის სადგურში უამრავი ხალხი ირეოდა. ჩვენი დანახვა ისე გაეხარდათ, რომ შეძახილებითა და ტაშით გაგვაცილეს. 21 სექტემბერს ეშელონი ოჩამჩირეში ჩავიდა. ის ღამე სპეცრაზმმა და სატანკო ბატალიონმა სოფელ ლაბრის იმ ნაწილში გავათენეთ, რომელსაც ჯერ კიდევ ჩვენი შეიარაღებული ძალები აკონტროლებდნენ.

22 სექტემბერი გათენდა და სოხუმისკენ დავიწყეთ სვლა. ჩვენი სპეცრაზმი ბრძოლაში მონაწილეობდა გვარდიის სატანკო ბატალიონთან ურთიერთქმედებაში. ოპერაციას მეთაურობდა ზ.რუსაძე.

შეტევა დავიწყეთ ლაბრის მიმართულებით, მაგრამ შეტევა შეაჩერა დანაღმულმა ველმა, რომელზეც ჩვენი რამდენიმე მანქანა აფეთქდა. ამის შემდეგ შეტევამ მიმართულება შეიცვალა და ტამიშის მიმართულებით გაგრძელდა. 2 ივლისს დესანტის გადმოსხმის დროს ჩვენ ვათავისუფლებდით გზას კინდღიდან ოჩამჩირის მიმართულებით, 22 სექტემბერს კი — ოჩამჩირიდან კინდღის მიმართულებით. მივუახლოვდით აჟამგუის მთას, სადაც მოწინააღმდეგეს ჰქონდა საბრძოლო პოზიციები და ამ დროს ჩვენი ერთი ტანკი ნაღმზე აფეთქდა. შეტევა შეჩერდა, მესანგრეებმა მიმდებარე ტერიტორიის განაღმვა დაიწყეს. განაღმვას ხელს უშლიდან აჟამგუიდან მოწინააღმდეგის ინტენსიური ცეცხლი. რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენმა მძიმე ტექნიკამ დაიწყო მთის დამუშავება და კარგად მახსოვს, როგორ გაეხვია ცეცხლის ალში მოწინააღმდეგის პოზიციები. როგორც კი დაბომბვა შეწყდა, მაშინვე დაიწყო აჟამგუის ასაღებად შტურმი. მთაზე პირველი აიჭრა სატანკო ბატალიონის ბმპ, რომელმაც ახლო მანძილიდან ცეცხლით მხარდაჭერა გაუკეთა შეტევაზე გადასულ ჩვენს მებრძოლებს. ეს გმირული საქციელი კიდევ იმით არის აღსანიშნავი, რომ ბმპ-ში მხოლოდ და მხოლოდ ერთი მებრძოლი იჯდა — რამაზ ახალკაციშვილი, რომელმაც მძღოლ-მექანიკოსის, მემიზნე-ოპერატორისა და მეთაურის ფუნქცია შეითავსა და ლომის წილი დაიდო აჟამგუის აღებაში.

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ დაიწყო აჟამგუის მიმართულებით შტურმი. შტურმში მონაწილეობდნენ ეროვნული გვარდიის სპეცრაზმი, სატანკო ბატალიონის მებრძოლები და გორის ბატალიონი. აჟამგუის მთა სტრატეგიული სიმაღლე იყო და დიდი ბრძოლის შემდეგ ქართველების ხელში გადავიდა, მაგრამ შეტევა ამით არ დასრულებულა, სპეცრაზმის ხელმძღვანელების მიშკა ოძელაშვილისა და პავლიკა გიორგობიანის მეთაურობით შეტევა გაგრძელდა კინდღის მიმართულებით.

ამ შეტევას მძიმე ტექნიკით უზრუნველყოფდა გვარდიის სატანკო ბატალიონი. შეტევის დროს ჩვენ პირდაპირ კინდღის მხრიდან გამოჩნდნენ მეომრები. ჩვენ სროლა არ დავიწყეთ იმიტომ, რომ ვიღაცამ დაიძახა, ჩვენები არიანო. როდესაც კინდღის აფეთქებულ ხიდს მივუახლოვდით, მოწინააღმდეგემ ცეცხლი გაგვიხსნა. ყველანი დავწექით, რაკეტა ისე ნელა მოფრინავდა, გეგონებოდა, პირდაპირ თავში მეცემაო. ჩვენ ჩაგვიქროლა და ერთ-ერთ ტანკს მოხვდა. თავი რომ ავწიე, მივხვდი, რომ ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა იყო, რადგან უკან სადენები ჰქონდა მიმაგრებული. ტანკმა რაკეტა აისხლიტა და ჰაერში აფეთქდა. რამდენიმე მებრძოლი დაიჭრა.

უკვე ბინდდებოდა. კინდღისათვის შეტევა მეორე დღისთვის გადაიდო. ბრძანება მივიღეთ, რომ უკან დავბრუნებულიყავით და მეორე დღისთვის მომზადებულიყავით. სხვა ქვედანაყოფებში მსხვერპლიც იყო და დაჭრილებიც ჰყავდათ. ჩვენი სპეცრაზმი უდანაკარგოდ აგრძელებდა ბრძოლას.

23 სექტემბერს შეტევა კინდღის მიმართულებით განვაგრძეთ. მოწინააღმდეგეს საბრძოლო პოზიციები დატოვებული ჰქონდა და კინდღი წინააღმდეგობის გარეშე დავიკავეთ. კინდღის აღების შემდეგ შეტევა ახალდაბის მიმართულებით დაიგეგმა. შეტევა 23 სექტემბერს ღის 2 საათზე დავიწყეთ. კინდღიდან ახალდაბისკენ წინ მოიერიშე ჯგუფი წავიდა ტანკებითა და ქვეითი საბრძოლო მანქანებით. შეტევაში მონაწილეობდნენ გვარდიის სპეცრაზმი 30 მებრძოლით, გვარდიის სატანკო ბატალიონი, „თეთრი არწივი“, „ორბი“, „მხედრიონი“, ლოთი ქობალიას დაჯგუფება და გვარდიის ჩოლოყაშვილის სახელობის ბატალიონი პოლკოვნიკ ტარიელ აბუაშვილის მეთაურობით და კიდევ სხვადასხვა ქვედანაყოფი.



ზღვის მხრიდან ლოთი ქობალიას მეომრები (ზვიადისტები) მოდიოდნენ. გზა კინდღიდან ახალდაბამდე ძალიან გაიწელა. მივდიოდით წინ და წინააღმდეგობას არავინ გვიწევდა. რაც წინ მივდიოდით, უფრო ცუდი შეგრძნება გვეუფლებოდა. გზაზე უამრავი მკვდარი საქონელი ეყარა. დროის შეგრძნება დავკარგე. სიჩუმეს ზოგჯერ ჩვენი ტანკების გასროლა და შემხვედრ შენობებზე გახსნილი ცეცხლი არღვევდა. გავიდა დაახლოებით 3-4 საათი და ახალდაბაც გამოჩნდა. ამ დროს ჩვენი ხელმძღვანელები მიშკა ოძელაშვილი, პავლიკა გიორგობიანი, ჯუმბერ მჭედლიშვილი, გოდერძი საღარეიშვილი და კიდევ რამდენიმე მებრძოლი ავანგარდში იყვნენ ტექნიკის ოდნავ უკან და შეტევაზე უშიშრად მიდიოდნენ. მათი ინიციატივით სპეცრაზმი ყველა ქვედანაყოფზე წინ აღმოჩნდა. უცებ აფეთქების ხმა მომესმა. ეს არ იყო ჩვენი ტანკების გასროლის ხმა. ყველანი გავიფანტეთ და თავშესაფრის ძებნა დავიწყეთ. მე გზის გვერდით თხრილში ჩავწექი. რამდენიმე წუთი უმოძრაოდ ვიყავი და შემდეგ თავი ავწიე, სიტუაციაში გარკვევა მოვინდომე. დავინახე, როგორ იწვნენ დაჭრილი მეომრები გზაზე. ერთ-ერთ დაჭრილთან მივედი, რომელიც ჩვენი ქვედანაყოფის მებრძოლი გოდერძი საღარეიშვილი აღმოჩნდა. დახმარება მინდოდა, მაგრამ მითხრა, მე ჩემს თავს მივხედავ და შენ უფრო მძიმედ დაჭრილებს მიეხმარეო. ჩემ წინ გზაზე კიდევ რამდენიმე მებრძოლი იწვა მძიმედ დაჭრილი. რომ მივუახლოვდი, ჩვენი სპეცრაზმელი პავლიკა გიორგობიანი ვიცანი. გადმოვაბრუნე, ოდნავ გაინძრა და სული დალია. პავლიკა გზიდან თხრილში გადავახოხე და შედარებით უსაფრთხო ადგილის ძებნა დავიწყე. ტყვიების ისეთი წვიმა დაგვაყარეს, რომ თავს მაღლა ვერ ვწევდით. მხოლოდ ცოცვით უნდა გვემოძრავა, თან მინდოდა, ვინმესთვის დამეძახა. ოდნავ მოშორებით კახელი ბიჭი ვალა გულიაშვილი დავინახე, რომელიც ჩემსავით თხრილში იყო ჩაწოლილი. დავუძახე და დახმარება ვთხოვე. ის ჩემკენ გამოხოხდა და პავლიკას გამოყვანა დავიწყეთ.

უცებ ხმა მომესმა, გავიხედე და დათო გველესიანი დავინახე, რომელიც ცოცხალი იყო. ახლოს რომ მივედი, ვნახე, რომ მუცელი გაგლეჯილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, გონზე იყო, თან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. ჩვენ გვეხვეწებოდა, არ დამტოვოთო. მსუქანი ბიჭი იყო და ძალიან გაგვიჭირდა მისი თხრილში გადაყვანა. ვალა გულიაშვილი ბიჭების მოსაყვანად გავგზავნე, თან ტყვიების წვიმა არ ნელდებოდა. ვალა გულიაშვილი არსად არ წავიდა, მითხრა, შენ წადიო და მეც იძულებული გავხდი, წავსულიყავი. პირველად ჯუმბერ მჭედლიშვილი დავინახე, გზის იქით თხრილში იწვა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეძინა. სამწუხაროდ, მკვდარი იყო, ტყვია შუბლში ჰქონდა მოხვედრილი. გზა ხოხვით გავაგრძელე. გოდერძი საღარეიშვილს წავაწყდი, თვითონაც დაჭრილი იყო და დაღუპულ ძმას, ანზორს გლოვობდა, რომელსაც თავი შუაზე ჰქონდა გადახსნილი. ცოტა იქით გავხოხდი და დავინახე გზაზე ვიღაც იწვა და ოხრავდა. თავიდან ვერ ვიცანი, რომ მივუახლოვდი, ჩვენი სპეცრაზმის მეთაური მიშკა ოძელაშვილი ვიცანი, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. გზიდან გადმოვიყვანე და ამ დროს ჩვენთან დათო ანდღულაძეც მოცოცდა. მიშკამ თვალები გაახილა და გვკითხა, აქ რას აკეთებთ? წადით, შეტევა გააგრძელეთო! ვუთხარი, ახლა სამშვიდობოს გაგიყვან და შემდეგ შეტევას გავაგრძელებთ-მეთქი. დათო ანდღულაძეს ვუთხარი, მე მივდივარ, ბიჭები და ტექნიკა უნდა მოვიყვანო, შენ ჩემს მოსვლამდე მიშკასთან დარჩი-მეთქი. გზის მეორე მხარეს დავინახე მოგელი ჯღამაძე, რომელიც დაჭრილ მიშკა ზურაბაშვილს ამხნევებდა, მას ტყვია მუცელში ჰქონდა მოხვედრილი. ამათაც იგივე ვუთხარი და ტექნიკის მოსაყვანად წავედი. გზაზე გოდერძი ალხანიშვილი და სოსო ბახუტაშვილი (ბახუტა) შემხვდნენ. შედარებით უსაფრთხო ადგილას იყვნენ და მათ ვუამბე, რაც ვნახე. ბახუტა და გოდერძი დაღუპულებისა და დაჭრილების გამოსაყვანად წავიდნენ.

ცოტა რომ ვიარე, ჩვენი სპეცრაზმის ბიჭებს შევხვდი და მათაც ყველაფერი გავაგებინე. შემდეგ სატანკო ბატალიონის ბიჭებთან მივედი და ვთხოვე, რომ ბიჭების გამოყვანაში დაგვხმარებოდნენ. მათ გარდა იქ სხვა ქვედანაყოფებიდანაც იყვნენ მეომრები. რამდენიმე ქვეითი საბრძოლო მანქანა (ბმპ) და მებრძოლი გამომყვა დაჭრილებისა და დაღუპულების გამოსაყვანად. მათი ვინაობა დღესაც არ ვიცი. როგორც თქვეს, რამდენიმე მათგანი „ორბის“ მებრძოლი იყო.

როცა მივედით, მიშკა ოძელაშვილი გარდაცვლილი დაგვხვდა, მას გულმკერდის არეში დიდი ჭრილობა ჰქონდა. შემდეგ აფეთქებულ ქვეით მანქანას მივუახლოვდი და უცებ უკანა დესანტის კარი გაიღო და ვიღაც გადმოძვრა. შევატყვე, კანტუზირებული იყო, რომ დამინახა, რუსი ვეგონე და რუსულად მითხრა, არ მესროლოო. ნუ გეშინია, ქართველი ვარ-მეთქი. ძლივს გადმოვიდა, მაგრამ გადაადგილება შეეძლო და მას პავლიკა გიორგობიანის იარაღი მივეცი. მან ხოხვით გააგრძელა მოძრაობა, თან ორი მებრძოლი ეხმარებოდა. როგორც შემდეგ გავიგეთ, სატანკო ბატალიონის მებრძოლი ყოფილა. ვინც ეხმარებოდნენ უკან გასვლაში, მათ მიუტოვებიათ და ჩემი მიცემული ავტომატიც აულიათ.

დაჭრილებისა და დაღუპულების გამოყვანა დავამთავრეთ. მხოლოდ დათო გველესიანის გამოყვანა იყო საჭირო და მე და კახა კოპალიანმა გამოვიყვანეთ, ძალიან გვიჭირდა 120-კილოგრამიანი დაჭრილი კაცის გამოყვანა, თან ხოხვით უნდა გვეტარებინა. ვნახე, ჩვენი სპეცრაზმის ბიჭებმა, როგორ გამოიყვანეს პავლიკა გიორგობიანი.

ამ ბრძოლაში ეროვნული გვარდიის სპეცრაზმმა უდიდესი დანკარგი განიცადა: სპეცრაზმის მეთაური მიშკა ოძელაშვილი, მისი მოადგილეები პავლიკა გიორგობიანი და ჯუმბერ მჭედლიშვილი, მებრძოლები: ანზორ საღარეიშვილი, დათო გველესიანი და მიშკა ზურაბაშვილი დაიღუპნენ. დაიჭრნენ: გოდერძი საღარეიშვილი და დათო მჭედლიშვილი. რამდენიმე მებრძოლს კონტუზია ჰქონდა მიღებული. ასე შავად მიილია 23 სექტემბრის ღამე.

დაჭრილები და დაღუპულები საავადმყოფოში მივიყვანეთ, სადაც მათ დახმარება აღმოუჩინეს. ჩვენი მებრძოლების სიმამაცის წყალობით არც ერთი დაღუპული და დაჭრილი ბრძოლის ველზე არ დაგვიტოვებია. მე ვალდებული ვარ, მათი სახელები ყველამ გაიგოს: მიხეილ ოძელაშვილი, პავლე გიორგობიანი, ჯუმბერ მჭედლიშვილი, დათო გველესიანი, კახა კოპალიანი, სოსო დოღონაძე, ალეკო მშვიდობაძე, თემურ ბაკურაძე, გია თეოფილოვი, დათო ანდღულაძე, დათო მჭედლიშვილი, ზურა იმერლიშვილი, ვეფხია მუზაშვილი, დავით ბადალოვი, ალიკა სადაღაშვილი, მიხეილ ზურაბაშვილი, დავით ბარამიძე, გოდერძი ალხანაშვილი, გიორგი გოგიშვილი, იოსებ ბახუტაშვილი (ბახუტა), ვალა გულიაშვილი, ხვიჩა ძულულაშვილი, ვალერი კიკვიძე, გია ქსოვრელი, სოსო კვირიკაძე, მერაბ კიკაბიძე, გოგიშა (გვარი არ მახსოვს), კახა მეგრელაძე და თქვენი მონა-მორჩილი.

ამის შემდეგ სპეცრაზმმა მიიღო ბრძანება დაჭრილებისა და დაღუპულების თბილისში ჩამოყვანის შესახებ. ერთი შვეულმფრენი და მანქანები გამოგვიყვეს. მანქანები ზუგდიდის გავლით ჩამოვიდნენ თბილისში.

24 სექტემბერს თბილისში ჩამოვედით. დაჭრილები საავადმყოფოში მივიყვანეთ, ხოლო დაღუპულები — ოჯახებში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დათო გველესიანის გადარჩენა ვერ მოხერხდა და ორ დღეში გარდაიცვალა, ხოლო მიშკა ზურაბიშვილი 8 თვის შემდეგ დაიღუპა ჭრილობების გამო.

26 და 27 სექტემბერს, ზუსტად არ მახსოვს, სპეცრაზმის დარჩენილი წევრები შევიკრიბეთ ეროვნული გვარდიის სამმართველოში და მზად ვიყავით აფხაზეთში წასასვლელად. ამ დროს ბრძანება მოვიდა, აფხაზეთის მიმართულებით ყოველგვარი გადაადგილება შეჩერდაო. ცოტა ხანში უარესი ამბავის მომსწრენი გავხდით, — სოხუმი დაეცა. უამრავი ჩვენი ნაცნობი და მეგობარი გმირულად შეეწირა სამშობლოს დაცვას. ეს მთელი ერის ტრაგედია იყო!

# 10 winaswarmetyveleba, romelzec ar gsmeniaT

## ალოიზ ირლმაიერი

ირლმაიერი უბრალო გერმანელი იყო, რომელმაც 1950 წელს გააკეთა პროგნოზი მესამე მსოფლიო ომის შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ მესამე მსოფლიო ომი „დაიწყება ახლო აღმოსავლეთში და ეს იქნება ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია მთელი კაცობრიობისთვის.



ომის პირველი ნაპერწკალი დაიწყება ბალკანეთში და მოედება მთელ მსოფლიოს. ორი კაცი მოკლავს ერთს, რომელსაც ექნება დიდი თანამდებობა. ამათგან ერთ-ერთი მკვლელი იქნება დაბალი ზანგი, ხოლო მეორე ჭაღარა კაცი. ჩემი აზრით, ეს მოხდება ბალკანეთში, მაგრამ ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით. შურისძიება წამოვა დიდი წლიდან, ყვითელი დრაკონი მოემართება კანადასა და ალიასკაზე, მაგრამ იქ გაჩერდება. შემდეგ წამოვა ყვითელი წვიმა ფერფლისა". ყველაზე საინტერესო ამ პროგნოზებიდან ის არის რომ, მას სჯერა ომის დაწყებისა ახლო აღმოსავლეთში.

## ჰილდეგარდ ვონ ბინგენი



ჰილდეგარდ ვონ ბბინგენი მე-12 საუკუნეში მოღვაწეობდა. მან დიდი წვლილი შეიტანა საეკლესიო მუსიკისა და ლიტერატურის განვითარებაში. იგი არ არის ცნობილი, როგორც წინასწარმეტყველი, არადა უამრავი წინასწარმეტყველება ჰქონდა. ერთ-ერთში იგი ლაპარაკობს იმ დროისთვის ჯერ აღმოუჩენელ ქვეყანაზე, ამერიკაზე, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზე უძლიერესი იქნება. შემდეგ ლაპარაკობს მის მოსალოდნელ განადგურებაზე: „სანამ კომეტა ჩამოვარდება, საშინელი მიწისძვრა დაატყდება თავს და არა მხოლოდ მას, არამედ მთელ ზღვისპირა ქვეყნებს, წამოვა უზარმაზარი ტალღები, ხალხი დაკარგავს საცხოვრებელ სახლებს, დაიწყება შიმშილობა. გავრცელდება საშინელი დაავადებები, მიწასთან გასწორებული იქნება უდიდესი ქალაქები". იგი ამბობდა, მშვიდობა დაბრუნდება დედამიწაზე, როდესაც საფრანგეთის ტახტი აღდგენილი იქნებაო.

პროგნოზი რეალურია თუ იაპონიის ბოლოდროინდელ მოვლენებს გავითვალისწინებთ.

## ვანგა

ცნობილია, რომ ვანგა იყო ბრმა ბულგარელი წინასწარმეტყველი (31 იანვარი, 1911 — 11 აგვისტო, 1996) იგი პოპულარული გახდა თავისი მისტიური შესაძლებლობებით. ხალხის უდიდესი ნაკადი (მათ შორის ჩინოვნიკები, ცნობილი მოღვაწეები, მომღერლები) ხშირად აკითხავდნენ, რათა გაეგოთ თავიანთი ცხოვრების მომავალი. მან განაცხადა, რომ კაცობრიობა 4599 მიაღწევს უკვდავებას და არაუმეტეს 100 წლისა, კავშირს დავამყარებთ უცხოპლანეტელებთან. 4599 ადამიანი იმდენად იქნება განვითარებული, რომ შეძლებენ პირდაპირ ურთიერთობას ღმერთთან. 2221 წელს ადამიანს ექნება კონტაქტი რაღაც საშინელებასთან (სავარაუდოდ, უცხო სხეულთან, უცხო ცივილიზაციასთან). მან ასევე იწინასწარმეტყველა 2023 ცვლილებები დედამიწის ორბიტაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვანგა მესამე მსოფლიო ომის დაწყებას 2010 წელს ვარაუდობდა.



ვანგა მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი წინასწარმეტყველია, რომელიც ბოლო საუკუნეებში გამოჩნდა. ის აბსოლუტური სიზუსტით წინასწარმეტყველებდა ფაქტებს და მოვლენებს. თუმცა ვანგას ქმარი ლოთობისგან გარდაიცვალა, რამაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა თეზა იმის შესახებ, რომ ბედისწერის შეცვლა შეუძლებელია. სხვათა შორის, ბოლო წლებში ვანგა ამას თვითონვე აღიარებდა.

## მესამე საიდუმლო

2000 წლის 26 ივნისი – ფატიმას მესამე საიდუმლოება, რომელიც გამოავლინა კარდინალმა რატზინ-



გერმა (ახლანდელი პაპი ბენედიქტე XVI), წინასწარმეტყველებას თან ახლავს სალვთისმეტყველო კომენტარები.

## ურსულას წინასწარმეტყველება

Ursula Southeil (1488–1561) ეს ქალბატონი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია, მან დაწე-



რა რამოდენიმე ცნობილი წინასწარმეტყველება, რომელზეც დღემდე არ წყდება დისკუსიები.

## მიტარ ტარაბიჩი

ტარაბიჩი არც ისე ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. ის ცხოვრობდა სერბეთში 1829 – 1899 წლებში. როგორც აღნიშნავენ, მან ბევრი რამ იწინასწარმეტყველა სერბეთში 1930 წელს განვითარებულ მოვლენებსა და მეორე მსოფლიო ომზე.



მან იწინასწარმეტყველა კომპიუტერებზე და იმაზეც, რომ ადამიანი იმოგზაურებდა უცხო პლანეტებზე სიცოცხლის აღმოსაჩენად.

## რობერტ ნიქსონი

რობერტ ნიქსონი სოფლელი ბიჭუნა იყო, იგი მე-15 საუკუნეში ინგლისში ცხოვრობდა და ჩვეულებრივ, იშვიათად ლაპარაკობდა, რადგან ენაბლუ იყო და გაუგებრად ბუტბუტებდა. ნიქსონი სხვებთან შედარებით განუვითარებელ ბავშვად ითვლებოდა, ნელა აზროვნებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მომავალს წინასწარმეტყველებდა.



მან იწინასწარმეტყველა მოგზაურობა მთვარეზე, ხმის ჩამწერ აპარატებსა და ნათურაზე. როდესაც იგი სასამართლოს წინაშე წარსდ-

გა (მოგეხსენებათ, იმ ხანებში ასეთ ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ), მოსამართლე მეფე რიჩარდ III-ის წინაშე უარყო თავისივე წინასწარმეტყველებები. თუმცა ის მაინც მოკლეს – მეფის მზარეულმა კარადაში ჩაკეტა და ბიჭუნა შიმშილისაგან გარდაიცვალა.

## რომის პაპი

პაპის წინასწარმეტყველება 112 მოკლე ფრაზისგან შედგება. ის აღწერს ყველა კათალიკოსს (რამოდენიმე



ანტი პაპს) დაწყებული ჩელესტინ II-დან (აირჩიეს 1143). ამ წინასწარმეტყველებაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ პაპი ბენედიქტ XVI არის უკანასკნელი პაპი.

## ჯოზეფ სმიტი

მორმონთა სექტა XIX საუკუნის პირველ ნახევარში აშშ-ში ჩამოყალიბდა. მას სხვაგვარად „უკანასკნელი დღის წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიას" უწოდებენ. სექტის დამაარსებელ ჯოზეფ სმიტს (1805-1844) მიმდევრები „წინასწარმეტყველად" იხსენიებენ. იგი ამბობდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდე-



ბა საშინელი „თეთრი ცხენის" რევოლუცია. ქვეყანა დადგება ისეთი განსაცდელის წინაშე, რაც აქამდე არასდროს მომხდარა, ყველაზე საშინელი ამ ისტორიაში სისხლისღვრები, მკვლელობები და გაუპატიურებები იქნებაო.

## წმინდა ნილუსი

წმინდა ნილუსი აცტეკი ბერი იყო, ის მე-5 საუკუნეში მოღვაწეობდა. მისი წინასწარმეტყველებები ასე ჟღერს:



1900 წლის შემდეგ ადამიანები გახდებიან დაუმორჩილებლები. იქნება სრული ქაოსი და უკანონობა. სიცრუე, გაუმაძღრობა, კაცი დაწვება კაცთან, ქალი – ქალთან. ადამიანებს აღარ ექნებათ სირცხვილის გრძნობა. ქრისტიანული მორალი და საეკლესიო ტრადიციები შეიცვლება.

# CexeTSi aRmoaCines namdvili eSmakis winaswarmetyveleba

საყოველთაოდ ცნობილია ნოსტრადამუსის, ვანგას და ვოლფ მესინგის წინასწარმეტყველებები, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ სმენია გერმანელი მეცნიერის ალბერტ დიდის შესახებ, რომელმაც 8 ასწლეულის წინ იწინასწარმეწტყველა ის, რაც დღემდე ხდებოდა და რაც ხდება ამ მომენტამდე. რას გვიწინასწარმეტყველებს ალბერტ დიდი უკანასკნელ 100 წელიწადში? ამის ახსნა 14 საუკუნის ტაძარში არის შესაძლებელი, რომელიც ალბერტ დიდის წინსაწარმეტყველებებს ინახავს.

მსოფლიოში ერთადერთი საათი, რომელიც აგურისგან და ქვებისგან არის დამზადებული ჩეხეთში პატარა ქალაქ კუტნა-გორაშია. ჭაღი, რომელიც ამ საათზე ჰკიდია 5000 ადამიანის ნაწილებისგანაა შექმნილი. გირლიანდები ორ რიგად ეშვება დაბლა, თითქმის იქამდე, სადაც მგალობელთა გუნდის ადგილია. ძვლები, რისგანაც არის გაკეთებული მონასტრის ჭაღი, იმ ადამიანებს ეკუთვნით, რომლებიც 1318 წელს ქალაქ კუტნაში დარდაიცვალნენ შავი ჭირის ეპიდემიისგან. დაავადება მხოლოდ აქ ქალაქში გავრცელდა, მეზობელ სოფელს არც კი გაჰკარებია.



გადარჩენილები შემდეგ წერდნენ, რომ დაავადება ამ ქალაქში გავრცელდა იმ საიდუმლოებით მოცული წიგნის გამო, რომელშიც ეშმაკის ყველაზე დიდი და უძველესი გამოსახულება ინახება. ამ წიგნმა ყველას უბედურება მოუტანა, სადაც კი ის გამოჩნდა. წიგნს „გიგასის კოდექსი" ეწოდება. მისი სიგრძე თითქმის ერთი მეტრია, ხოლო სისქე 30 სანტიმეტრი. წიგნს რადიოგრამული ანალიზი ჩაუტარეს. აღმოჩნდა, რომ იგი 1240 წელს არის დაწერილი ერთი და იგივე ხელით. მაგრამ ვინ არის ავტორი, დღემდე ცნობილი არაა.

წიგნის გვერდები ხბოს ტყავისგან არის დამზადებული და 640-გვერდიანია, თუმცა ჩვენამდე 624 გვერდმა მოაღწია. მაგრამ ყველაზე საოცარი ამ წიგნში ეშმაკის უზარმაზარი გამოხულებაა. რა წერია წიგნში? ეს ბოლომდე ჯერ გაშიფრული არაა, თუმცა მეცნიერები ვარაუდობენ, რომ წიგნში ეშმაკის წინასწარმტყველება უნდა იყოს. რამდენიმე სტრიქონში, რისი ამოკითხვაც აქამდე შესაძლებელი გახდა, ნათქვამია: „მოვა ტირანი, რომელიც ეშმაკისგან იქნება მხარდაჭერილი და მოინდომებს მთელი მსოფლიოს დაპყრობას, მაგრამ მას ჩრდილოეთის ხალხები შეეწინაალმდეგებიან და ის ამას ველარ მოახერხებს".

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ საუბარია ადოლფ ჰიტლერზე. რადგან შემდგომ გვერდებზე ასეთი რამ წერია: „გერმანიის მმართველები სამჯერ მოინდომებენ მსოფლიოს დაპყრობას". ამ ტექსტების უფრო ზუსტად გასაშიფრად მეცნიერებმა ჩეხეთის და მეზობელი ქვეყნების ორაკულთა ძველი არქივები გადაათვალიერეს და ერთი მნიშვნელოვანი წიგნი – „ალქიმიური გამოცანები" კარგად შეისწავლეს. ამ წიგნის ავტორია შუასაუკუნეების ცნობილი მეცნიერი ალბერტ ფონ ბოლშტედტი, იგივე ალბერტ დიდი. იგი იყო მე-13 საუკუნის უდიდესი მეცნიერი, პირველი გერმანელი, რომელმაც ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიიღო.

ალბერტ დიდმა, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული ელექტროენერგია, იწინასწარმეტყველა, რომ ადამიანები ავტომობილს გამოიგონებდნენ და ერთმანეთის დასახოცად ცეცხლსასროლ იარაღს შექმნიდნენ.

საინტერესოა, რას წერს ის თავის გარდაცვალებაზე: „ჩემი ანუ ბოლშტედტის – ალბერტ დიდის გარდაცვალებიდან 1000 წლის შემდეგ დედამიწაზე ანგელოზები დაეშვებიან, რაც წარღვნისწინა პერიოდზე მიანიშნებს". მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ალბერტ დიდისეული ანგელოზები უცხოპლანეტელები არიან. თუმცა ამის შემდეგ რა მოხდებოდა, წინასწარმეტყველმა ვერ მოასწრო დაწერა. ეს იყო მისი უკანასკნელი ფრაზა წიგნში, რომელიც 1280 წელსაა დაწერილი, მის სიკვდილამდე ორიოდე თვით ადრე.

ალბერტ დიდი კიოლნში, წმინდა ანდრიას სახელობის ეკლესიაში დაასაფლავეს. ეს არის ერთ-ერთი უძველესი ტაძარი იმ მხარეში, სადაც არ წყდება მომლოცველთა რიგები მისი საფლავის მოსანახულებლად და თაყვანისსაცემად.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

# gardaicvala poeti _ baadur balarjiSvili



მთელი სიცოცხლე თავისუფლად იარა.

ცხოვრებისეული არანაირი ბორკილი არ მიიკარა.

თავისი ლაღი სული ხორციელი ყოფის საპყრობილეს ააცილა და ლაჟვარდოვან, ზეციურ სამყაროს აზიარა.

მიწიერი ჯოჯოხეთი პოეზიად აქცია, სიმღერებად მოჰქარგა იმ მუხის ტოტებზე, თბილისში, კალინინის ქუჩაზე, მისი სახლის წინ რომ იდგა მომაკვდავი და ობლად გარინდულ იასამანს ანუგეშებდა: „ჩემს ეზოში დგას ბებერი მუხა და ნელა ხმება, როდესაც ქარი როკავს როგორც შლეგი შამანი, მაგრამ გაზაფხულს მაინც მწვანე ფოთლებით ხვდება, რომ ანუგეშოს იასამანი"...

მრუდმა ყოფიერებამ ვერაფერი დააკლო.

საკუთარი ბილიკებით მიიწევდა ჭეშმარიტებისაკენ.

სიმშვენიერის ძებნაში გალია წუთისოფელი.

უკვე მოსულა ჟამი – ჩვენი მეგობარი უფლისმიერი წალკოტებისკენ მიეშურება და გვესმის მისივე სტრიქონები, სევდიანი გამოსათხოვარი:

„მე ლამაზი უკვე ვიყავ, ეხლა მშვენიერი ვარ,

დავთვრები და გავბრიყვდები სიყვარულზე ვმღერივარ,

არც ალუბლის კუნწულა ვარ, არც ნარცისის ღერი ვარ,

უბედური არ ვარ, მაგრამ ვეღარც ბედნიერი ვარ".

გზა მშვიდობისა ძმაო. საითაც შენი სული მიილტვის – „უცხო სამოთხეებში", ბევრი ახლობელი დაგხვდება. მათ შორის უთუოდ იქნება ჩვენი უფროსი მეგობარი, ნაღდი პოეტი, შოთა ჩანტლაძე, თავისი განუმეორებელი ღიმილით და ლექსით: „უცხოა – ირგვლივ რაც არი, და ახლობელი – რაც არა. გული სევდისგან დაცალე, ო, სევდამაც გაცალა... ერთი წავა და სხვა მოვა, ერთი მოვა და სხვა წავა".

**ლერი ალიმონაკი, ჯარჯი ფხოველი, ირაკლი ვაშაყმაძე, ვახტანგ ხარჩილავა, ჯემალ დავლიანიძე**

### აზერბაიჯანის პრემიერის მოადგილე: დღეს სომხეთი რუსეთის სამხრეთზე, ჯავახეთსა და თურქეთის აღმოსავლეთზე პრეტენზიას აცხადებს

აზერბაიჯანის პრემიერ - მინისტრის მოადგილის, ალი ჰასანოვის მტკიცებით, სომხეთი საქართველოს რეგიონ სამცხე-ჯავახეთზე პრეტენზიას აცხადებს.

„მინდა მივმართო იმ ქვეყნებს, ვინც დღეს სომხეთს პატრონობენ და მხარს უჭერენ: დღეს სომხეთი პრეტენზიას აცხადებს რუსეთის სამხრეთზე, საქართველოს რეგიონ ჯავახეთსა და თურქეთის აღმოსავლეთზე. ხვალ იტყვიან, რომ საფრანგეთი მათი ისტორიული წინაპრების მიწაა, შესაძალოა, აშშ-ს ერთ, ან ორ შტატაზეც გამოაცხადონ პრეტენზია. ამის შემდეგ ისინი გაიგებენ იმას, რასაც ჩვენ მთიან-ყარაბღთან მიმართებაში ვცნობთ", - განაცხადა ჰასანოვმა.

### სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის გაზრდაზე საკანონმდებლო ცვლილება პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო



სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის 15 თვემდე გაზრდაზე საკანონმდებლო ცვლილება პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. შესაბამისი ცვლილება სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში შედის. კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 12 თვეა. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად დღეს დადგენილი 12 თვე სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული პირების შესაბამისად მომზადებისთვის საკმარისი არ არის. კანონპროექტის ავტორი თავდაცვის სამინისტროა, ინიციატორი კი — დეპუტატი კახა სუხიშვილი.

**„მედიანიუსი"**

Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

# facebook

# xalxis azriT

დღეს 1 არხის დილის გადაცემაში ზოოპარკიდან იყო სიუჟეტი ტაპირზე. (რაც გაძვირდა ზოოპარკის ბილეთის ფასი აღარ ვყოფილვარ და არ ვიცოდი, რომ ტაპირიც ჩამოუყვანიათ, ალბათ მაგიტომაც გააძვირეს, ჩამოსაყვანად. აბა უტაპირო ზოოპარკი, რა ზოოპარკია?!). მოკლედ ტაპირი მოგეხსენებათ ცხელ ქვეყნებში ბინადრობს და აქ რომ არ გაყინულიყო გალიაში გათბობა დაუმონტაჟებიათ,რაღა თქმა უნდა მერიის ხელშეწყობით. კარგია არა? და რაღათქმაუნდა სწორია, მაგრამ... ამ ყინვებმა ორი ადამიანი იმსხვერპლა,გაიყინნენ,იმიტომ რომ გათბობის საშუალება არ ჰქონდათ... ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი... სიმღერა რომ იყო,გახსოვთ? ნეტავი ჩიტად მაქციაო..თანამედროვე ვარიანტში ესე ჟღერს,ნატავ ტაპირად მაქცია..(გაზს უთიშავენ დავალიანების გამო? ნეტავ როგორი გამათბობელი დაუმონტაჟეს,ემანდ არ გაიგუდოს,ყოველ ზამთარს რამდენი თბილისელი იგუდება ხარისხიანი გამათბობლის შესაძენად ფული რომ არ ჰყოფნით..)

ხალხთან საუბრის მაგივრად ხელისუეპლება იყენებს დუბინკას. სიტყვამ დაკარგა თავისი ძალა.იმი ს მაგივრად რომ ყოველმა ადამიანმა სიტყვა თქვას თავისუპლად, მეფობს ცენზურა და ტოტალური დამორჩილების მცდელობა.

ჩვენ ვკითხულობთ, რატომ მოხდა ასე, ვისი ბრალია. მოდით ვაღიაროთ სიმართლე რომელიც ძალზე იოლია: საკმარისია ჩავიხედოთ სარკეში.

მე მესმის რატომ ვიქცევით ასე. შიშმა შეგვიპყრო ყველა. ხელისუფლება

შეგვპირდა სტაბილურობას და სამაგიეროთ გვაიძულა სიჩუმე მკვლობბზე,მონოპოლიებზე,უკანონობასა და ცემა ტყეპაზე. ქართველები თავისუფლებას მხოლოდ უბრალო სიტყვით არ განიხილავდნენ.ჩვენთვის ხომ თავისუფლება ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო მუდამ.

ჟორჟოლიანმა გადაცემა ბაქრაძეს (ოჯახთან ერთად) მიუძღვნა.

''სპეციალური რეპორტაჟი'' – ამ შაბათს სააკაშვილის ოჯახური იდილიით დაგვატკბობს:)

აფსუს, ბადრის ტელევიზიავ! ვინ გიყენებს წინასაარჩევნო აფიორისთვის: (ამ ბოლო დროს ბაქრაძეს თავის ნაგრამთან ერტად აპიარებენ თავგადაკლული საპრეზიდენტოდ ამზადებენ ან უფრო სიის პირველ ნორმრად რადგან საზოგადოების პატივსაცემი ხალხი უარს ეუბნება პაატა ბურჭულაძეც უნდოდათ მაგრამ ვერ მიართვა.

სააკაშვილი შეიძლება საპარლამენტო სიის №1 იყოს. პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება არც წამოაყენონ, რადგან ახალი კონსტიტუციით, მას არანაირი ძალა არ ექნება.ანუ შესაძლოა ცრუ-დემოკრატია ცრუ-ოპოზიციონერი პრეზიდენტით ''დაამშვენონ''...

ნაცმოძრაობა ვაკეში მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად გიორგი კარბელაშვილს დაასახელებს გეგმავს. იციან რომ ისედაც აგებენ ვაკეს და ამ ლიფსიტის შემოგდება უნდათ.ნეტა 10 ვაკელს თუ შეკრიბავენ მაგათ მომხრეს! ვაი მაგათ პატრონს!თავიდანვე წაგებულ უბნებზე ისეთ კანდიდატურებს ჩასვამენ რომელთაც პირდაპირ უარს ვერ ეუბნებიან პარლამენტში შესვლაზე და მოიგეთ და შეხვალთო ეტყვიან სიაში სულ ახალ ვიღაცეებს გამოჩხრეკენ.

მავანი იტყვის, ამ კაცის თავგადასავლებს მისი ცოლი არ დარდობს და თქვენ რატომ იკლავთ თავსო. იქნებ მართალიც იყოს, სხვის ლოგინში ყურება არც ჩვენ გვეხალისება, მაგრამ ჩვენი გატყავებული ბიუჯეტი რამდენ სოლისტს აიტანს, უცნობია. ისინი კი ბათუმის «პიაცაზე» გუნდურად გამოსვლას არ თანხმდებიან, – ყველას სოლო კონცერტი უნდა, თანაც ისეთ ვარსკვლავებთან, რომელთა კონცერტებზე დასწრებასაც კი არ ღირსებიან მანამდე!




# მკითხველები გვწერენ...

**პატივცემულო რედაქციავ,**

გთხოვთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე რომლის მუდმივი მკითხველი ვარ, გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი, მიუხედავად იმისა, თუ როგორია თქვენი დამოკიდებულება წერილში მოყვანილი სუბიექტების მიმართ.

როგორც ცნობილია, ბატონ ბიძინა ივანიშვილის მოსვლამ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მთელი გადატრიალება მოახდინა და საქმე გაუჩინა, როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. იმედი გაუჩინა ხალხს, იმედი იმისა, რომ რაღაც მაინც შეიცვლება ამ ქვეყნის გაუსაძლის ცხოვრებაში.

პოლიტიკაში მოსვლისთანავე ბატონმა ბიძინამ სათანამშრომლოდ მიიწვია ზოგიერთი ოპოზიციური პარტია, მათ შორის ბატონი ირაკლი ალასანია და მისი პარტია. ამას, რა თქმა უნდა, ყველა მიესალმა, მათ შორის მეც. საქართველოს საზოგადოება ბატონ ირაკლი ალასანიას იცნობს, როგორც ახალგაზრდა, სუფთა ხელებით მოსულ გაუსვრელ პოლიტიკოსს, შესანიშნავი ოჯახის შვილს, რომლის მამა გენერალი მამია ალასანია აფხაზეთთან ომს შეეწირა. ბატონი ალასანია წარმატებით მოღვაწეობდა, როცა დაკავებული იყო აფხაზეთ-საქართველოს კონფლიქტის მოწესრიგებით. გარკვეული მიღწევებიც ჰქონდა, ასევე წარმატებით იმოღვაწა მან გაეროში, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა, მაგრამ არის ერთი მაგრამ, მას შემდეგ, რაც ალასანია ჩაეწერა ქართულ პოლიტიკოსების ოპოზიციურ ფრთაში.

ძალიან ბევრ დროს უთმობს იგი ქალბატონ ნინო ბურჯანაძის კრიტიკას, თუ რამდენად ობიექტურია მისი კრიტიკა, მკითხველმა განსაჯოს, მაგრამ ასეთ კრიტიკას რომ კარგი არაფერი მოაქვს ქართული ოპოზიციისთვის, ცხადია.

არანაირი თანხვედრა არ გვაქვს ქალბატონ ბურჯანაძესთან და მის პარტიასთან, მაინც ვთვლი, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას თანაბარი საარჩევნო პირობები უნდა მიეცეს. რა თქმა უნდა ბურჯანაძის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, იყო ბევრი უარყოფითი, მაგრამ ყველა უბედურება, რაც ხელისუფლებაში ხდებოდა, აჰკიდო კაფანდარა ქალბატონის მხრებს, მართლაც რომ უსამართლობაა.

ასე რომ, თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ოპოზიციას და მის წამყვან ძალას „ქართულ ოცნებას“ აქვს კი იმის ფუფუნება, რომ ბურჯანაძეს და სახალხო კრებას ასე უარყოფითად უყუროს? ბურჯანაძე და მისი გუნდი ყოველთვის სერიოზული ძალა იქნება ქართულ ოპოზიციურ სპექტრში და ქართული საზოგადოების მხრიდან ამ ძალაზე ყოველთვის იქნება მოთხოვნა. რაც შეეხება ბურჯანაძე-ალასანიას გაპაექრებას სჯობს დასხდნენ და ღია ეთერში იკამათონ თავიანთ პოლიტიკურ ღირებულებებზე.

**ვაჟა კილურაძე,**
პენსიონერი

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მოგახსენებთ, 82 წლის მარტოხელა ვარ. მაქვს მუშაობის 60 წლის სტაჟი, დაჯილდოებული ვარ შრომის ვეტერანის მედლით. დღესაც ვმუშაობ, ვიღებ ხელფასს 200 ლარს. დროულად ვიხდი კომუნალურ, ტელეფონის და ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადს 80 ლარის რაოდენობით.

იმის მაგივრად, რომ მადლობა მითხრათ ამ ხნის კაცს, რომ კიდევ ვემსახურები ქვეყანას და რაღაც წვლილი შემაქვს საქართველოს სასარგებლოდ, პენსიის გაცემა შემიწყვიტეს, ალბათ, იმიტომ, კიდევ ვცოცხლობ ვმუშაობ და ვემსახურები ამ ქვეყანას.

გასული წლის 27 დეკემბერს დამიბარეს გ.ტაბიძის ქ.№4-ში. საპენსიო განყოფილებაში და მითხრეს, რომ განცხადება დამეწერა და უარი მეთქვა ან პენსიის აღებაზე, ან ხელფასის აღებაზე. სამსახურიდან ცნობა მომატანინეს, რომ მე ვმუშაობ და უარს ვამბობ პენსიის მიღებაზე. ეს არ იკმარეს, დამირეკეს და მითხრეს, რომ უკან დამებრუნებინა, მე უარი ვუთხარი. რადგან საახალწლოდ დახარჯული მქონდა. 10 იანვარს ფოსტით მივიღე შეტყობინება, რომლითაც მაფრთხილებდნენ თუ ამ თანხას არ დავაბრუნებ სამი თვის ვადაში და არ წარვადგენდი ბანკში გადახდილ თანხის დოკუმენტს, მაშინ საქართველოს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის 2007 წლის 14 მარტის №21-22 ბრძანების შესაბამისად, აღნიშნულ საქმეს გადაწყვეტდა სასამართლო.

პარლამენტის დეპუტატები ოთხი წლით პარლამენტში ყოფნისას, დაქცევისა და „აღმშენებლობის“ მეტი, რომ არაფერი უკეთებიათ. იღებენ ვეებერთელა ხელფასს, იშენებენ სასახლეებს, დაჩებს, ყიდულობენ ძვირად ღირებულ მანქანებს, შვილს გზავნიან სასწავლებლად საზღვარგარეთ და დეპუტატობის ვადის ამოწურვის შემდეგ ენიშნებათ პენსია 600-700 ლარის რაოდენობით და თანაც კარგ მაღალანაზღაურებად სამსახურში იმსახურებენ, ნუთუ მათაც შეუწყვეტენ პენსიის გაცემას? არა მგონია, ეს კანონი მათზე გავრცელდეს, რადგან ვიცი, წინა მოწვევის ყველა დეპუტატები ხუთჯერ მეტ პენსიას იღებენ, ვიდრე ჩვენ და კარგი ხელფასიანი სამსახურიც აქვთ. მე კი ამდენი წლის მუშაობის სტაჟის მქონე, ჩვენი პრეზიდენტის საყვარელი ველოსიპედიც კი ვერ შევიძინე.

და კიდევ, მე თუ მთხოვენ უკანონოდ მიღებულ პენსიის დაბრუნებას, მაშინ მეც ვთხოვ ამ ხელისუფლებას, რომ მიიღოს ისეთი კანონი, რომ ჩემი ალალი შრომით შემნახველ სალაროში შეტანილი ფული დამიბრუნონ, რომელიც მათ უკანონოდ წამართვეს, გამძარცვეს და დამაყაჩაღეს.

მათხოვარი არ გეგონოთ, რომ პენსიის დანიშვნას გთხოვდეთ, პირიქით, უკან გიბრუნებთ უკანონოდ მიღებულ პენსიის და გადახდილი თანხის ქვითრებს.

ყოველ კვირა ვყიდულობდი სამ გაზეთს: „ასავალ-დასავალს“, „კვირის ქრონიკას“ და „საერთო გაზეთს“ შემდეგ ვაძლევდი წასაკითხად ჩემს მეზობლებს. რაზეც დიდ მადლობას მითვლიდნენ, ახლა ამ გაზეთების ყიდვას, ალბათ, ველარ შევძლებ და ველარ დავაკმაყოფილებ მათ თხოვნას.

როგორც ვხედავ, ფუჭად მიშრომია, რადგან ამ ქვეყანას თურმე ტყუილად ვემსახურე, რადგან აქ სიმართლე აღარ არსებობს.

**გაიოზ კიკნაძე,**
პენსიონერი

# გერმანიის პრეზიდენტმა თანამდებობა დატოვა

**გერმანიის პრეზიდენტმა ქრისტიან ვულფმა პრეზიდენტის პოსტის დატოვების შესახებ განცხადება გააკეთა.**

მისი თქმით, გერმანიას ისეთი პრეზიდენტი სჭირდება, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით ისარგებლებს.



„ბოლო დღეებისა და კვირების განმავლობაში განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ ეს ნდობა და ჩემი სამსახურის შესაძლებლობა სერიოზულად დაზარალდა. ამიტომ, მომავალში შეუძლებლად ვთვლი შევასრულო ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობა. დღეს ვტოვებ თანამდებობას, რათა გზა გავუთავისუფლო ჩემ მემკვიდრეს'', – განუცხადა ბერლინში ვულფმა ჟურნალისტებს.

თუმცა მან პოლიტიკური მემკვიდრის ვინაობა არ დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის პრეზიდენტი სკანდალში 2011 წლის დეკემბერში გაეხვია. მედიასაშუალებებმა მას ბრალი ფინანსური მოგების მიზნით, უფლებამოსილების გადაჭარბებაში დასდეს.

გერმანიაში ჩატარებული ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის 84 პროცენტს საკუთარი პრეზიდენტის კეთილსინდისიერების არ სჯერა.

**„მედიანიუსი“**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ბებიაჩემმა გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე დაწერა ანდერძი შვილიშვილებისთვის ქონების გადანაწილების შესახებ. გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე შეადგინა ახალი ანდერძი, რომლითაც მთელ ქონებას უტოვებდა უფროს შვილიშვილს. აქვს თუ არა ძალა პირველ ანდერძს და როგორ განაწილდება ქონება?**

— არა.

ანდერძი, რომელიც გაუქმდა შემდგომ შედგენილი ანდერძით არ აღდგება, თუნდაც უფრო გვიან შედგენილი ანდერძი გაუქმდეს.

სამკვიდრო გადანაწილდება კანონიერ მემკვიდრეებზე კანონით დადგენილი წესით — თანაბრად.

* * *

**— გარდაგვეცვალა მეზობელი, რომელსაც არ ჰყავდა კანონიერი მემკვიდრე. მას არც ანდერძი დაუტოვებია სამკვიდროს ვინმეს სახელზე დატოვების შესახებ. მასთან ბინაში ქირით ცხოვრობდა ქალი, რომელსაც დაღუპული ჰყავს მეუღლე და ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი. ეს ქალი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე უვლიდა ჩვენს მეზობელს. შეიძლება თუ არა გარდაცვლილის ქონება მან მიიღოს.**

— სამწუხაროდ, არა. თქვენი მეზობელი არ არის გარდაცვლილის არც კანონით, არც ანდერძით მემკვიდრე. ვინაიდან გარდაცვლილს არ ჰყავს მემკვიდრე, მისი ქონება ჩაითვლება უმკვიდრო ქონებად და გადაეცემა ხაზინას.

* * *

**— ჩემმა მეზობელმა მეგობრის შვილს დაუტოვა ანდერძით მთელი ქონება. მეგობრის შვილმა უარი თქვა ქონების მიღებაზე. რა ბედი ეწევა ქონებას?**

— თუ ერთადერთმა ანდერძით მემკვიდრემ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, ანდერძი ძალას კარგავს და ამოქმედდება კანონისმიერი მემკვიდრეობა. თუ არსებობენ კანონით მემკვიდრეები, შესაბამისი რიგის მიხედვით, ისინი გადაინაწილებენ ქონებას კანონით დადგენილი წესით. თუ არ არსებობენ კანონით მემკვიდრეები, უმკვიდრო ქონება ხაზინას გადაეცემა.

* * *

**— ბებიაჩემმა დატოვა ანდერძი, რომლის ბათილობაზე მსურს შევიტანო სარჩელი. რამდენ ხანში შემიძლია სარჩელის შეტანა?**

— კანონით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაშიც ანდერძის ბათილობაზე დავა შეიძლება. ეს ვადა გახლავთ სამკვიდროს გახსნის დღიდან ორი წელი?

* * *

**— სამკვიდრო ქონების რა ნაწილს მოიცავს სავალდებულო წილი?**

— ამგვარი სახის შეკითხვა ხშირად შემოდის „საერთო გაზეთის“ რედაქციაში. როგორც ჩანს, საკითხი აქტუალურია.

მოგახსენებთ:

ანდერძის არსებობის შემთხვევაში ქონებას იღებენ უშუალოდ ის პირები, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ანდერძში და მემკვიდრეთა კანონით დადგენილი რიგითობა მხედველობაში აღარ მიიღება. თუმცა აქ არის ერთი გამონაკლისი: თუნდაც არსებობდეს ანდერძი და თუნდაც მის თანახმად მამკვიდრებლის ქონება მთლიანად გარეშე პირზე ან პირებზე იყოს გადანაწილებული I რიგის მემკვიდრეები, ანუ მამკვიდრებლის (გარდაცვლილი) მეუღლე, შვილი და მშობლები, რასაც სავალდებულო წილი ეწოდება. სავალდებულო წილის ოდენობაა იმ წილის ნახევარი, რასაც I რიგის მემკვიდრე



მიიღებდა, ანდერძი რომ არ ყოფილიყო.

* * *

**— მყავს აყვანილი შვილი. მისთვის შვილად აყვანის ფაქტი უკვე ცნობილია და მან იცის, ვინ იყო მისი ბიოლოგიური დედა. ეს ქალი ერთი თვის წინ გარდაიცვალა. ქმარ-შვილი არ ჰყოლია. დარჩა თბილისში სამოთახიანი ბინა. მიიღებს თუ არა ამ ბინას ჩემი ნაშვილები?**

— თქვენი შვილი თავისი ბიოლოგიური დედის ბინას მიიღებს ერთადერთ შემთხვევაში, თუამ ქალმა დატოვა ანდერძი თქვენი შვილის სახელზე სამკვიდროს მიღების შესახებ. თუ ანდერძი არ არსებობს, მოქმედებს კანონით მემკვიდრეები. თქვენი შვილი კანონით თქვენ გეკუთვნით და არა თავის ბიოლოგიურ დედას. თქვენს მიერ მისი შვილად აყვანის მომენტიდან, ბავშვმა დაკარგა მემკვიდრეობის უფლება თავისი ბიოლოგიური მშობლისადა სხვა ბიოლოგიური ნათესავების ქონებაზე. თქვენი შვილი არის თქვენი მემკვიდრე.

* * *

**— ბიძაჩემმა, რომელსაც ცოლ-შვილი არ ჰყავდა, გარდაცვალების წინ ანდერძი დატოვა სამი ძმისშვილის სასარგებლოდ. სამკვიდროს გახსნამდე ერთ-ერთი ბიძაშვილი დაიღუპა ავტოავარიაში. მას დარჩა ცოლ-შვილი. მიიღებს თუ არა წილს მისი ცოლ-შვილი?**

— მიიღებს. დაგიკონკრეტებთ: საქმე გვაქვს მემკვიდრეობით ტრანსმისიასთან.

მემკვიდრეობითი ტრანსმისი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა მემკვიდრე, მართალია, ცოცხალი იყო მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში, მაგრამ გარდაიცვალა სამკვიდროს მიღებამდე. ამ დროს სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

* * *

**— ჩემი შვილი 11 წლისაა. მას დაბადების მოწმობით ჰქვია სხვა სახელი, ვეძახით სხვა სახელს. მსურს შევუცვალო სახელი და დაბადების მოწმობაში დაფიქსირდეს სახელი, რომელსაც ვეძახით. ბავშვი უარზეა. შემიძლია, თუ არა მის გარეშე მოვახდინო მისი ოფიციალური სახელის შეცვლა?**

—არა. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარისა და სახელის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობაც.

* * *

**— მე და ჩემმა მეუღლემ რეგისტრირებული ქორწინების შემდეგ ავაშენეთ ბინა. ვიცი, რომ ვარ თანამესაკუთრე. ოფიციალურად თუ შეიძლება ამის დაფიქსირება?**

— შეიძლება დასასურველია კიდეც.

თქვენ ხართ ქორწინებაში შეძენილი ნებისმიერი ქონების თანამესაკუთრე და ასეთი ქონების ნახევარი გეკუთვნით თქვენ. შეგიძლიათ, მოითხოვოთ მესაკუთრეთ ორივე თქვენგანის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ეს არის თქვენი კანონით დაცული უფლება, რომლის განხორციელებაც, შეიძლება, მომავალში უამრავი გაუგებრობა და უთანხმოება აგარიდოთ თავიდან.

* * *

**— ვარ 68 წლის. ვღებულობდი პენსიას, რომელიც შემიწყდა. ვმუშაობ კინოსტუდიაში მექანიკოსად. რამდენად კანონიერია პენსიის შეწყვეტა?**

— თუ თქვენ გაფინანსებთ სახელმწიფო ბიუჯეტი, (ხელფასს ვგულისხმობ), მაშინ ჩაითვლება რომ თქვენ პენსიის გაცემა შეგიწყდათ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში და შეწყვეტა, საქართველოს კანონის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ მე-17 მუხლის I ნაწილის „ბ“ ქ-პუნქტის მიხედვით კანონიერად ჩაითვლება.

* * *

**— ჩაითვლება თუ არა ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 1309-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, შვილები, რომლებიც დაუქორწინებელი მშობლებისგან დაიბადნენ, როგორც წესი, კანონით მემკვიდრეები არიან დედის გარდაცვალების შემდეგ ქორწინებისგარეშე შობილი ბავშვები მამის გარეშე მემკვიდრეები იქნებიან, თუ მამობა აღიარებულია ნებაყოფლობით ანმამობა დადგენილია სასამართლო წესით. უფრო მეტსაც მოგახსენებთ: თუ მამობა კანონით დადგენილი წესით იყო აღიარებული, მაგრამაესეთი შვილი მამაზე ადრე გარდაიცვლება, მაშინ მის შვილებს შეუძლიათ, მოითხოვონ წილი იმ სამკვიდროდან, რომელსაც მათი მამა მიიღებდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო.

# facebook

# xalxis azriT

პირადად მე სამი სტუდენტის და ხუთი შვილის დედა ვარ. სამიდან ორს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს. გავიგე განათლების სამინისტრო მრავალშვილიანებს აფინანსებსო. შესაბამისად მივმართეთ განცხადებით რომელზეც ასეთი პასუხი გაგვცეს თქვენი შვილი სამედიცინოზე სწავლობს სამედიცინო ინსტიტუტი პრიორიტეტულ დარგს მიეკუთვნებაო. აი არაპრიორიტეტულს როგორიცაა ფიზიკა, მატემატიკა და ა.შ. დავაფინანსებდითო. ვინმე მიპასუხებს ჩემს შვილს რომ ექიმობა უნდა ეს ნიშნავს იმას რომ ჩვენ მრავალშვილიანები არ ვართ? ან არ შია იმ ხუთშვილიან ოჯახს რომელშიც მხოლოდ დედა მუშაობს მამა კი რეორგანიზაციის საფუძველზე გაათავისუფლეს სამსახურიდან? ვის ვკითხო? აფერუმ რეფორმა!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!

ჯერ ავტოკრატიაა, ავტოკრატიიდან დიქტატურამდე კი ერთი ნაბიჯია, ეს ნაბიჯი აუცილებლად გადაიდგმება თუ ხალხი ჩუმად იქნება ხელისუფლების და სააკაშვილის ქმედებებზე, ანუ თუ რეაქცია არ ექნება.

მოსამსახურეს რად უნდა განათლება?? ეხლა არ მითხრად რა მოსამსახურეს საქმე ჩვენს შვილებს ეხებაო!!!!!!!!!! დიახ ზუსტად თქვენს შვილებზე ვამბობ რომლებიც ამ მთავრობას მარტო იმისთვის ჭირდება რომ შემდგომში სომხებს და თურქებს მოსამსახურეებად დაუდგნენ.. არავინ მიწყინოს ჩემი შვილებიც ვიგულისხმე სამწუხაროდ.

წარმატებები მინდა ვუსურვო საინიციატივო ჯგუფის თითოეულ წევრს, ყველანი ღირსეული ადამიანები არიან, მჯერა და მწამს ,რომ „ქართული ოცნება „ახდება და საქართველო გახდება ისეთი როგორიც ქართველებს გვინდა თავისუფალი და დემოკრატიული. ძალიან კარგად დაბალანსებული ჯგუფია ეკონიმისტები უფლებადამცველები ხელევნების წარმომადგენლები რაც მთავარია ახალი სახეები და ეროვნული ხალხი. ეს მხოლოდ საინიციატივო ჯგუფია და იგივე პრინციპით აეწყობა პარტია

მსოფლმხედველობრივად მე იმ ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებს მხარს ვუჭერ და ვიზიარებ, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა სამოქმედო ასპარეზზე იმთავითვე განაცხადა. ჩემთვის ესაა ადამიანის უფლებები და თავისუფლება, თავისუფალი ბიზნესი, რომელსაც სახელმწიფო მართავს, მაგრამ არ ერევა, თავისუფალი სასამართლო, თვითმმართველობა და მინიმალური რეგიონული სახელმწიფოებრივი მმართველობა. ეს ის ღირებულებებია, რომელიც ჩემთვის პატივსაცემი და ღირებულია. პატივს ვცემ იმ დიდ ღირებულებებს, როგორიცაა ეროვნული, მართმადიდებლური ფასეულობები, რომელიც ბატონმა ბიძინამ, სანამ პოლიტიკაში მოვიდოდა, მანამდე განახორციელა. ბატონ ბიძინაში არის სინთეზი პროდასავლური და ეროვნული ღირებულებებისა.

როგორც გაზაფხულის მოსვლაა გარდაუვალი, ისე ივანიშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლა გარდაუვალია. შეუძლებელია, ამ გუნდის ხელისუფლებაში მოსვლა ვინმემ შეაჩეროს. ჩვენ დღეს ვდგავართ გზაჯვარედინზე და შეგვიძლია, ავირჩიოთ გზა, როცა შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდნენ წესიერი, ღირსეული ადამიანები, რომელთაც არაფრის ეშინიათ და უყვართ საკუთარი ქვეყანა

მიხეილ მაჭავარიანი მანდატურებს მიმართავს: “დაამყარეთ წესრიგი! რას დადიხართ აქეთ–იქეთ გაეროს დამკვირვებლებივით!”უკაცრავად და, გაეროს დამკვირვებელი სალანძღავ სიტყვად იქცა? ანუ: გაეროს დამკვირვებელი უმაქნისი, არაფრის შემძლე, უმოქმედო!!! ნეტავ გაეროში იციან?ვაა რა დღეშია მაჭავარიანი, ატყობს მთავრდება მისი გრძელვადიანი დეპუტატობა და ნევებზე აღარაა კაცი, დამშვიდდი მიშააა...

ბათუმში 1941–45 წლებში დაღუპულების მემორიალის დემონტაჟი მიმდინარეობს - გარეკეს ამათ სულ. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში,რომელსაც მეორე მსოფლიო ომი შეეხო დგას ამ ისტორიული ფაქტისადმი მიძღვნილი მემორიალები.ეს არაკაცები 400 ათას ქართველს და 50 მილიონზე მეტ ადამიანის ხსოვნას ფეხქვეშ თელავენ.

ეს მაისში არჩევნებს ნიშნავს, ატყობს სურიკა (სააკაშვილი), რომ გრძელ დისტანციას ვერ გაქაჩავს, და მოქმედებს პრინციპით ”დაასწარ დარტყმა ფრედი” ტოესტ სურიკ?! ორგანიზაციაც სურიკასია?!



## კიდევ ერთი ბუნების საოცრება

ეს სასწაული წინა კვირას ამერიკელმა ფოტოგრაფმა გადაიღო. ეს არის ბუნების იშვიათი გამოვლინება — ღრუბლების ცუნამი. ცათამბჯენები პანამა-სიტიში ღრუბლების ბლოკადაში მოექცა. ყველაფერი ისე იყო, როგორც ზღვის ცუნამების დროს.



ჯეარ ჰოტომი, რომელმაც ეს კადრები გადაიღო, საკუთარი ტურისტული თვითმფრინავით სეირნობდა პანამა-სიტის თავზე.

„ყველაფერი მოულოდნელად დაიწყო, თავიდან შედარებით მცირე ღრუბლები მოგროვდა, მერე უცებ უზარმაზარ ტალღებად იქცა და სახლები ღრუბლის ტალღებმა დაფარა". — ჰყვება ჯეარ ჰოტომი.

## ანტიბიოტიკებს მალე თაფლით ჩაანაცვლებენ



ჰოლანდიელმა მეცნიერებმა თაფლში აქამდე უცნობი კომპონენტი აღმოაჩინეს, რომელიც აქტიურად ებრძვის ბაქტერიებს. ამსტერდამის სამედიცინო ცენტრის მიკრობიოლოგიის განყოფილების სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფუტკრები გამოიმუშავენენ ცილას, სახელწოდებით დეფენსინი. პროფესორების განმარტებით, ეს ის ნივთიერებაა, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას კუჭის წვისა და კანის სხვადასხვაგვარი ინფექციების დროს. ამას გარდა, მკვლევარები დარწმუნებული არიან, რომ თაფლი შესანიშნავი ანტიბიოტიკია.

## ნასას სპეციალისტები წლის ბოლოს პროგნოზს აკეთებენ



ნასას პროგრამების ხელმძღვანელი დონ იომანსი აცხადებს, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს კარგად დავისვენოთ, გამოვიძინოთ და გავერთოთ. ეს დღე არაფრით იქნება განსხვავებული სხვა დღეებისგან. იომასი აღნიშნავს, რომ თუ განსაკუთრებული მოლოდინებია 2012 წლის 21 დეკემბერზე, რატომ არაფერი ითქვა 2011 წლის 31 დეკემბერზე, როცა მთავრდება ასევე კალენდარი, ოღონდ გრიგორიანული?

პლანეტა ნიბირუს მოახლოება, რომლისაც ასე ეშინია მოსახლეობას, თითქოს იგი დაეჯახება დედამიწას და ნაკუწებად აქცევს, იომასის სიტყვებით, გამოგონილია და პლანეტა ნიბირუ სინამდვილეში არ არსებობს. ნიბირუ აბსოლუტურად გამოგონილი რამეა, — მიიჩნევს დონ იომასი.

## უცხოპლანეტელები ყველაზე ხშირად რუსეთში ჩნდებიან

თუკი უცხოპლანეტელები დედამიწაზე გამოჩნდებიან, ამბობენ, რომ მათი პოლიგონი რუსეთი იქნება, — აღნიშნულია „დეილი მეილის" ერთ-ერთ უკანასკნელ გამოშვებაში.

ამ დასკვნამე მას შემდეგ მივიდნენ, რაც აღმოჩნდა, რომ რუსი ქალბატონი უცხოპლანეტელის მკვდარ სხეულს საკუთარ სამზარეულოში, მაცივარში ინახავდა.



საქმე ისაა, რომ რუსეთი ამ მხრივ ყველაზე აქტიური ზონაა, იქ გაცილებით ხშირია უცხოპლანეტელთაა და მფრინავი თეფშების გამოჩენის ფაქტები.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ რუს ქალბატონს, რომელიც უცხოპლანეტელის გვამს საგულდაგულოდ მალავდა მაცივარში. მარფა ეგოროვნა,ასე ჰქვია პენსიონერ ქალბატონს, რომელიც პეტროზავოდსკში ცხოვრობს. იგი ორი წლის განმავლობაში მალავდა მაცივარში უცხოპლანეტელის სხეულს. მარფა აღნიშნავს, რომ ამოს 5 ფოტოსურათი გადაუღო.

ქალბატონის სტყვებით, მის აგარაკზე უცხოპლანეტელთა ხომალდი ჩამოვარდა. მე მივუახლოვდი ცხელ ღრუბელს, რომელიც მფრინავი აპარატიდან გამოდიოდა. გვერდით მკვდარი უცხოპლანეტელის სხეული ეგდო.

გამოუცნობი არსების სხეული 61 სანტიმეტრი იყო. ჰქონდა უზარმაზარი თავი და პატარა მოგრძო თვალები. გარეგნულად იგი მოგაგონებდათ რაღაც საშუალოს თევზსა და ჰუმანოიდს შორის. სხეული ჰქონდა პატარა, ხოლო ხელები, თითქოს მსხვილი ძაფები.

მარფა ეგოროვნამ გააკეთა ის, რასაც ალბათ, სხვა ნებისმიერი მის ადგილას არ გააკეებდა: მან უცხოპლანეტელის სხეული სახლში წაიღო და მაცივარში ინახავდა 2 წლის განმავლობაში.

რუსეთში განსაკუთრებით გახშირდა მსგავსი მოვლენები. რის გამოც საქმეში საერთაშორისო დონის ექსპერტი-უფოლოგები ჩაერთვნენ. პარანორმალური მოვლენების ექსპერტი მაიკლ კოენი მიიჩნევს, რომ მარფა ეგოროვნას მიერ აღმოჩენილი არსება ნამდვილად უცხოპლანეტელია.

გასულ წელს ირკუტსკში თვალნათლივ დაინახეს უცნაურად განათებული აპარატი და ხუთი უცხოპლანატელი, რომლებიც თოვლში სეირნობდნენ. უფრო ადრე კი იქვე ირკუტსკში 18 წლის თემურ ხილალმა და 19 წლის კირილ ვლასოვმა სამოყვარულო კამერით გადაიღეს თოვლში სიცივისგან გაყინული უცხოპლანეტელის სხეული.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მთელი თქვენი ძალისხმევა მატერიალისტური პრობლემების მოსაგვარებლად იქნება მიმართული. თავი შეიკავეთ ვალის აღებისგან.

**კურო** — შეეცდებით, აქტიურად ჩაერთოთ როგორც საოჯახო, ისე სამსახურებრივ საქმეში. თუ კონკრეტულ მიზანს დაისახავთ, არ გაგიჭირდებათ საარსებო საშუალების პოვნა.

**ტყუპები** — დროის ამ მონაკვეთში სარფიანად წარიმართება თქვენი ურთიერთობები პარტნიორებთან.

**კირჩხიბი** — მოგემატებათ სასიცოცხლო ენერგია, გამომჟღავნდება თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი. ნუ მოახდენთ ვითარების დრამატიზებას, უმჯობესია გაერთოთ.

**ლომი** — თქვენი ენთუზიაზმი და შემართება საგრძნობლად შემცირდება. ახალი მეგობრები ხელს შეუწყობენ თქვენს ინტელექტუალურ განვითარებას.

**ქალწული** — თამამად შეგიძლიათ დანიშნოთ საქმიანი შეხვედრები და დადოთ ხელშეკრულებები. სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში გასეირნება დაგიბრუნებთ.

**სასწორი** — საქმეებს მოხერხებულად და წინდახედულად წარუძღვებით. წარმატებებს იოლად მიაღწევთ სავაჭრო ბიზნესსა და კულტურულ ღონისძიებებში.

**მორიელი** — ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კვირა სტაბილური იქნება. ამ დღეებში დადებული ხელშეკრულებები სტაბილური და მომგებიანი გამოდგება.

**მშვილდოსანი** — ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება სახლის კეთილმოწყობისთვის, მით უფრო რომ სწორედ თქვენს სახლში შეიძლება შედგეს არაერთი საინტერესო შეხვედრა.

**თხის რქა** — მოგეცემათ შანსი, განახორციელოთ თქვენი ძველი ოცნება. შესაძლოა, სამსახურიც შემოგთავაზონ. თამამად შეგიძლიათ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება სასიყვარულო ურთიერთობებში.

**მერწყული** — თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სარფიანად დადებით ხელშეკრულებას.

**თევზები** — დაბრკოლებები გელით პროფესიულ საქმიანობაში, გარშემო მყოფებიც მტრულად იქნებიან თქვენ მიმართ განწყობილი. მაღალია გაუგებრობის ალბათობა, რის გამოც სასურველია, სამომავლოდ გადადოთ ფინანსური ოპერაციები და მნიშვნელოვანი საქმეები.